140
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

11
197



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერები უმღერიან ოქტომბერს

## ნოემბრის შვიდი თენდება

გიორგი შატბერაშვილი

როდესაც ჩვენს ქვეყანაში
ნოემბრის შვიდი თენდება,
პირველი თავისუფლების
დღეები გაგვახსენდება!

გრიგალი თავისუფლების
და ცეცხლის კორიანტელი,
ქვეყანა გაცისკრებული
დიდი ლენინის ნათელით...

გაგვახსენდება გმირები
დაბადებულნი არწივად,
ვინც მტრების სისხლი დაღვარა
და ჩვენთვის თავი გასწირა.

ვინც მზის სხივებით შემოსა
ჩვენი სამშობლოს ტყეები,
ვინც ქოხებს მისცა მშვიდობა,
დალეწა სასახლეები...

მოგვაგონდება მათი ხმა
და ვაჟკაცობის უნარი,
მათი უჭკნობი გვირგვინი,
დიდება გაუხუნარი.

ამხედრებული გმირების
ლაშქრობა მოგვეჩვენება,
თოვლით დაფარულ ველებზე
ხმალდახმალ გამოჭენება...

თავს დაგვადგება სხივებად
ირგვლივ სინათლის მფანტველი —
ბელადის ხელით აწვდილი
თავისუფლების კანდელი.



## ოქტომბრის დროშა

იოსებ ნონეშვილი

რომ ეგებებით მზის ყოველ მოსვლას,
ასე ნათელი სახის იერით,
ადიდეთ დიდი ოქტომბრის დროშა,
ადიდეთ ჩვენი ხალხი ძლიერი.

გაზაფხული რომ დაგიხვდათ ყმაწვილთ,
როცა პირველად თვალებს ახელდით,
ადიდეთ ჩვენი მამების ღვაწლი,
ადიდეთ მათი წმინდა სახელი.

ეწირებოდნენ დროშებს ნატყვიარს,
ერთი მიზნით და სულისკვეთებით.
ჩახედეთ არაგვს, ახლაც ატყვიათ
კალმახებს მათი სისხლის წვეთები.

ღამე იყო თუ დილა სისხამი,
მტერს ეცემოდნენ ანაზდეულად,
დღეს მათი სისხლის თითო მისხალი
ზღვა სიხარულად გადაქცეულა.

ბაღებში, სადაც მწვანე მოლია
და ზამბახების შუქში ინთებით,
ყვავილები კი ნურვის გგონიათ, —
აყვავებულან მათი ფიქრები.

და თუ მტრებს ისევ მონატრებიათ
ახალი ბრძოლის ქარტეხილები,
საბჭოთა ქვეყნის შევარდნებია
მათ შესახვედრად ფრთაგაშლილები.

ოქტომბრის დროშით, ქვეყნის ძახილზე
მოვა გმირების რაზმი ფრთამალი,
ამ მთებზე უფრო გოლიათები,
ამ ვარსკვლავებზე უფრო მრავალი.

## ავრორას გასროლა

ალეკო შენგელია

არის გასროლა, როგორც შუქურა,
საუკუნეებს რომ გაანათებს,
ძველს ყოველს კარი რომ დაუხურა
და რომ ხვალინდელ დღეებს განაგებს.
არის გასროლა, რომლის ელვარე
ცეცხლი არასდროს აღარ ჩაქრება,
ყველა ჩვენგანის სისხლში მღელვარებს
და კოცონივით გულში ჩაღდება,
არის გასროლა, რომლის ძალ-ღონემ
მიწა შესძრა და შეაზანზარა,
და ხალხის ნებით დაძრულ მთა-გორებს
გზა უჩვენა და მისცა სხვა ძალა!
გასროლა იგი, მისი სინათლე,
როგორც მომავლის დიდი მხმობელი,
მიწის მარადი აწ მობინადრე,
ახლის სიცოცხლე ჩაუქრობელი,
ყამირს აბრუნებს და ადნობს ფოლადს,
ათბობს და აწრთობს ადამიანებს,
ვარსკვლავებისკენ გასტყორცნის ხომალდს
და ვარსკვლავივით ცაში ბრიალებს!
იგი, ვით ხალხის ძალა და ნება,
თვით დედამიწის განაგებს სრბოლას,
ადამიანებს შუქად დაჰყვება
იგი, — „ავრორას“ დიდი გასროლა!



# საოქტომბრო სიმღერა

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ

კარს მოგვადგა ოქტომბერი,
კალთა ხვავით აუვსია.
ტყე მოირთო ოქრო-ფერით,
ზეცა ოქროს აუზია.

ყურძნის ლალზე ცვარი ბრწყინავს,
ვაშლს ტოტები დაუხრია,
მთის ფერდობზე მზეს და წვიმას
ქარვის შუქი დაუღვრია.

ყველგან ოქროს ბანაკია,
ყველგან ფარჩის ფენებია,
ეს ქვეყანა ბარაქიან
შრომას დაუმშვენებია.

ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდებს
ყელი მოუღერებიათ,
მათი გული ახალ განცდებს
ტკბილად აუძგერებია.

მეგობრებო! მესმის თქვენი
უწმინდესი გულის ძგერა:
ეგ სიმღერა აღმაფრენი
ოქტომბერმა დაგვიწერა.

ოქტომბერი! ოქტომბერი! —
რა დიადი თარიღია!
სინათლეა უქრობელი
და მომავლის კარი ღია.

ეგ სინათლე ფიანდაზად
თქვენს სავალ გზას დააჩნდება.
ოქტომბერმა გიანდერძათ
სიცოცხლე და გამარჯვება.

თქვენ შეგცქერით, თქვენთანა ვარ,
თვალი მომიჩერებია,
თქვენი სუფთა ხმის თანაბარ
ჩანგი ამიჟღერებია.



ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲡ!

მხატვარი ᲠᲔᲕᲐᲖ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ

დაირაზმეთ, წინ იარეთ,
ისწავლეთ და გაისარჯეთ.
თქვენი საქმე წიგნი არი,
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ.

და ეს ლექსიც აქ თავდება:
მიზნად გქონდეთ დასახული —
სიმართლისთვის თავდადება
და სამშობლოს სამსახური.



ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

11

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

1976

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲛ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲩ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ
ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1926 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა



თენგიზ
გოგოლაძე

# მხარდამხარ

მხატვარი
ზ. ფორჩხიძე

მოთხრობა

მისადგმელ მაგიდასთან, ოთახის შუაგულში იდგა გენერალი. რაღაცას გაცხარებით ეუბნებოდა იქვე მახლობლად მდგარ ამირან ძიას. ჩემი შესვლისთანავე სიტყვა შეწყვიტა, ხელი დაუშვა და ჩემკენ გამოიხედა თუ არა, სახე უცებ დაუმშვიდდა, მის თაფლისფერ თვალებში ჩვეულმა ალერსიანმა ღიმილმა ჩაიბუდა.

ქუსლი ქუსლს მივარტყი.

— ამხანაგო გენერალო!.. — წამოვიწყე მისი ღიმილით გათამამებულმა, მაგრამ ვინ გაცალა პატაკის თქმა. ხელით მანიშნა, საჭირო არ არისო და ხელითვე მიმიხმო თავისთან. მერე მე და ამირან ძიას გვიბრძანა დავმსხდარიყავით. თვითონაც ჩამოჯდა სკამზე, მისადგმელ მაგიდასთან. ხელები მაგიდაზე დააწყო და მითხრა:

— ცხენი ხომ არ გაუყიდია მამაშენს, ბიჭო?

— არა, არ გაუყიდია! — მივუგე გაოცებულმა.

— უნდა განვაახლოთ წვრთნა. შენ მხედრის კარგი მონაცემები გქონდა. თუ აიცრუე გული და აღარ გინდა?

— როგორ არ მინდა, პატივცემულო... ამხანაგო გენერალო! — სიხარულისგან სიტყვა ამებნა.

— ჩამოვიყვანოთ ცხენი. იპოდრომის თავლაში გვეყოლება. იქ მას კარგად მოუვლიან. შენ კი კვირაობით ივლი იპოდრომზე და ივარჯიშებ. შეჯიბრებებზე ჩვენი სკოლის სახელით გამოხვალ. მომავალში კი სხვა ბიჭებსაც ვასწავლით.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ამაღელვა გენერლის ამ სიტყვებმა. ალბათ ლოყები წამომიწითლდა, ისეთი სიმხურვალე ვიგრძენი, ამირან ძიამ ხელი მომხვია და მითხრა:

— ჩამოვიყვანოთ შენი შუბლვარსკვლავა, ლევან.

ასე გახარებული ავედი ოცეულში. ხუთი წერილი ერთად დამახვედრეს ბიჭებმა. ერთი ჩემიანებისა იყო. დედაჩემს, მამაჩემსა და ლილის ერთი გვერდი ძლივს შეევსოთ. მამაჩემი დინჯად მითვლიდა: აბა, შენი იმედი მაქვსო. დედაჩემის ნაწერს ქალური გულჩვილობა დაჰკრავდა: თავს გაუფრთხილდი, შენი დარდი მკლავსო. ლილი მეხუმრებოდა: „მოგახსენებთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ თქვენი წასვლის შემდეგ ჩვენი სოფლისა და სკოლის ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა..."

თითქმის ასევე იწერებოდა ლიანა დათუაშვილი. მისი წერილი უფრო ვრცელი იყო. რას არ მწერდა, ვისზე არ მწერდა, თამრიკოს კი არ ახსენებდა. არც ბიჭები მწერდნენ რამეს ამ გოგოზე. მე კი სოფელში ყველა ამხანაგს გავუგზავნე პატარა ბარათი, მათ შორის თამრიკოსაც მივწერე, მაგრამ იგი დუმდა. ლიანასა და ერთ-ორ ამხანაგს არ დაზარებიათ, პასუხი ჩემი წერილის მიღებისთანავე აფრინეს.

ახლა შორიდან სულ სხვანაირი წარმომიდგა ლიანა. ჩემს თვალში აღარ იყო ახტაჯანა, ჭინკა გოგო. ნაწერში ისეთი დალაგებული მეჩვენა, ქართულში სულ სამიანებს რომ იღებდა, ამ ნაწერში მასწავლებელი ოთხიანზე ნაკლებს არ დაუწერდა.

ჩვენიანებს ვრცელი წერილი მივწერე. დაწვრილებით მოვუყევი სკოლის პირველ დღეებზე. მამაჩემს ავუწერე, როგორ გამომიძახა გენერალმა, რომ მე და ამირან ძია კვლავ ვუბრუნდებით იპოდრომს. ვემუდარებოდი, რაც შეიძლება მალე ჩამოეყვანა შუბლვარსკვლავა.

●

როცა მაიორმა კუნელაშვილმა სამწყობრო მომზადებისას სიქა გაგვაგდებინა, მაშინ მივხვდი, რა მოწადინებული იყო, თავისი ოცეულით მთელ სკოლა-ინტერნატში გაეთქვა სახელი.

საკვირველი ის იყო, რომ მას ლოგინების აშლა-გასწორების გაკვეთილი აღარ ჩაუტარებია. ის იყო და ის.

---

გაგრძელება, იხ. „პიონერი" № 9, 10.

არ მავიწყდებოდა მისი დაბნეული, აშლვრეული სახე, იმ დღეს გენერლის კაბინეტიდან რომ გამოვიდა. ამირან ძიას ვერ შევბედე შეკითხვა, რა მოხდა მისი თანდასწრებით გენერლის კაბინეტში. მე ასეთი შეკითხვა უადგილოდ ჩავთვალე და ის საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა ჩემთვის.

●

ბორისოვი კომკავშირული ხაზითაც დაწინაურდა. ჩვენი ოცეულიდან იგი გახდა ასეულის კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს წევრი. მერე სასკოლო ორგანიზაციის ბიურო შეიქმნა და ერთ პატარა ოთახში, კომკავშირის ხელმძღვანელებისთვის რომ გამოყვეს, თავკაცის სკამზე ის მეცხრეკლასელი ბიჭი დავსვით, სკოლის გახსნისას მიტინგზე რომ გამოვიდა.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კომკავშირის კომიტეტის მდივნად ავირჩევდით, სკოლაში არჩილ კაპანაძეზე უკვე დადიოდა საქებარი ხმები.

პატარა ოთახის კარზე წარწერა გაჩნდა: „ალკკ კომიტეტი".

გაჩაღდა მუშაობა. გენერლის დავალებით კომკავშირელებს რამდენიმე სტენდი უნდა გაგვეკეთებინა. ერთი მათგანი მთლიანად გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძეს მიეძღვნებოდა, მეორე სტენდზე საბჭოთა ოფიცრების სიმამაცე აისახებოდა. კომკავშირელებსვე გვევალებოდა თვითმოქმედი წრეების ჩამოყალიბება, საბრძოლო დიდების კუთხის მოწყობა. შემდგომი გეგმები კიდევ ბევრ საინტერესო რამეს ითვალისწინებდა: უნდა შევხვედროდით სამამულო ომის ვეტერან გენერლებსა და ოფიცრებს. ცოტა მოგვიანებით კი, გაზაფხულზე, დარაზმულად ვეწვეოდით რომელსამე სამხედრო ნაწილს.

ბიჭებში გამოძებნეს მხატვრები, მხაზველები, ფოტოსაქმის მოყვარულები.

მე და ამირან ძიაც შევუდექით საქმეს. ამირან ძიამ მითხრა, კომკავშირის კომიტეტის მეშვეობით შემედგინა იმ ბიჭების სია, ვინც იპოდრომზე ივლიდა.

სასადილოდან რომ გამოვდიოდით, მეცხრეკლასელებში კაპანაძე მოვძებნე და ვთხოვე, შენთან საქმე მაქვს-მეთქი.

კომკავშირის კომიტეტის ოთახში შემიყვანა.

მაგიდას საქმიანად მიუჯდა, მეც იქვე სკამზე მიმითითა. დავჯექი და ჩემი სათქმელი ვუთხარი.

— რა კარგი რამეა! — ჩემთვის მოულოდნელად, ბავშვურად შემოჰკრა ტაში კაპანაძემ.

— ცხენს კარგად ატარებ? — მკითხა მაშინვე.

— ვატარებ კი არა, მე და ჩემი შუბლვარსკვლავა დავფრინავთ, — სიტყვა გავაფიცხე. ბიჭს თვალები აენთო.

— იცი, როგორ მიყვარს ცხენები! მაგრამ ცხენზე კი არა ვმჯდარვარ, — დაუმატა გულდაწყვეტით.

— შეჯიბრებაში გამოდიოდი? — მკითხა მერე.

— რამდენჯერმე გამოვედი. ბოლოს ფეხი ელრძო ჩემს შუქურას.

— არა უშავს, ყველაფერი მოგვარდება და შენს შუბლვარსკვლავასაც ეშველება. მაგრამ მაინც არ მესმის, ამ ერთი ცხენით მთელი ჯგუფი როგორ ივარჯიშებს.

— ამირან ძია...

— რომელი ამირან ძია! — მაშინვე შემაწყვეტინა არჩილმა, რადგან არმიაში ძია და დეიდა არ არსებობენ. არსებობენ სამხედრო პირები, რომელთაც აქვთ წოდება და უთუოდ წოდებით უნდა მოიხსენიო. თავი გავაქნიე და მაშინვე გამოვასწორე ჩემი შეცდომა.

— მაიორი თედიაშვილი... ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან... ის ხომ ჩემი მწვრთნელი [illegible] ვარ, მისი რჩევითა ვარ. ის მოაგვარებს არმ[illegible]ის, [illegible]ისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლო[illegible] დოებასა და ფიზკულტურის კომიტეტში. [illegible] რი ცხენით ვივარჯიშებ.

— სიას შენ შეადგენ და შენვე უხელმძღვანელებ იმ წრეს. ოცეულში ვაცნობებ ბიჭებს და, ვისაც სურვილი ექნება... რაც შემიძლია დაგეხმარები. აი რვეული, შეგიძლია პირველი მსურველი უკვე ჩაწერო.

— ვინ ჩავწერო?

— არჩილ კაპანაძე, — მითხრა და ღიმილით შემომხედა, — ასეთ შემთხვევას როგორ გავუშვებ!

ამ დროს ოთახში ბიჭებმა შემოიხედეს.

— მოდით, მოდით! — ხალისიანად შეეხმიანა კაპანაძე და ბიჭებიც შემოხროვდნენ. არჩილმა მაშინვე მიახარა შემოსულთ:

— ვისაც გინდათ ცხენოსანი იყოთ, ამხანაგ ბერიშვილთან ჩაეწერეთ.

— რა ცხენოსნობა?! — იკითხა რამდენიმემ.

— იპოდრომზე ვივლით და ვივარჯიშებთ, რომ კარგი მხედრები დავდგეთ. აი ეს ცხენოსნობა ვთქვი, სხვა არაფერი. — განმარტა კაპანაძემ.

— ეე, თუ ძმა ხარ! რაღა დროს ცხენია! წავიდა, მოკვდა ის დრო, როცა ცხენს დაფასება ჰქონდა არმიაში... ახლა ასეთი ტექნიკაა, სულ მანქანები და მანქანები... თქვენ რაო, ბუდიონის ცხენოსანი არმიის განახლებას აპირებთ?

— თუ არ გინდა, შორიდან გვიყურე. ძალას არავინ გატანს. ცხენოსნობა ძველთაგანვე ვაჟკაცური სპორტი იყო, არის და იქნება კიდეც. აი ეს ჩვენი ამხანაგი ბერიშვილი გაქანებული ცხენიდან მიზანში არტყამს ტყვიას, უნაგირზე ყირას ჰიმავს... ასე არ არის, ლევან? განა ეს ვაჟკაცობა არ არის! რომელ ოფიცერს არ დაამშვენებს ასეთი სიმამაცე!

— ცირკში წასულიყო, აქ რად მოდიოდა!.. ამბობენ, არტისტებს ბლომად ფულს უხდიანო.

გამკილავი სიტყვები გულზე მომხვდა, მაგრამ არ გავნძრეულვარ. არჩილმაც დროზე შემომაშველა სიტყვა.

— სხვათა შორის, ცირკში ტაკიმასხარებიც სჭირდებათ. დღესვე მოვახსენებთ გენერალს და რეკომენდაციას ხვალვე მიიღებ.

ცივი და გამკილავი იყო კაპანაძის სიტყვები, მაგრამ მე გული მაინც ვერ მომფხანა. იმ ბიჭის სახე კარგად დავიხსომე, ჭორფლიანი იყო, არავისში აშერეოდა. იმავე დღეს გავიგე, მეცხრეკლასელი იყო, ნოდარ წულაძე. სულ ასე იკბინებოდა თურმე.

ოცეულში ავედი. ბიჭები იქ არ დამხვდნენ. საკლასო ოთახის კარი რომ შევაღე, უცებ შემეფეთა ირაკლი ოტიაშვილის ღრიალი:

— ადექით, სმენა!

საკლასო ოთახში კი მხოლოდ ორნი იყვნენ, ბორისოვი და ოტიაშვილი. ბორისოვი დაფასთან იდგა. ოტიაშვილი კი სამწყობრო ნაბიჯით ჩემკენ გამოეშურა, ქუსლი ქუსლს მიარტყა, გაიჭიმა და მომახსენა:

— ზეინაბ არისტარხოს ასულო! მეორე ასეულის მესამე ოცეული გაკვეთილისთვის მზად არის! მოგახსენებთ ოცეულის მორიგე ირაკლი ოტიაშვილი.

გამიკვირდა, ეს რა ამბავი ხდება-მეთქი, რომელი ზეინაბ არისტარხოს ასული მე ვიყავი, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ ირაკლი მეორე დღეს ოცეულის მორიგე იყო. მივხვდი, რისთვისაც განმარტოებულიყვნენ ბორისოვი და ის, და რატომ გადვიქეცი მე ზეინაბ არისტარხოს ასულად.

არისტარხო! ბევრმა ენა მოიტეხა ამ სახელის წარმოთქმისას. არადა, მასწავლებელს სამხედრო წოდება არ ჰქონდა, აუცილებლად სახელითა და მამის სახელით უნდა დაგვეწყო პატაკი.

აგერ უკვე რამდენი დღე გავიდა, ზეინაბ ლაბაძემ ბევრ ბიჭს გამოჰკითხა გაკვეთილი, ირაკლისთან კი უმძრახად არის. არც გაკვეთილს ეკითხება, არც რამეს ავალებს. ყოველ გაკვეთილზე მიუახლოვდება, ერთი წუთით ჩააცქერდება და გაშორდება.

— ჩამაშტერდა, ბიჭო, ჩამაშტერდა! — ვინ იცის, რამდენჯერ შემოუჩივლია ჩემთვის ირაკლის და ყოველთვის იმას ცდილობდა, გაკვეთილი სცოდნოდა. სწავლობდა, მაგრამ უჭირდა. აქ მახვილიო, იქ რბილი ნიშანიო, აქ ერთი წერია — მეორე იკითხებაო. ენის ამდენ საიდუმლოს სწვდებოდა და ვერ ჩასწვდენოდა ირაკლი.

ახლა, ეტყობა, ბორისი ამეცადინებდა. მაგიდაზე რუსული ლიტერატურის ქრესტომათია იყო გადაშლილი. ალბათ გაკვეთილი დაამთავრეს და ახლა პატაკს იზეპირებდა.

„არისტარხოვნა“! — კენჭებივით რაკარუკით მომახალა.

მეც რაღა დამრჩენოდა, რუსულის მასწავლებლის იერი მივიღე, თავშემართული და მკაცრი სახით რომ გადმოგვხედავდა, ისე.

ირაკლიმ სიქა გააგდებინა, სანამ პატაკი კარგად არ დაისწავლა. მთავარი იყო, ზეინაბ ლაბაძესთან გამოესყიდა თავისი დანაშაული.

პატაკი კარგად დაისწავლა, მაგრამ მაინც შიშობდა. ვინ იცის, რა გუნებაზე შეხვდებოდა მასწავლებელი. რიხით რომ მოეხსენებინა, იქნებ შესდავებოდა, თავს რად იგდებო, ხმადაბლა და მიკნავებით ეთქვა, ეს რასა ჰგავსო, შეიძლება ამისათვისაც გაეკიცხა. ასეა, როცა ადამიანი არ გიყვარს, ყველა მისი საქციელი უცნაური გეჩვენება.

— ჩამაშტერდა, ბიჭო, ჩამაშტერდა და ვიცი, არ გამახარებს, — წუწუნებდა ირაკლი ოტიაშვილი იმ დრომდე, ვიდრე რუსულის გაკვეთილის ზარი არ დაირეკა.

— ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ, რა... არ მიღალატოთ. გიბრძანებთ თუ არა, ადექით. მერე კარგა მაგრად „ზდრავიია ჟელაემ“... ლევან, მოდი აქ, ხელი დამადე!

მკერდი მომიშვირა. გულისფეთქვა გამასინჯა. შემეცოდა, ემანდ მართლა არ ამოხტეს ამ საცოდავის საგულედან-მეთქი.

მგონი მე უარესად ვღელავდი. ახლა თითქმის ყველანი განვიცდიდით ირაკლის აფორიაქებას.

პირველი გაკვეთილი რუსული გვქონდა. მესამე და მეოთხე რომ ყოფილიყო, ირაკლი უკვე გამოცდილი გვეყოლებოდა. პირველი გაკვეთილი, პირველი პატაკი! მერედა, ვის უნდა წარუდგეს!

დაირეკა ზარი. მასწავლებელი ჯერ არ იყო შემოსული, ყველა ჩვენ-ჩვენ მერხს ვუსხედით გასუსულები. ირაკლი ოტიაშვილი მერხების წინ იდგა და ხელებს იფშვნეტდა.

— სმელეე! — აქეზებდა ბორისოვი.

კარი გაიღო თუ არა, ირაკლი მაშინვე ჩვენკენ შემობრუნდა, ერთი კი შეგვძახა, ადექით, სმენაო, მერე სხარტად შეტრიალდა და გახევდა. მის წინ ისტორიის მასწავლებელი ლიდა ლოლაძე იდგა. მასწავლებელი გაკვირვებული მიაჩერდა ასევე სახტად დარჩენილ მორიგეს.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით? — ჰკითხა ბოლოს მასწავლებელმა ირაკლის და სთხოვა, დაბრძანდითო.

მართლაც, მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა ერთხელ გვთხოვა, მისთვის არავის მოეხსენებინა, შემოვიდოდა, მოგვესალმებოდა, ჩვენ „ზდრავიია ჟელაემს“ დავ[illegible]თ. ამ დროს იგი თვალებს ხუჭავდა და, ხმა რომ მიწყდებოდა, თვალს მერე ახელდა.

— ზეინაბ არისტარხოვნა? — ძლივს ამო[illegible]ლი ოტიაშვილმა.

— ზეინაბ არისტარხოვნამ და მე შევცვალეთ გაკვეთილები, მას საქმე ჰქონდა ამ დილით და ვერ მოახერხა მოსვლა. გამარჯობათ, ყმაწვილებო! — უცებ მოაგონდა ლიდა ლოლაძეს და მაშინვე დახუჭა თვალები.

— „ზდრავიია ჟელაემ!

მაინც რა ხმა გვქონდა. გეგონებოდა, ჭერს ჩამოვიღებდით და კედლებს გავანგრევდით, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე რჩებოდა და ჩვეულებრივად იწყებოდა გაკვეთილი.

მეორე გაკვეთილზე პატაკი ჩინებულად მოახსენა ირაკლიმ ფიზიკის მასწავლებელს. ბიჭებმა შევაქეთ და გული გავუკეთეთ. ცოტა გამხნევდა.

დადგა გადამწყვეტი წუთები. უკვე შორიდან, მოხურულ კარს იქით გავიგონეთ ნაცნობი ფეხის ხმა, აჩქარებული, რაღაც მეტისმეტად მტკიცე. კარი გაიღო და ზეინაბ ლაბაძე შემოვიდა.

— ადექით, სმენა!

ასე შეწყობილად ვგონებ კარგა ხნის გაწვრთნილი ჯარისკაცები ვერ მოიქცეოდნენ. სხარტად წამოვდექით



და გავიჭიმეთ. წამს მდუმარება გამეფდა. ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. მერე ირაკლიმ სამწყობრო ნაბიჯი დასცხო და მასწავლებელს წარუდგა.

— ზეინაბ არისტარხოვნა... — მთავარი ბარიერი ვაჟკაცურად და უშეცდომოდ გადალახა, დანარჩენი უფრო თავისუფლად წავიდა. გულზე მომეშვა.

ზეინაბ მასწავლებელი გაქვავებული სახით მისჩერებოდა ირაკლი ოტიაშვილს. ბიჭმა პატაკი მოათავა და ჩვენკენ შემობრუნდა სხარტად.

— გამარჯობათ! — მოგვესალმა მასწავლებელი და ჩვენი „ზდრავია ჟელაემ“ სიამოვნებით და ამაყად მოისმინა.

ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელმა მერხებს შორის ჩაიარა და ჩვეულებრივ რამდენსამე წამს ირაკლისთან შეჩერდა. უკვე შევეჩვიეთ იმ ამბავს, რომ აგერ მერვე თუ მეცხრე გაკვეთილია ასე იქცევა ზეინაბ ლაბაძე. ოტიაშვილიც უყურებს გულუბრყვილო ბავშვის თვალებით და რაღაცას ელოდება.

მასწავლებელი ერთი ნაბიჯით გაშორდა ოტიაშვილს, მერე უცებ შებრუნდა მისკენ.

— ოტიაშვილო!

გაკვეთილის გამოსაკითხად გამოიძახა. დაფასთან გაიხმო. ახლა კი აღარაფრისა მეშინოდა, რადგან ვიცოდი, რომ საზეპირო ლექსი ნაკადულივით გადმორაკრაკდებოდა ირაკლის პირიდან. ასეც მოხდა. მასწავლებელი იქვე მახლობლად იდგა და ყურადღებით უსმენდა. როცა ირაკლიმ ლექსი უშეცდომოდ ჩაათავა, ხელები ჩამოუშვა და სმენაზე გაჩერდა.

— მდა! — თქვა მასწავლებელმა და თავის მაგიდას მიუახლოვდა, — თუ მოინდომებთ, ხართ ბაიბურში.

გაგვეცინა. მაშინ მან მწყრალად შემოგვხედა.

— არაფერი მითქვამს სასაცილო. დაბრძანდით, ოტიაშვილო.

მასწავლებელმა ნიშანი ჩაუწერა ჟურნალში. ირაკლიმ კისერი წაიგრძელა, მაგრამ მაგიდაზე გადაშლილ ჟურნალში იმ პატარა უჯრას, სადაც ნიშანი მოათავსა მასწავლებელმა, მისი მზერა ვერ მისწვდა. მთავარი ახლა ის იყო, რომ იმდღევანდელი ვალი მთლიანად და პირწმინდად გასტუმრებული ჰქონდა რუსულის მასწავლებელთან. ლაღად წავიდა თავისი მერხისკენ.

შესვენებისას ირაკლი ბორისთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— მადლობელი ვარ. შენც თუ რამე გაგიჭირდეს, აქა ვარ, დაგა ხელი!

ტყუილად როდი იდებდა ვალს. ბორისს მათემატიკაში უჭირდა, მაშინ, როცა ოცეულში ყველას გვაჯობებს ირაკლი ოტიაშვილმა და ბაგრატ მინასაროვმა.

— ჯავშანსატანკო ჯარების სარდლის პოსტისკენ უჭირავს თვალი! — თქვა ოტიაშვილმა მინასაროვზე, როცა მან პირველი ხუთიანი მიიღო მათემატიკაში. იმთავითვე სანიკიძის საყვარელ მოსწავლეებად იქცნენ ოტიაშვილი და მინასაროვი.

მე უფრო ისტორია მიტაცებდა და ამის გამო ლიდა ლოლაძემ ყველასაგან გამომარჩია. ასე იყო სოფლის სკოლაშიც და, ალბათ, ყველა სკოლაში ასეა. მასწავლებელს კლასში თავისი ძირითადი „დასაყრდენი“ მოწაფე ჰყავს, რომელიც საგნის სიყვარულით სხვებისაგან გამოირჩევა და ამის გამო სხვებზე მეტად უყვარს მასწავლებელსაც.

მაგრამ ბოლქვაძეებს ყველაფერზე ჰქონდათ ხელი ჩაქნეული. გულს არაფერს უდებდნენ და თითქოს სიზარმაცეში ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ერთი რომ რამეს წაიკნავლებდა, მეორე და მესამე წაკნავლებასაც არ იმეტებდა. ბორისოვმა შესთავაზა, რუსულში დაგეხმარებითო, აქეთ მინასაროვი და ოტიაშვილი [illegible] ფრონტიდან უტევდნენ. მეც არ დავიხიე უკან. მაგრამ მათ არც ჩვენი დახმარება ინებეს და გულ[illegible]ნი ერთმანეთს არ შორდებოდნენ.

მშობლები და ნათესავები ხშირად აკითხავდნენ ბიჭებს, ესაუბრებოდნენ მასწავლებლებს, ბოლქვაძეებს კი არავინ აკითხავდა. აჭარის შორეული სოფლიდან აბა ვინ ჩამოვიდოდა!

ერთ დღეს ბიბლიოთეკაში შევედი. ირაკლი ოტიაშვილმა იქ მომაგნო და ჩურჩულით, სხაპასხუპით მითხრა:

— მამაშენი მოვიდა და ეზოში მაიორ თედიაშვილს ელაპარაკება, დაგა ხელი, სამახარობლო! მგონი ცხენი ჩამოგიყვანა.

ირაკლის ხელზე ხელი დავუკარი და ეზოში გავვარდი, სადაც მაიორი თედიაშვილი მამაჩემს შეხვედროდა.

მე და მამაჩემმა ჯერ ხელი ხელს შევაგებეთ, მერე ერთმანეთს მოვეხვიეთ.

— ცხენი სადღაა, მამი?

— იპოდრომის თავლაში მივიყვანე. წამოდით და ჩაიბარეთ თქვენი ცხენი.

დედაჩემს პატარა კალათით ხილი გამოეტანებინა მამაჩემისათვის.

ბიჭებს თუ რამე მოსდიოდათ შინიდან, მოსაკითხი პირად საკუთრებას აღარ წარმოადგენდა. ის საერთო იყო. ერთი თხილის გულს ცხრად კი არა, ოცდაათად ვყოფდით, რამდენი ბიჭიც ვიყავით ოცეულში, ნობათს ჩვენს მარია დეიდას, „გარბუშკა-გოლუბუშკას“ ვაბარებდით და მერე ის გვინაწილებდა ყველას სადილზე თუ ვახშამზე.

კალათა მარია დეიდასაკენ გავაქანე და უმალ უკან დავბრუნდი.

— სხვა, ისე, სწავლა როგორ მიდის, შვილო? — მკითხა მამაჩემმა.

— მიდის, რა, სულ რუსულად არის. ცოტა გვიჭირს მაგრამ ეგ არაფერი.

— მასწავლებლებს გიქებდათ ამირანი.

— კარგი მასწავლებლები გვყავს.

ამირან ძია ჩვენკენ მოიჩქაროდა. ისეთი სახით მოდიოდა, თავისუფლება ორივეს განაღდებული გვქონდა.

ცოტა ხნის შემდეგ მე, მამაჩემი და ამირან ძია იპოდრომისაკენ ტაქსით მივქროდით. გული ისე მიმიწევდა იქითკენ, თითქოს ცხენს კი არა, ძალიან ახლობელსა და სასურველ ადამიანს უნდა შევხვედროდი. მივალ, მოვეხვევი შუქურას. აბა, რას გაიგებს ჩემი სიხარულისას! ვერც ვერაფერს მეტყვის და, რამდენიც არ უნდა ვუთხრა მოსაფერებელი სიტყვები, ის მაინც ვერაფერს მიხვდება. ხოლო მაშინ, როცა მოვახტები და გავაჭენებ, ეს იქნება მისი ბედნიერება. აი მაშინ მიხვდება, ალბათ, ვინ აკლია და რა აკლია. დგას ახლა იპოდრომის თავლაში სხვა ცხენებთან ერთად და არც კი იცის, სად და რატომ მოიყვანეს. არა, იქნებ იცის კიდეც და თავისებურად განიცდის სიხარულს.

იპოდრომის თავლაში კოხტა ცხენები ებათ. ამ კოხტა ცხენებში მაშინვე გამოვარჩიე ჩემი შუბლვარსკვლავა. მივუახლოვდი თუ არა, თავი მაღლა ასწია, ყურები დაცქვიტა, თითქოს ფაფარიც აებურძგლა, ერთი კი შემომხედა შუქიანი თვალებით. მიცნო. ვიგრძენი, რომ მიცნო. მე ვთქვი, ახლა ერთს მაგრად დაიჭიხვინებს, ტორსაც დასცემს სიხარულის ნიშნად-მეთქი. მოლოდინი გამიცრუვდა. უცებ ჩამოყარა ყურები, თავი შეატრიალა და უმძრახივით საითკენღაც გაიხედა.

მივვარდი, კისერზე მოვეხვიე და ვაკოცე.

— მე ვარ, ბიჭო, აქეთ მოიხედე, შუქურა!

თავი ჯიუტად ეჭირა და არ უნდოდა ჩემკენ მოეპყრო მზერა.

— რაო, გემდურის? — მკითხა მოახლოებულმა ამირან ძიამ.

— ალბათ ემდურის, — გაიღიმა მამაჩემმაც.

გული მეტკინა. ნუთუ მართლა დამემდურა? ნუთუ ვერ მიცნო?

— შუქურა! — შევძახე ხმამაღლა.

ჩემკენ მოიხედა, ქვიქვირი მხარზე დამადო და ამ დროს მის თვალებში ცრემლი შევნიშნე. გული მეც ამიჩუყდა, თავზე მოვხვიე ხელები და თეთრ შუბლზე ვაკოცე. მერე ისევ შემართა თავი, ისევ აცქვიტა ყურები და ტორიც დასცა. მაგრამ არ დაუჭიხვინებია. ალბათ მაშინ დაიჭიხვინებდა, როცა იპოდრომის სარბენ ბილიკზე გავიდოდით.

შაბათს ლიანა დათუაშვილის წერილი მივიღე. ისე როგორც წინა წერილი, ესეც სახალისო იყო, მწერდა ბიჭების ამბავს, სხვადასხვა ჭორსა და მართალს. გაუჩნდა საქმე. ალბათ თავის დღეში რაც არ უწერია, წერს და წერს. სისულელეები იყო თუ აცაბაცა ნაწერი, მაინც რაღაც იგრძნობოდა მასში მიმზიდველი — რაც უნდა იყოს, ჩემი მშობლიური სოფლიდან მოვიდა ბარათი. სკოლის ამბავს რომ დაიწყებდა, უცებ რაღაც გაახსენდებოდა და იმაზე გადადიოდა. წერის დროს ალბათ მღეროდა და იმიტომ გამოსდიოდა ყველაფერი დაბნეული.

წერილის ერთი გვერდი რომ წავიკითხე, მეორეზე გადაველი და წერილის ბოლოში ნახატს რომ დავხედე და წარწერაც წავიკითხე, აბა, თუ მიხვდები, ეს რა არისო, რა დამემართა, იცით? ალბათ ისე გავწითლდი ამ მოულოდნელი რამის გამო, ოტიაშვილს ელდა ეცა.

— ცუდი ამბავი ხომ არ არის, ბიჭო?

— აბა, ცუდი რა უნდა იყოს, ირაკლი! მოდი, დახედე, რა ხატია.

ირაკლიმ დახედა და გულზე მოეშვა. ლიანას წერილში ისრით დაჭრილი გული იყო დახატული. რას ნიშნავდა ეს, თუ არა ქარაფშუტა გოგოს რაღაც ნიშანს!

— ვინ არის, ბიჭო?

— ჩემი თანაკლასელია.

— ისრით დაჭრილი გული ხომ სიყვარულის ღერბია, ბიჭო! შეჰყვარებიხარ და ეგ არი. დაგა ხელი!

— მომეშვი, თუ ძმა ხარ!

— რათა, რა?!

— ახტაჯანას ერთია, ნეტავი გაჩვენა...

— ჰო, თუკი ასეა... არა, ძმაო, ღმერთმა დაგიფაროს. ერთ ჩვენებურს ჰყავს ახტაჯანა ცოლი და რა დღეშია ის უბედური! ქალი რომ აივანზე გადმოდგება და თავის ქმარს წყევლას დაუწყებს, სოფლის მოედანზე რომ რადიო გვაქვს, იმისი ხმა სულ აღარ ისმის ხოლმე. სულში და გულში გარჭობილი ისარი სიყვარულია ნამდვილად. ადექი და შენ კიდევ მისწერე, ვითომ ტყემალზე ზიხარ: მე ეგრე გავიგე, ესა სულუგუნში გარჭობილი შამფურიათქო, მისწერე, მისწერე... აბა, ვნახოთ ერთი, ის რაღას მოიწერება.

გამეცინა. ირაკლის ნათქვამი მომეწონა, ჭკუაში დამიჯდა და სწორედ ასე მივწერე ლიანას, ეს შენი ნახატი სულუგუნში გარჭობილი შამფურია-მეთქი. მერე ღრმად ჩავფიქრდი, რამ დაახატინა ასეთი რამ, ნუთუ მართლა რამე იფიქრა? შიში ვიგრძენი. მაგრამ საქმე ის იყო, შიშში სიხარულიც რომ ერია. და ამ დომხალმა ამირია გონება. რას არ ვფიქრობდი, რას არ ვიგონებდი. მაგრამ სულ თვალწინ მედგა სოფლის ახტაჯანა გოგო ლიანა.

გუნცაძე არაფერში ჩამოუვარდებოდა ბოლქვაძეებს, მეტისმეტად ჩუმი და გულჩათხრობილი იყო. მაგრამ ბოლქვაძეებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ გული არსად მიუწევდა. მნახველიც არავინ მისდიოდა. რამდენიმე დღის წინათ გავიგეთ, რომ მას არავინ ჰყავდა და ბავშვთა სახლიდან მოვიდა სკოლა-ინტერნატში.

ეს რომ გავიგეთ, ამის შემდეგ ბიჭებს თუ რამე ნობათი მოგვივიდოდა, ხილი იქნებოდა თუ სხვა რამ, განაწილებისას ყველაზე მეტი გუნცაძისა იყო, მერე ბოლქვაძეებისა, დანარჩენს ჩვენ ვიყოფდით. მაგრამ ისინი ამას თაკილობდნენ და ჩვენთან თანაბარ წილში გადიოდნენ.

ეს ბიჭები ჩვენში სიბრალულს იწვევდნენ და სულ დადარაჯებული ვიყავით, არავისგან სწყენოდათ რამე. მეგობრულ სითბოსაც გრძნობდნენ და ჩვენი დიასახლისის „გორბუშკა-გოლუბუშკას" ალერსსაც, მაგრამ არა, მაინც შინისკენ ეჭირათ თვალი ბოლქვაძეებს, მაინც დაღვრემილი იყო გუნცაძე.

ერთ დღეს გენერალმა ოცეულში თავისი შოფერი, ჯარგამოვლილი ნუგზარ მაჭარაძე ამოგზავნა და სამივე ბოლქვაძე ეზოში დაიბარა. ცხვირებივით მორჩილად გაჰყვნენ ნუგზარს ჯამლეთი, ჯემალა და ფრიდონი.

გენერალი ეზოში მანქანასთან იდგა და ბიჭებს ელოდებოდა.

ფანჯარასთან ვიდექით და დავინახეთ, როგორ წარუდგნენ ბოლქვაძეები სკოლის დირექტორს. ისინი გზადაგზა ნუგზარის განიერ მხარ-ბეჭს ეფარებოდნენ, ალბათ შიშობდნენ, განიცდიდნენ. მაგრამ გენერალი ღიმილით შეხვდა, სამივეს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად მერე ხელითვე ანიშნა, მობრძანდით მანქანაშიო. ბიჭები გაუბედავად შელაგდნენ. ნუგზარმა კარი მიხურა. გენერალი თავის შოფერს მიუჯდა და დაიძრნენ.

— წაიყვანეს აჭარაში, — თქვა ირაკლიმ, — არც კი გამოგვამშვიდობეს. ასე მალე რა უბედურება დაემართათ! ნეტავი მაჩვენა რა ისეთი სოფელი და სახლ-კარი აქვთ, ჩვენ სოფელსა და ჩემს სახლ-კარზე უკეთესი! მაგრამ არა, ძმაო, სანამ პოლკოვნიკი არ გავხდები, არ დავბრუნდები.

ბიჭებმა გაიცინეს. წარბა ბიჭს მთელი სკოლა-ინტერნატი იცნობდა. ჩვენს ოცეულში ხომ მეგობრული სიყვარულის მტკიცე ბალავარი ჩაიყარა.

არავინ იცოდა, სად წაიყვანა გენერალმა ჯამლეთი, ჯემალა და ფრიდონი.

იმ დღეს მე და ამირან ძია იპოდრომზე ვიყავით. ბიჭები არ წაგვიყვანია, ვინაიდან ცხენების საქმე ასე უცებ ვერ მოგვარდა.

ის იყო, მე და ამირან ძია სკოლაში დავბრუნდით, თითქმის ფეხდაფეხ მოგვყვა გენერლის მანქანა. მე ეზოში დავრჩი ბიჭებთან, მაიორი კი სკოლაში შევიდა.

მანქანის დანახვაზე გვერდზე გავდექით, გენერლისა მოგვერიდა, მაგრამ შორიახლო გაჩერებული მანქანიდან მხოლოდ ბოლქვაძეები გადმოვიდნენ და მაშინ შევნიშნეთ,, რომ ნუგზარის გვერდით გენერალი არ იჯდა. მყისვე ბიჭებს მივეხვიეთ. ისინი მხიარულ გუნებაზე იყვნენ. ჩვენც გაგვახარა მათმა გამოდარებამ, ნუთუ ამით გათავდა ყველაფერი და ამიერიდან ისინიც მხარში ამოგვიდგებოდნენ?!

გენერალს მთელი თბილისი მოუტარებია, სად არ ჰყოლია. ფუნიკულიორის პლატოზე მათთან ერთად რესტორანში უსადილია. შებინდებისას გენერალი შინ წასულა, ბიჭები ნუგზარისთვის გამოუყოლებია.

ამ ამბებს ძუნწად ჰყვებოდნენ, ლაპარაკი უჭირდათ, მაგრამ მათ თითოეულ სიტყვაში იგრძნობოდა იმ დღეს განცდილი სიხარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საღამოს, ძილის წინ, ისე როგორც ყოველთვის, მარია დეიდამ ჩამოგვიარა, თავისებურად ყველას საერთოდ მოგვიალერსა, „გოლუბუშკი“ გვითხრა, მერე ღამე მშვიდობისა გვისურვა, სინათლეც ჩაგვიქრო და დერეფანში გავიდა.

მე მთელი გულისყური ბოლქვაძეების საწოლისკენ მქონდა. დაწვნენ, საბნები წაიფარეს და დაიძინეს. ალბათ, ის პირველი ღამე იყო, მშვიდად, აუღელვებლად რომ დაიძინეს. მაგრამ დილით, როცა ადგომის ბუკზე წამოვცვივდით და გამამხნევებელ ვარჯიშზე ეზოში მოვეწყეთ, ბოლქვაძეებმა კვლავ აითრიეს ფეხი. საუზმეზე უხალისოდ გალეჭეს ლუკმა და როცა სამხედრო კაბინეტში გაკვეთილზე შევედით, ისევ ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, როცა შეატყვეს ბოლქვაძეებს, რომ ისინი ვერა და ვერ ეგუებოდნენ ჩვენს სკოლას, გენერალმა სამივეს გზა მშვიდობისა უსურვა, კანცელარიის ერთი მუშაკი გააყოლა, მატარებელში ჩასხა და შინ გაუშვა.

ჩვენი ოთახიდან მათი საწოლები გაიტანეს და ოცეული სამი კაცით შემცირდა.

— კიდევ ვის უნდა წასვლა? — თვალი გადმოგვავლო მაიორმა კუნელაშვილმა, როცა სამხედრო კაბინეტში მის გაკვეთილზე დავსხედით.

ოცეული დუმდა. მასწავლებელი ამით დაკმაყოფილდა, სტენდიდან ავტომატი გადმოიღო და თავის მაგიდაზე დადო. რამდენიმე ავტომატი კიდევ გვქონდა, ასევე ხელის ტყვიამფრქვევი, პისტოლეტები, შაშხანები, კარაბინები, რადიო-სატელეფონო მოწყობილობა, საინჟინრო ხელსაწყოები. ერთი სიტყვით, საკმაოდ ვიყავით შეიარაღებული და ჩვენი სკოლის არსენალი დღითიდღე იზრდებოდა.

მაიორმა ავტომატი მაგიდაზე რომ დადო, ჯიბიდან გრძელი შავი ნაჭერი ამოიღო.

— ახლა როგორც მე დავშლი და ავაწყობ იარაღს, თქვენც ისე უნდა შეძლოთ.

გასუსულები მივჩერებოდით. პირველად ვერ გავიგეთ, რად სჭირდებოდა შავი ნაჭერი, მაგრამ როცა მან თვალები აიხვია და ნაჭერი კეფაზე გაინასკვა, მივხვდით, რაც უნდა მომხდარიყო.

ნუთუ შეიძლება ასე თვალახვეულმა დაშალოს დაააწყოს იარაღი!

მაიორმა ავტომატს სწრაფად გამოაცალა საკეტი და იწყო მისი დაშლა.

სამარისებურ სიჩუმეში ირაკლიმ წამჩურჩულა:

— ცირკია?

და ეს ერთადერთი სიტყვა გახდა იმის საბაბი, რომ მაიორმა ავტომატის ნახევრადდაშლილი საკეტი მაგიდაზე მიაგდო და ნაჭერი ნერვულად მოიხსნა. რა სმენა შერჩენია ამ კაცს! ალბათ გაიგონა და გულიც ამიტომ მოუვიდა. მას უნდოდა ჩვენთვის თავისი სამხედრო გაწვრთნილობა ეჩვენებინა, გავეკვირვებინეთ და ამით ჩვენი ინტერესი გაეღვივებინა, რომ ჩვენც ასევე თვალახვეულთ შეგვძლებოდა იარაღის დაშლა-აწყობა. მაგრამ ამ დროს მოულოდნელად, ჩურჩულით, მაგრამ მაინც გაისმა ვიღაცის აგდებით ნათქვამი „ცირკია“?. სხვას შეიძლება წაეყრუებინა, მაიორი კუნელაშვილი ასეთი კაცი არ ჩანდა. ჭროღა თვალები აახამხამა და მკაცრად გადმოგვხედა.

— აქ დედიკოები და მამიკოები... — დაიწყო და ქვედა ყბა აუთრთოლდა. მერე უცებ მოჭრა. — ვის მოენატრა ცირკი, გამობრძანდეს!

მაშინვე წამოდგა ირაკლი ოტიაშვილი.

— აქეთ გამობრძანდით! — უბრძანა მაიორმა. ვინაიდან არ უნდოდა დრო დაეკარგა, ბევრი არაფერი უთხრა, დაფასთან გაიყვანა და ფეხზე დგომით დასაჯა. თვითონ კი ისევ ნაჭრით აიხვია თვალები და საკეტი სულ რამდენსამე წამში დაშალა. ჩვენ გაოცებულები შევყურებდით. მოვიხიბლეთ მაიორის სამხედრო ოსტატობით. ამ დროს წარბა ბიჭმა დაფასთან რაღაც წაიეშმაკა, ბიჭებმა თავი ველარ შეიკავეს და ფხუკუნმა წინა მერხებიდან ბოლომდე ჩაიარა. მაიორმა ისევ ნერვულად მოიხსნა ნაჭერი.

— რა გაცინებთ?

რომელი ჩვენგანი ადგებოდა და იტყოდა, ოტიაშვილის ოხუნჯობაზე გვეცინებაო. არადა, კაცს ეგონებოდა, მე დამცინიანო. რა გვექნა, არ ვიცოდით. ამხანაგის დასმენას ისევ დუმილი ვამჯობინეთ. ოტიაშვილი კი მიამიტი ყმაწვილივით იდგა ჩუმად და უძრავად. არ ვიცი, მასწავლებელმა რა იფიქრა, უცებ მოუბრუნდა ოტიაშვილს. იგი თვალსაც კი არ ახამხამებდა, იდგა სმენაზე, გახევებული.

— ზურგისა-კენ! — უბრძანა მაიორმა და ისიც უმალ პირით დაფისაკენ მიბრუნდა. მაიორმა მწყრალად გადმოგვხედა და თითის დაქნევით დაგვემუქრა ყველას. მერე ისევ აიკრა ნაჭერი.

მარცხენა ხელი ნელ-ნელა ასწია ოტიაშვილმა, თავთან მოხარა და იღლიიდან ქვეშ-ქვეშ გამოგვხედა. უნდა გენახათ, როგორ საოცრად, ეშმაკურად უციმციმებდა თვალები. ისეთი საყვარელი და ყველას გულზე დახატუ-

ლი ბიჭი იყო, რაც უნდა გაეკეთებინა, როგორ დავასმენ-დით!

ერთბაშად წაგვსკდა ფხუკუნი.

მაიორს მიტკლის ფერი დაედო. ახლა კი მოიგლიჯა ის შავი ნაჭერი და ისეთი სახე მიიღო, გვეგონა, ჩვენ წინ გულგახეთქილი დაეცემოდა. შეგვეშინდა და უმალ გავ-ხევდით.

— რა გაცინებთ?

მადლობა ღმერთს, არაფერი მოსვლია. მხოლოდ სიბ-რაზემ გააფითრა.

ვდუმვართ, არაფერს ვამბობთ. გვეკითხება ყველას ერთად და ეს საერთო პასუხი კი არა ჩანს.

— რა გაცინებთ? — კიდევ ერთხელ იკითხა და კვლავ ყრუ კედელს შეეჯახა მისი კითხვა. ახლა უკვე სათითაოდ



ყველას მოგვიარა ბავშვურმა სიჯიუტემ და ჟინმა, არაფ-რით არ გვეთქვა ჩვენი სიცილის მიზეზი.

— გადით! მოეწყეთ! — დაიყვირა უცებ. მაგიდაზე დადებულ თავის ქუდს დასწვდა და პირველი ის გაემარ-თა კარისკენ.

·ირაკლი ოტიაშვილმა რომ შეატყო, მისი მიზეზით საქმე ცუდად მიდიოდა, ადგილს მოსწყდა და მაიორს კართან წამოეწია:

— პატივცემულო, ამხანაგო მაიორო...

მაიორს კი ყურის დაგდება არ უნდოდა. დაბნეული ირაკლი წამოშლილ ბიჭებს მოგვიბრუნდა.

— მაპატიეთ, ბიჭებო!..

ბრძანება ბრძანებაა და იგი უყოყმანოდ უნდა შეს-რულდეს.

მაიორმა ეზოში მოგვაწყო. და როცა ოტიაშვილმა კი-დევ ერთხელ წამოიწყო სათქმელი, კუნელაშვილმა ისე წაუსისინა, ენა მუცელში ჩააგდებინა.

— ნაბიჯით იარ! — ჩახლეჩილი ხმით გვიბრძანა მა-იორმა და ჭიშკრისკენ დაგვძრა. მერე გორაკისაკენ აღ-მართს შევუყევით.

— სირბილით! — მოგვახალა და მაშინვე აძუნძულ-და. მცირე მანძილი რომ ავლიეთ და გული აგვიჩქროლ-და, მაიორმა შეგვაჩერა. ეტყობოდა, გული ყელში ებჯი-ნებოდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა.

— რაზე იცინოდით? — ძლივს ამოღერღა და, როცა კვლავ დუმილის კედელს დაეჯახა, გვიბრძანა, სირბი-ლითო.

ავივაკეთ და აქ უკვე ადვილი იყო სირბილის წინ მალე ბექობი გადაგველობა. ბექობთან შეგვაჩერა, ლამის ენა გადმოვარდნოდა, ისე ქაქანებდა. ჩვენც მო-გვასკდა ოფლი შუბლზე და ბეჭებზე.

— არც ახლა იტყვით, რაზე იცინოდით?

— ამხანაგო მაიორო, მე...

— ოტიაშვილო, ხმა ჩაიგდე, თორემ... — უარესად გაფითრდა მაიორი.

ახლა უკვე ძნელი იყო დათმობა. ამ ბექობს კი არა, ცხრა ბექობს გადავირბენდით. სირბილი როგორ დაგვღ-ლიდა! აბა, ვნახოთ, ვინ ვის, მაიორი ჩვენ, თუ ჩვენ მა-იორს ვაჯობებდით. ვატყობთ, რომ ძალა ელევა. მალე ალბათ სადმე ჩაიკეცება. ისიც ჯიუტობს. ალბათ სუ-ლის ამოსვლამდე ასეთი მბრძანებელი იქნება, ასე მკაცრი და ულმობელი. არც თავს ზოგავს და არც ჩვენ, ოღონდ გვათქმევინოს.



— მცხეთამდე... გორამდე... ხაშურამდე გარბენი-ნებთ... თქვით, რაზე იცინოდით!

„ქუთაისამდე, სოხუმამდე, სოჭამდე!“ —ალბათ ყვე-ლა ჩვენგანი გუნებაში უმატებდა.

არა, საკითხავია, განა თვითონ კი ესიამოვნებოდა, ამ-ხანაგი რომ დაგვებეზღებინა? ჩვენ ჩვენს საქციელში დიდ ცოდვას ვერ ვხედავდით. განა ღირდა ამდენ ალია-ქოთად? არა, არ ვიტყვით! ვირბინოთ!..

თვალს მიეფარა სკოლა-ინტერნატი. ბექობს გადავც-დით. მაიორი თანდათან უფრო ფითრდებოდა და ძალა ელეოდა. ფეხებს ძლივსღა მიათრევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვაჩერა. უნდა, რომ გვკითხოს, რატომ ვიცინოდით, მაგრამ ერთხანს ენას ვერ იმორჩილებს. ჩვენი გამარჯვება ახლოა. ოფლი წურწურით ჩამოსდის. ჩვენ კი ჯიუტად, ხეპრულად, გულქვად მივჩერებოდით. ო, რა უმოწყალონი და შეუბრალებელნი ვიყავით!

არარაფერი გვითხრა. სკოლისკენ შემოგვაბრუნა. არეული ნაბიჯით ჩამოვედით. ნახირივით შეგვიყვანა სკოლის ეზოში. მერე ხელი აგვიქნია, დაიშალეთო. დავიშალეთ, მაგრამ ჯგუფად გავჩერდით და მივაჩერდით. რამდენიმე ნაბიჯით გაგვშორდა, ქუდი მოიხადა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა, მერე კლუბის მხარეს შევიდა შენობაში.

ჩვენ კი, სახეალეწილი და გაოფლიანებული ბიჭები, ვიდექით და ვუყურებდით, სანამ კარს მიეფარა.

ასე რად დაყარა ფარ-ხმალი? რატომ არარაფერი გვითხრა? — საგონებელში ჩავვარდით.

ირაკლი ოტიაშვილი შეწუხებული სახით შეგვევედრა:

— მაპატიეთ, რა, ბიჭებო... ყველაფერი ხომ ჩემი გულისთვის მოხდა!

— შენ რა... ჩვენ რა!.. — თქვეს ვიღაც-ვიღაცებმა.

სადილობის ჟამი იყო და ჩვენ, „გამარჯვებულმა ჯარისკაცებმა“, სასადილოს მივაშურეთ. ხელები რომ დავიბანეთ, დარბაზის კარებში მარია დეიდა შემოგვეგება.

—სად იყავით? როგორ გაოფლილხართ... გაციება შეიძლება! — შეწუხდა იგი.

— მაიორმა გვარბენინა.

— ნუ ევო კ ჩორტუ! — მაშინვე მიაწყევლა „გორბუშკა-გოლუბუშკამ“. — დასხედით, დასხედით. ასე დაღლილებს აბა რა შეგერგებათ.

მაგრამ შეგვერგო, ისე მადიანად მივაძეხით კერძს.

ნასადილევს ირაკლი ოტიაშვილმა მითხრა:

— არა, მე მაინც უნდა მივიდე და იმასაც მოვუხადო ბოდიში. გულში რაღაც მიტრიალებს.

— რაკი გიტრიალებს...

— გენერალმა რო გაიგოს, ბიჭო... არა, მაინც, რა ეშმაკები შემომიჩნდა, რა ვიცოდი, თუ ესე... გენერალმა რო გაიგოს. ერთს აღარ გაგვაჩერებს სკოლაში. იმას ეგონა, ალბათ მე დამცინიან ბიჭებიო. ვეტყვი, რო მე ვიყავი-მეთქი. წეღან არ მათქმევინა. ახლა მაინც... რო არ მათქმევინოს, მაინც ვეტყვი. პირში რო ბურთი ჩამჩაროს, მაინც დავიღმუვლებ. აბა რა ვქნა, რა ვიცი!

თან ორჭოფობდა, ვერ ბედავდა, მარტო რომ მივიდე, არ მიყვიროსო... მიყვიროს და მიყვიროსო, გამბედაობა მოიკრიბა და სამხედრო კაბინეტისკენ გასწია, სადაც იმ დროს მაიორი კუნელაშვილი ეგულებოდა. ცოტა ხნის წინათ თვალი შეესწრო, მაღლა, კაბინეტისკენ ადიოდაო.

ერთი სული მქონდა, რა ამბავს ჩამოიტანდა ირაკლი. ბოდიშის მოსახდელად მისი წასვლის ამბავი მხოლოდ მე ვიცოდი. ყველას როდი გააგებინა. დერეფანში ფანჯარასთან ატუზული ველოდი. ბიჭები ამ დროს ზოგი ბიბლიოთეკაში იყო, ზოგი გაკვეთილებს უჯდა, ზოგიც კლუბში გადასულიყო.

როდის, როდის გამოჩნდა ირაკლი. დამინახა თუ არა, ჩემთან მოირბინა.

— რა ვნახე, ბიჭო, რა ვნახე!

— რა ნახე ისეთი! რამე ხომ არ მოუვიდა!

დასასრული შემდეგ ნომერში

# ჩვენ მუშური დინასტიისა ვართ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელები სიხარულითა და სიამაყის გრძნობით გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, რომელშიც ლაპარაკია იმ წარმატებაზე, საქართველოს მშრომელებმა რომ მიაღწიეს.

დადგენილებაში ნათქვამია: — „გადაჭარბებით შესრულდა შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი დავალება, რის ხარჯზეც მიღებულია სამრეწველო წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი. გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, შემცირდა მუშახელის დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები“.

— ვისი დამსახურებაა ყოველივე ეს?

ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, მისი მოწინავე რაზმის — ახალგაზრდა მუშებისა, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ მამათა საქმეს.

მუშათა კლასს ხალხმა სიყვარულით შეარქვა „მისი უდიდებულესობა“. მას შემდეგ, რაც რევოლუციამ დაამხო „მისი უდიდებულესობა იმპერატორი“ და მისი დინასტია, გაჩნდა ქვეყნის ახალი, ნამდვილი ბატონ-პატრონი — მუშათა კლასი, უფრო მეტიც — გაჩდნენ მუშური დინასტიები.

მამიდან შვილზე გადადის მუშური პროფესიის ცოდნა და სიყვარული, სიამაყე იმის გამო, რომ სწორედ მუშაა ქვეყნის ღონე და იმედი.

ერთ-ერთ ასეთ ოჯახზე, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშებზე მოგითხრობთ ამ ნარკვევში.

გიორგი ერთი წუთით შეჩერდა ქარხნის ეზოში გაკეთებულ სტენდთან, რომელზეც სულ ახლახან, სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოაკრეს ახალი სიები: „ყოჩაღ!“ — ეწერა გრძელი მწკრივის თავში წითელი საღებავით. „სირცხვილია“! —გვაუწყებდა მეორე, შავი ფერით გაკეთებული წარწერა.

მუშები, რომელთა შვილები პირველ მწკრივში მოხვედრილიყვნენ კარგი სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევის გამო, ხშირად ჩერდებოდნენ ამ მწკრივთან



აკაკი კოხია ვაჟიშვილთან ერთად.

შესვენებაზე თამბაქოს აქ მოსწევდნენ, დინჯ მასლაათს გააბამდნენ და ხანდახან ცერად გახედავდნენ სიას, სიამაყე იგრძნობოდა ამ მზერაში.

ისინი, ვისმა შვილებმაც ცუდი სწავლით თავი შეირცხვინეს, სათოფეზე არ ეკარებოდნენ ამ ადგილს.

გიორგის გაეცინა.

შარშან მამამისი, აკაკი კოხია, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მოწინავე ხარატი, ხშირად ჩერდებოდა ამ სტენდთან და დაუფარავი სიამაყით აყოლებდა თვალს „ყოჩაღ!" წარწერის ქვეშ შვილის სახელს.

გიორგი დინჯი, დამჯერი, ჯანიანი ბიჭი იყო და მამა ფიქრობდა, სკოლის შემდეგ ჩემთან წავიყვან, ხელობას ვასწავლი, ჩემს თვალწინ დავაჟკაცდება და კაცური კაცი დადგებაო.

ხარატი და ისიც კარგი ხარატი, ქარხანაში პირველი კაცია. ახლა კი არა, კარგ ხარატს ძველადაც პატივისცემით ექცეოდნენ. სხვა მუშურ პროფესიათა შორის ხარატი რთულ, მაგრამ საპატიო პროფესიად ითვლება.

აკაკიც ნელ-ნელა, საფუძვლიანად ეუფლებოდა თავის სპეციალობას.

30 წლის წინათ, როცა აკაკი კოხია ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში მოვიდა, ქარხანა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, შენდებოდა.

მეყალიბე-ჩამომსხმელად მუშაობდა. ახალგაზრდა კაცი მალე მიხვდა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას და ავტოტექნიკუმში შევიდა.

ლითონის ცივად დამუშავების სპეციალობას დაეუფლა. მას შემდეგ სამუშაო ადგილი არ შეუცვლია. ახალგაზრდები მოდიოდნენ, ბევრს სურდა ხარატობა, მაგრამ ყველას არ ჰყოფნიდა გულისყური და სიბეჯითე, მალე იცვლიდა სურვილს და სხვა, უფრო იოლ სამუშაოზე ეჭირა თვალი. ზოგი კი, თითქოს ამ საქმისათვის არის დაბადებულიო, საათობით ჩაჰკირკიტებდა ახალი დეტალის ნახაზს, ეკითხებოდა ოსტატს, აზუსტებდა, თავიდან აკეთებდა. ლითონის თხელ, მოლურჯო ბურბუშელას მოაშორებდა ახლად გამოჩარხულ დეტალს, ცალთვალმოხუჭვით შეხედავდა.

— ამისგან კაცი დადგება, — სიამოვნებით გაიფიქრებდა ასეთი ჭაბუკის დანახვაზე აკაკი, ახალგაზრდასთან მივიდოდა, გაამხნევებდა, ნამუშევარს მოუწონებდა, შენიშვნას ფრთხილად, სხვათა შორის შეაპარებდა. ტაქტიანი კაცი შეგირდის თავმოყვარეობას უფრთხილდებოდა.

— უნივერსალურ ხარატად გახდომას წლები უნდა! — აკაკის ეს გამოთქმა მისი მოსწავლეებისათვის ცნობილი იყო. ამ წლების გასვლის შემდეგ ისინი, უკვე თვითონაც კარგი ხარატები, ასევე ეუბნებოდნენ ახალბედებს.

აკაკი არ აჩქარებდა შვილს.

და თუმცა პატარა თვითნაკეთ დაზგაზე გიორგისაც შეეძლო მუშაობა, ხელიდან ყველაფერი გამოუდიოდა, მაგრამ მამას ერთხელაც არ უთქვამს, ქარხანაში წამოდიო.

— არ შეიძლება პატიოსანი იყოს კაცი, რომელსაც შრომა არ უყვარს, — შვილების გასაგონად იტყოდა აკაკი, — რადგან ის საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობს, სხვის კმაყოფაზეა, მუდმივად სხვისი ხელის შემყურეა. ყოველნაირი შრომა დასაფასებელია - გონებრივიც, ფიზიკურიც, თუმცა ეს კია, რომ დღეს გონების ჩაურევლად აღარც ფიზიკური შრომა არსებობს. აიღეთ ჩვენი ქარხანა. ურთულეს ძრავებს ვამზადებთ, თითქმის ყველა სახისას, განსაკუთრებით რთულია ნავთობის ამომტუმბავი ძრავა, მის სიზუსტეს მიკრონებით ვზომავთ და ვანგარიშობთ. აბა, აქ მათემატიკის, ხაზვის უცოდნელად რას გახდები?

გიო ინტერესით უსმენდა მამას. მათემატიკა და ხაზვა საგანგებოდ ემარჯვებოდა. მაგრამ ისეთ შედეგებს მიაღწია ჭიდაობაში, რომ სკოლაში ყველამ ირწმუნა — ეგ უთუოდ სპორტს გაჰყვებაო, 16 წლის ბიჭი ამიერკავკასიის ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის და პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

დედ-მამა ადრე დილით მიდიოდნენ ქარხანაში, ერთადვე ბრუნდებოდნენ. სამი ძმა ცდილობდა დედისთვის საოჯახო ტვირთი შეემსუბუქებინა. საქმე ყველას ჰქონდა. განაწილებაც სამართლიანი იცოდნენ. როცა უფროსი სკოლას ამთავრებდა, მაღაზიაში სიარულის მოვალეობისაგან გაათავისუფლეს, უმცროსებმა იკისრეს პურის, შაქრის, კარაქის ყიდვა, მერე კი, როცა უფროსმა სამსახური დაიწყო და გიოს ჯერი დადგა, ახლა შუათანა ძმა იყო პატივისცემაში და მის წილ საშინაო საქმეს უფროსი და ნაბოლარა ძმა აკეთებდნენ. ბოლოს დადგა ეს დღეც. ვერცხლისფერგერბიანი ატესტატი მაგიდაზე დევს.

სამზარეულოდან საუცხოო სურნელი გამოდის, რაღაც იხრაკება, რაღაც ინაყება, რაღაც ცხვება, ღომი შუშდება.

გიოს ულოცავენ სკოლის დამთავრებას და ბიძის შეკითხვას:

— ახლა რას აპირებ? — გიო უპასუხებს:

— რა უნდა დავაპირო, ჩვენს ქარხანაში ვიწყებ მუშაობას, ელექტრომექანიკურში, აქვე, ყურისძირში, დედასთან და მამასთან.

— მაშასადამე, უკვე კაცია, — ულვა-

შებში ეღიმება მამას და პირველად ავსებს გიოს ჭიქას ღვინით.

— გზა დავულოცოთ! ემატოს ჩვენი ქარხნის მუშურ დინასტიებს.

— გაუმარჯოს კოხიების დინასტიას — ფეხზე დგება მეზობელი, ასიც ამ ქარხნის მუშა, — მართლაც, რამდენი მუშური დინასტია გვყავს, ვაშაყმაძეების ოჯახიდან შვიდი კაცი მუშაობს: მამა, შვილები, რძალი, ჩახუნაშვილების ოჯახიდან — მამა და ქალ-ვაჟი, იბრაჰიმოვები, ნატროშვილები, აფხაიძეები, ჩაჩხიანები, ახლა კოხიებიც დინასტიად ჩაითვლებიან.

— ხარატობა გინდა?

— ჯერ ვერ გავბედავ, ხარატობას დაუფლებას წლები უნდა. — ეს უკვე უმცროსმა კოხიამ თქვა და მამას გადახედა. — ზეინკლობიდან დავიწყებ.

— ჭკვიანია, — გაიფიქრა მამამ, — კაცი დადგება, კაცური კაცი.

●

...ერთი წელიწადია გიორგი კოხია ქარხნის მოწინავე კომკავშირელთა შორის არის. ელექტროძრავების სტატორის ჩამწნეხად მუშაობს. მისი ხელიდან გასული აპარატები ბაქოში იგზავნება, ნავთობის ამოტუმბვაზე იყენებენ. ყოჩაღად მუშაობს, 180 მანეთი ხელფასი აქვს, მამას ჯერ ვერა, მაგრამ დედას კი გაასწრო.

— დაანებე, დედა, თავი მუშაობას, ხომ ხედავ, ორი შენოდენა ხელფასი მაქვს, — სიყვარულით ეუბნება დედას.

— არა, შვილო, სანამ შენი შვილები არ მეყოლება გასაზრდელი, მანამდე ქარხნიდან ფეხს არ მოვიცვლი. მე მამაშენზე ადრე დავიწყე აქ მუშაობა.

ეს ისტორია გიომ კარგად იცის.

აქ გაიცნეს დედამ და მამამ ერთმანეთი.

ბიჭს ჰგონია, რომ ეს დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, დედასა და მამას კი ასე ჰგონიათ, აგერ ახლა იყოო, ერთმანეთი რომ გაიცნეს. წლები მიდიან, ქარხანა იზრდება. მოდიან ახლები, მერე ამ ახალთა შვილები.

ქარხნის შესასვლელში ყოველ დილით სამი კოხია შედის, სამი ალალი და გამრჯე მშრომელი, მეოთხე ჯერჯერობით მეათე კლასშია და დილით ფანჯრიდან დიდხანს უცქერის ქარხნისაკენ მიმავალ თავისიანებს.

ჯერჯერობით არაფერს ამბობს.

ატესტატს მოიტანს და მერე იტყვის, რა ეჩქარება!

კოხიები დინჯი და აუჩქარებელი ხალხია, სამაგიეროდ, რასაც აკეთებენ, ლაზათიანად აკეთებენ.

**ნარგიზა მგელაძე**

ფოტო ბერიჩიკაძისა.

# პიონერულ ხაზზეა რუსთავი!




ჩვენი კლუბის მორიგ შეკრებაზე სიტყვას მეფოლადეთა ქალაქის მე-10 და მე-17 საშუალო სკოლების პიონერულ აქტივს ვაძლევთ. რუსთაველთა თაოსნობა კი შენთვის, შენი სამშობლოსთვის, შენს გარშემო მყოფთათვის კარგად არის ცნობილი. ალბათ გახსოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან: „საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობამ გულთან უნდა მიიტანოს სახელოვან რუსთაველ მეტალურგთა შესანიშნავი თაოსნობა — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“

გვესაუბრება რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის მარჯვენაფლანგელი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, პიონერთა VII საკავშირო შეკრების დელეგატი მაია ქუფარაშვილი. მაია თქვენს წინაშე პიონერთა საკავშირო ორგანიზაციის გაშლილ დროშასთან გადაღებული სურათით წარდგება.

## მაია ქუფარაშვილი

— პიონერული აქტივის მოვალეობა მხოლოდ მის რაზმეულში არ მთავრდება. ეს განსაკუთრებით მეშვიდე საკავშირო შეკრებაზე ვიგრძენი.

არტეკში წასვლამდე თიანეთში გამართულ პიონერული აქტივის რესპუბლიკურ შეკრებაზე გამგზავნეს. პიონერული აქტივის ბანაკში სემინარზე ბევრი რამ გავიგეთ ერთმანეთის შესახებ. აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება თითოეულმა ჩვენ-ჩვენს რაზმეულში წავიღეთ. ყველაზე მეტად შეჯიბრება და კონკურსები მოგვეწონდა. ისიც შევამჩნევია, რომ ბავშვებს მოულოდნელობა მოსწონთ. მოსწონთ, როცა რგოლი რგოლსა და რაზმი რაზმს ეჯიბრება მოხერხებულობაში, მოსაზრებულობაში, ხელსაქმის ცოდნაში, სპორტში, ჩხირკედელაობაში.

რუსთავიდან არტეკში ორნი ვიყავით წარგზავნილი — მე და მეორესკოლელი ბესიკ თხელიძე, სულ საქართველოდან კი — 42. მე არტეკის რაზმეულის საბჭოს წევრად ამირჩიეს, ხოლო ჩემი რაზმიდან მეშვიდე საკავშირო შეკრების შტაბის წევრად ორნი შეგვიყვანეს — მე და ტაშკენტელი ალი ბახადურიანი. შეკრების შტაბის თავმჯდომარედ მოსკოვის 63-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ალეს ცუპრინი ავირჩიეთ. მე მისი მოადგილე ვიყავი. სამანდატო კომისიის მუშაობის გაძღოლა და შეკრების მე-4 დღის ჩატარება მევალებოდა. ვეცნობოდი თითოეულ დელეგატს, ვეკითხებოდი სწავლის ამბებს, რა ჯილდოები ჰქონდა მიღებული თავის რაზმეულში, რა პიონერულ დავალებას ასრულებდა, რა გააკეთა

ამისთვის, რომ ამ შეკრებაზე მოსულიყო და ა. შ. იქვე მისამართებსაც ვცვლიდით. სხვათა შორის, სამანდატო კომისიამ ისიც დაადგინა, რომ 24 პიონერს არავითარი დავალება არ ჰქონდა, ჩვენ ისინი მაშინვე ჩავრთეთ პიონერულ საქმიანობაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ ალევტინა ფედულოვამ სამანდატო კომისია კარგი მუშაობისათვის შეაქო. მკითხა კიდეც, შენი პიონერხელმძღვანელი ვინ არისო? არ დამიმალავს, რომ თამარ ხელმძღვანელი მკაცრია და მომთხოვნი; რაზმეულში ყველამ ვიცით, თითოეულს რა გვევალება, რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის, დაკისრებული მოვალეობა პირნათლად რომ შევასრულოთ-მეთქი.

შეკრების შტაბმა წინადადებათა წიგნი შეადგინა. არტეკის ათივე რაზმეულის თითოეული პიონერი თავის სურვილსა და წინადადებას გვაწვდიდა. შემდეგ ეს ფურცლები ერთად ავკინძეთ და ფედულოვამ მოსკოვში წაიღო, მომავლის გეგმების შედგენაში მოგვეხმარებაო.

შეკრებიდან ჩემი რაზმეულის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბისათვის ბევრი მეგობრის მისამართი ჩამოვიტანე, მათ შორის არის ლუის კორვალანის ქალიშვილის მარია ვიქტორიას მისამართიც. მთელი არტეკი მღეროდა „სულიკოს“, რომელიც არტეკელებს შევასწავლეთ. საერთო საბანაკო კონფერენციაზე გავაცანი მეგობრებს ჩემი ქალაქი. ვუამბე ქართველ მეფოლადეთა შრომითს გმირობაზე. 7 000 პიონერი მისმენდა. მე მათ ვუამბე ცნობილ მეტალურგ არჩილ ძამაშვილთან მეგობრობაზე...

რაზმეულში არტეკის გაზეთი „ისკორკა“ ჩამოვიტანე. სწორედ ამ გაზეთმა გაგვიზიარა სხვების გამოცდილება. ის, რომ ქ. ჩიტას პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან ნორჩ მეცნიერთა აკადემია შეუქმნიათ 16 ფაკულტეტით; კრასნოიარსკში ხუთოსნების სამხარეო შეკრება გაუმართავთ; ლატვიაში თითქმის ყოველი მეორე პიონერი რომელიმე კლასგარეშე წრის წევრია და ა. შ.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით:

ჩვენი სკოლის რაზმეულმა სექტემბერი უფროსი პიონერხელმძღვანელის გარეშე დაიწყო. თამარ ხელმძღვანელს შვილი გაუხდა ავად და კარგა ხანს სკოლაში ვერ მოვიდა. ჩვენ მას როდი დავუცადეთ. პირველ დღესვე შევკრიბე რაზმეულის საბჭო, ყველა რაზმს მივეცით დავალება და დღეს თითოეული პიონერი იცნობს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიმართვას მოსწავლეებისადმი, ჩვენი მამების თაოსნობას, პიონერთა VII საკავშირო შეკრების მასალებს, საკავშირო მარშის მარშრუტების მოთხოვნებს, დამყარდა კონტაქტი ულიანოვსკის მე-10 სკოლასთან. მე იმ დღეებში თამარ ხელმძღვანელის მოვალეობას ვასრულებდი, არ გამჭირვებია, პედაგოგები დამეხმარნენ. რაზმეულის საბჭოს შეკრებაზე თვითონ არჩილ ძამაშვილი დაგვესწრო და ყოველმხრივ გაგვიმარტა მეტალურგთა თაოსნობის მნიშვნელობა.




მაია ქუფარაშვილი საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დროშასთან.

**სიტყვა ეძლევათ რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის პიონერებს.**

**სასწავლო წლის დასაწყისში ამ სკოლის რაზმეულში 4 რაზმს მიენიჭა „ქართველ მეფოლადეთა“ საპატიო სახელი, სკოლაში 700-მდე მეფოლადის შვილი სწავლობს.**

## ხათუნა ჩაგანავა,

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე

— როცა ვამბობთ, მამების გზით მივდივართო, ეს იმას ნიშნავს, რომ ათიათასობით ტონა ლითონის ნამსხვრევი მიდის მისამართით „პიონერული რელსები — ბამს“, რომ თითოეული ჩვენგანი აქტიურად [illegible] მონაწილეობს შრომით აქციაში „[illegible]ნი სამშობლოს“ — „სოლიდარობა!“

„მამების გზით მივდივართ!“ — ეს ნიშნავს: ჩვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ ვესალმებით მშვიდობის მომხრეთა ბრძოლას, გამოვთქვამთ პროტესტს ფაშიზმის აღორძინების, რეაქციის წინააღმდეგ.

„მამების გზით მივდივართ!“ — ეს იმას ნიშნავს, რომ პიონერული პატრულები დგებიან მშობლიური ბუნების სადარაჯოზე.

„მამების გზით მივდივართ!“ — ეს ნიშნავს, რომ „ცისკრის“ ნორჩ არმიელთა ათასეულები ემზადებიან სამშობლოს ღირსეულ დამცველთა რიგების შესავსებად...

ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩვენი მამების — რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას, რომლის დევიზია „დისციპლინა და წესრიგი ყველგან და ყველაფერში!“ ახალი სასწავლო წლის პირველსავე დღეებში პიონერთა ოთახთან დიდი ლოზუნგი გავაკარით: „მივბაძოთ მამების საგმირო საქმეებს!“ მას გვერდით სტენდი ამოვუყენეთ, სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლეთა და მეტალურგთა მეგობრობის ამბავია მოთხრობილი. დამზადდა მეორე დიდი სტენდიც — „მამები“ და „შვილები“. ფოლადჩამომსხმელი საამქროს მეფოლადე გურამ ქაშაკაშვილია ჩვენი სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე. მარტენის საამქროში მუშაობს ერთადერთი მეფოლადე ქალი ლამარა დურგლიშვილი, რომლის შვილი, პაატა, ჩვენი სკოლის მეშვიდეკლასელია.

ამჟამად ჩვენი აქტივის საზრუნავია თითოეული რაზმის პასუხისმგებლობის ამაღლება, რეაგირება მათი ამა თუ იმ წევრის მიერ დისციპლინის დარღვევის თითოეულ ფაქტზე, თავისი რაზმის წინაშე პიონერთა პასუხისმგებლობის ამაღლება.

## ნონა ნადარეიშვილი, მაია ბარათაშვილი.

ჩვენი სკოლის პიონერულ აქტივს დიდ დახმარებას უწევენ ლენინგრადის პიონერთა სასახლე და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქ-

ცია. ძვირფეთ მონაწილეობა მათ მიერ ერთობლივად წამოწყებულ თამაშში „სსრკ ჩვენი სამშობლოა“. დავალებები შევასრულეთ და მე-2 ხარისხის დიპლომებიც მოვიპოვეთ. დიპლომებს ხელს აწერს სსრ კავშირის ლენინგრადის ომის ვეტერანთა კომიტეტის სექციის საბჭო.

ახლა პიონერთა ოთახის ერთ-ერთ მაგიდაზე 8 ალბომი დევს ჩანაწერებით, სურათებით, ჩანახატებით. „ბუნება“, „მეგობრობა“, „დღესასწაული“, „ცოდნა“, „ერთიანობა“, „დედამიწა“ — ასეთია თითოეული ალბომის თემატიკა. რვაევმ მოწონება დაიმსახურა ლენინგრადში. ლენინგრადელები ჩვენთანაც ჩამოვიდნენ, შემდეგ კი ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლას ესტუმრნენ. მათ მიერ წამოწყებულ თამაშში ქუთაისელი პიონერებიც ჩვენსავით გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ლენინგრადში დავმეგობრდით ქუთაისის მე-3, დუშამბეს სკოლა-ინტერნატისა და ჩვენი სკოლის წარგზავნილები, ერთად დავათვალიერეთ ერმიტაჟი, ავედით „ავრორაზე“, ვინახულეთ პეტრე პირველის სასახლე, დავესწარით მდინარე ნევაზე ხიდების აწევას, ნავებით ვისეირნეთ ლადოგის ტბაზე, ნევაზე...

ჩვენს მუშაობაში ერთგვარი სიახლეცა გვაქვს. ერთ დღეს რაზმეულის საბჭოს დავალებით, მეტალურგთა შვილები შევიკრიბეთ და კონკურსი გამოვაცხადეთ: „რას ვფიქრობ მამაჩემის პროფესიაზე“. კონკურსში ყველა რაზმმა, თითქმის ყველა პიონერმა მიიღო მონაწილეობა.

რაზმეულმა სტარტი აიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ რაზმების საკავშირო მარშის მარშრუტების მიხედვით. წარმატებას კი უთუოდ მივაღწევთ, თუ თითოეული აქტივისტი, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, პასუხისმგებლობით მოეკიდება ყოველ დავალებას, რაც თავისთავად სამაგალითო იქნება დანარჩენებისათვის.

**ნათელა ფაილოძე.**

# ჩვენო მასწავლებელო

ლექსი გ. ჭიჭინაძისა     მუსიკა ვ. დურგლიშვილისა




სულაც არ ვართ შემცდარი,
როცა ტკბილ დედას გადარებთ,
ვით ბარტყებს დედა მერცხალი,
ისე დაგვხარი პატარებს.

მზე გიციმციმებს თვალებში,
გალაღებს ჩვენი მიზნები,
მაგ სითბოსა და ალერსში,
ჩითილებივით ვიზრდებით,

ჩვენო მასწავლებელო,
გულის გამხარებელო,
დედასავით გვინდა, რომ
მოგვეფერო.

(2-ჯერ)

ჩვენ დაგვაწაფე ბავშვები,
ცოდნის ნაკადულს ჩუხჩუხას,
სამშობლოს გამოვადგებით,
და არ შეგარცხვენთ, ნუ სწუხხარ.

სულაც არა ვართ შემცდარი
როცა ტკბილ დედას გადარებთ
ვით ბარტყებს დედა მერცხალი
ისე დაგვხარი პატარებს.

ჩვენო მასწავლებელო,
გულის გამხარებელო,
დედასავით გვინდა, რომ
მოგვეფერო.

(2-ჯერ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლურჯი ხალათი

**ქეთევან ჭილაშვილი**

მხატვარი
გიორგი ქლიბაძე.

პიესა ორ მოქმედებად და 8 სურათად

მოქმედი პირნი:

სანდრო ლაფაური — (მოსწავლე, 15 წლისა)
თებრო — სანდროს დედა
დარო — სანდროს ბებია
ნიკო ხარაზიშვილი — ლაფაურის მეზობელი
დაფინო — ნიკოს მეუღლე
ილო, კაკილო, გივი — სანდროს თანაკლასელები
გოგიელა, დათო — სანდროს ამხანაგები
ფეხბურთის თამაშის დროს.
თანაკლასელი გოგონები.
ილოს პაპიდა.

## პირველი მოქმედება

### პირველი სურათი

სცენაზე ფეხბურთის კარია. კარში დგას გოგიელა და თამაშს გაფაციცებით ადევნებს თვალს, ისმის ყიჟინა, დაძაბული მეკარე ემზადება ბურთის დასაჭერად, მაგრამ ბურთი ბადეს გადაევლება, გოგიელას ხელში შერჩება მკერდზე მიხუტებული ფეხსაცმელი.

**გოგიელა** — (გაოგნებული) სიზმარში ვარ თუ ცხადში? (შემოცვივდებიან ბიჭები, სანდრო ასკინკილაზე დგას. სიცილი და დავა ერთმანეთში ირევა). ფეხბურთს თამაშობთ თუ ფეხსაცმელობანას?! თქვენი თავი აიგდეთ მასხარად. (ფეხსაცმელს მკერდიდან არ იშორებს).

**დათო** — სანდრომ ბურთს „თანამგზავრიც" გამოაყოლა (იჭაჭება სიცილით). ხუთით-ხუთი! მორჩა და გათავდა!

**სანდრო** — ჰო, ეგრე იყოს, მომეცით ჩემი ფეხსაცმელი...

**გოგიელა** — (მაშინღა მოაგონდება, რომ გულზე აქვს მიხუტებული) ინებე, ფეხსაცმელმტყორცნელო. (გადაუგდებს. გოგიელა და დათო გარბიან).

**გივი** — სანდრო, მშვიდობაში „ახალი" ფეხსაცმელი!

**ილო** — ე რამოდენაზე დაუღია ხახა, მეშინია, არ გადამყლაპოს.

**კაკილო** — კოსმოსი შემოიარა და მაშ რა იქნება!

**სანდრო** — თქვენ იცინით და ერთი ჩემ გულშიც ჩამოიხედეთ. ერთი კვირაა ვიყიდე, დედაჩემს მეტიც არ უნდა. ეს უპატრონო ფურთხით იყო მიწებებული?

**ილო** — (ჩაჩაჩულ ტრუსებს ისწორებს) ბურთს ისე ლაზათიანად ამოჰკარი, რომ რა ძაფი, რა წებო გაუძლებდა! ტოროლასავით არ შეკრა კამარა?

**სანდრო** — შინ როგორ წავიდე, ბიჭებო?

**კაკილო** — ოქროს ტახტით. (ბიჭები დაფაცურდებიან და ხელებით შეკრავენ „ოქროს ტახტს"). წამოსკუპდი.

**სანდრო** — მე არ მეხუმრება.

**გივი** — ილო, გაიქეცი და შინიდან მოურბენინე შენი ფეხსაცმელი, ყველაზე ახლოს ცხოვრობ.

**ილო** — რომელი მოგიტანო, საზაფხულო თუ დახურული?

**სანდრო** — რა დროს არჩევანია, რომელიც ხელთ მოგხვდეს, წამოიღე. (ილო გარბის).

**გივი** — იქნებ საყოფაცხოვრებო კომბინატში წაგვეღო, ჰა?

**კაკილო** — სამ დღეზე ადრე არ გაგიკეთებენ.

**სანდრო** — ფულიც წინასწარ უნდა, კაპიკი არ მიჭყავის ჯიბეში.

**კაკილო** — ნეტავ ერთი დაგენახა, რანაირად ეძგერა გოგიელა ამ შენს ფეხსაცმელს.

**გივი** — იმას ეგონა, ბურთიაო, ის კი არა, სანდროს ფეხსაცმელი შერჩა ხელში.

**სანდრო** — სუსტები არიან, მაგათთან თამაში აღარა ღირს.

**კაკილო** — შენ სუსტები უძახე, დაგვაზარალეს კი, ფეხსაცმელი შეიწირეს.

**გივი** — ძვირად დაგვიჯდა ეს თამაში.

**კაკილო** — ეხლავე გეტყვი, რამდენიც დაგვიჯდა ზუსტად. სანდრო, მაგ ფეხსაცმელში რა მიეცი?

**სანდრო** — ოცი მანეთი.

**კაკილო** — ერთი ცალი თუმანი!

**სანდრო** — თუ სიზუსტე გინდა, თუმანს კიდევ პლუს შესაკეთებელი, სულ ცოტა, მანეთი!

**გივი** — სწორია! სულ თერთმეტი მანეთი, პლუს სანდროს განცდა, პლუს ილოს გულის ბაგაბუგი (ბიჭები იცინიან, შემორბის ილო, ფეხსაცმელს მიუგდებს სანდროს, თვითონ კი ინერციით ვეღარ ჩერდება. ტრიალებს, ტრიალებს და როგორც იქნება ჩამოჯდება სულამოსული).

**გივი** — მგონი, ოქროს ტახტით ილო გაგვიხდება წასაყვანი. (უნიავებს, სილას უწკაპუნებს მოსისულიერებლად. წკაპუნი ეგრე არ უნდაო, ახლა ილო მისდგება გივის, კაკილო კი სანდროს ეხმარება ფეხსაცმლის ჩაცმაში).

**სანდრო** — ვერ მეტევა, კაკილო, ძალაა?

**გივი** — (მიუბრუნდება) ჩადგი, ნუ გეშინია. (სანდრო წვალობს).

**კაკილო** — მიდი, ცოტაც გაიჭირვე...

**სანდრო** — რა გავიჭირვო, ვერა ხედავთ, ეს მარცხენა ფეხისაა. (ბიჭები იცინიან).

**გივი** — ილო, მეორე მოიტა, მეორე.

**ილო** — (სასოებამილეული) რომელი მეორე?

**კაკილო** — მარჯვენა ფეხისა.

**ილო** — ცალი წამოვიღე...

**გივი** — აბა, ეს არის ჭკვიანი! თავი შეუკარით! ცალ-ცალი ფეხსაცმლით უნდა ატარო მეგობარი?

**ილო** — ერთი ცალი მოიტანეო, ასე არ მითხარით?

**კაკილო** — სანდრო, მეტი რა ძალაა, უნდა აიკანჭურო. (ჯიბიდან ამოიღებს ცხვირსახოცს, ბიჭები გაოცებული შეჰყურებენ. შიშველ ფეხზე ილოს ფეხსაცმელს ამოაკრავს ცხვირსახოცით) ვითომ გტკივა!

**გივი** — აი, გამოგონება ამასა ჰქვია! ვისი რა საქმეა, სტკივა თუ არა?

**ილო** — (თავს წამოჰყოფს) ხომ გაფუჭდა ფეხსაცმელი...

**გივი** — მაშ, რა ქნას? ფეხშიშველა ხომ არ წამოვა? (სანდროს აქეთ-იქიდან ბიჭები ამოუდგებიან მხარში. ყველანი გადიან).

### სურათი მეორე

სანდრო ნიკოს ბინასთან დგას და ზარს რეკავს. კარს აღებს ნიკო.

**ნიკო** — ფეხი იტკინე? განა არა, წუხელის ცუდი სიზმარი ვნახე, ამიხდა, რა! ფეხბურთს ითამაშებდი.

**სანდრო** — ფეხი არ მიტკენია, პატარა „ავარია" მომივიდა.

**ნიკო** — როგორ თუ ავარია? რას იცინი, ბიჭო?

**სანდრო** — (ფეხსაცმელს დაანახვებს) დედაჩემი ამიკლებს, ერთი კვირაა მიყიდა.

**ნიკო** — არ გაემტყუნება, რა ქნას, მარტო ხელა ქალია, კიდევაც კარგად სწვდება

ყველაფერს (ფეხსაცმელს გამოართმევს და ათვალიერებს). ეგრეც ვიცოდი, რომ „ინდკერვის" მანქანა იქნებოდა, ფურთხით კერავენ თუ როგორ არის იმ ოჯახაშენებულების საქმე... (სინანულით თავს იქნევს).

სანდრო — ნიკო ძია, არაფერი ეშველება?

ნიკო — რატომაც არ ეშველება, არხეინად იყავი, ისე გავხდი, ახალთახალივით...

სანდრო — თქვენი მარჯვენის იმედი მაქვს.

ნიკო — (წინსაფარს აიფარებს, სათვალეს იკეთებს და პატარა მაგიდასთან მოკალათდება, ფეხსაცმელს წებოს წაუსვამს და გასაშრობად რაფაზე შემოდებს) იცი, ეს რა უებარი წამალია? ისე აკრობს, გაზითაც რომ დაეჭიდო, ველარ ააგლეჯ. წებოა, კოწიწაური, (აწებებს ფაქიზად, თან ბაიათს ღიღინებს, სანდრო სიამოვნებით შეჰყურებს) აჰა, ესეც შენი ფეხსაცმელი, როგორია?

სანდრო — თითქოს ახალიაო!

ნიკო — გინდა წყალში ჩადექი, გინდა ტალახში, ფიქრი არ არის...

სანდრო — ნიკო ძია, როგორი მადლიერი ვარ თქვენი — დედისა მედარდებოდა.

ნიკო — ბარაქალა, შვილს დედის სიყვარული და პატივისცემა მართებს.

სანდრო — (თავს ჩაღუნავს) როგორ ლამაზად საქმიანობდით, ნიკო ძია. თითქოს ფეხსაცმელს კი არ აკერებდით, ვარდის კოკრებს ეფერებოდით...

ნიკო — ჩემი ხელობა ჩემთვის ვარდის კოკორიც არის და გაშლილი ზამბახიც. საქმეს კაცმა თუ გული არ მიაყოლა, ისე გარჯა გარჯად არ ითქმის. შენ ფაბრიკაში უნდა ნახო, ჩვენი ბიჭები რა ეშხს ატრიალებენ საამქროებში, რომ იტყვიან, ხელებიდან ნაპერწკლები სცვივათ... მანქანას ეჯიბრებიან, როგორც გინდა თქვი... მანქანები კი ისეთი გვიდგას, აქ მოდი და მნახეო. ეს „ინდკერვა" კი ძალიანა სცოდავს, რა... ჩვენი ქუჩის ბოლოს, კუთხეში იყიდეთ, არა? (სანდრო თავს უქნევს) ვიცნობ, დათას ნახელავია, რა წყალდვინოც თვითონ არ არის, იმისი ნახელავიც თავისი ფასია (ხელით ანიშნებს, ახლო მოიწიო, სანდრო მიიწევს). ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო და შენ იცი, სიტყვას როგორც შემინახავ.

სანდრო — ნიკო ძია, როგორ გეკადრებათ!

ნიკო — ვიცი, პირიანი ბიჭი ხარ (პატარა მაგიდის უჯრიდან ფერად მაშიებს ამოიღებს და აწვდის) ნახე ერთი!

სანდრო — რა ლამაზი ნახატია!

ნიკო — ნახატიო! ცინცხალი მაშიებია, აბა, გასინჯე.

სანდრო (ალტაცებული) რა ლამაზია, ნიკო ძია!

ნიკო — (დინჯად, თავმომწონედ) ჯერ სადა ხარ, მაიცა! აბა, ახლა უკუღმა პირზე გადმოატრიალე.

სანდრო — (გაუბედავად) უკუღმა პირზე? როგორ?

ნიკო — როგორ და კარგად. გაბედულად, ეგ თითები შენი არ არის? (სანდრო წვალობს და, როგორც იქნა, გადმოატრიალებს. ხელთ მწვანე მაშიები შერჩება. გაოცებულია). როგორია?

სანდრო — (ალტაცებული) სასწაული!

ნიკო — (გახარებულია) მაშ მოგწონს, ჰა?

სანდრო — ორფერი მაშია, წითელი და მწვანე!

ნიკო — ჩემს პატარა შვილიშვილს ხომ იცნობ, სალა-მალას!

სანდრო — როგორ არ ვიცნობ!

ნიკო — იმას ენაცვალოს პაპა! ამ ერთი თვის წინათ ხუთი წლისა გახდა და მაშინ მივართვი საჩუქრად ეს ორფერა „ბაჩაჩები". რა გაიხარა, რა ელურტული ატეხა! ვიფიქრე, ჩემსას თუ ასე გაეხარდა, სხვა ამის ტოლებმა რაღა დააშავეს-მეთქი, დაე, იმათაც გაიხარონ და მშვიდობაში გაცვითონ-მეთქი. ავდექი და ჩვენს ფაბრიკაში წარვადგინე ნიმუში. ნასწავლებო, ამაზე რას მეტყვით-მეთქი? ნახეს, განსაჯეს, აწონ-დაწონეს, რა უნდა ეთქვათ, კარგი რამე მოგიგონიაო. ცოტა რაღაცები შემშლოდა. გამისწორეს, ზოგი რამ დაუმატეს და პრეისკურანტში დაამტკიცეს. მალე გამოვუშვებთ, მაღაზიებში რომ გაიყიდება. აბა მაშინ ნახე პატარა ქალების სიხარული!

სანდრო — (გულდასმით ათვალიერებს) როგორ მოიფიქრეთ, ან როგორ განახორციელეთ! (აკვირდება) ნაკერი არსად ეტყობა.

ნიკო — ეგ საიდუმლოა, სანდროჯან. კეთილ ინებე, ფაბრიკაში შემოიარე ხოლმე და ისეთ რამეებს გაჩვენებთ, ზღაპარში გეგონოს თავი.

სანდრო — უთუოდ გამოვივლი, შეიძლება მთელი კლასიც გეწვიოთ ექსკურსიაზე.

ნიკო — მობრძანდით, გენაცვალეთ, კეთილი და პატიოსანი, თუ არ გარგებთ, არას გაწყენთ.

სანდრო — უკაცრავად, ნიკო ძია, რომ გაგსარჯეთ.

ნიკო — მეზობლებში „უკაცრაობა" როგორ შეიძლება, დღეს მე დაგჭირდი, ხვალ შენ დამჭირდები. ცხოვრება ბორბალია, თვითონ ტრიალებს და ჩვენც გვაბრუნებს (წაიღიღინებს)

„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება".

სანდრო — კარგად იყავით. გმადლობთ.

ნიკო — (კარს აღებს და შემოდის დაფინო) ადამიანო, სადა ხარ ამდენ ხანს, სტუმარი პატივუცემლად გაუშვი.

დაფინო — ახლავე ავადუღებ ჩაის, ღვთის წყალობით შინაურული ნამცხვარიც მოგვეპოვება. მოდი, სანდროჯან, რას მიეჩქარები, შინ არა ხარ! (აფუსფუსდება).

სანდრო — გმადლობთ, დეიდა დაფინო, ვჩქარობ, გაკვეთილები ჯერ არ დამიმზადებია! ღამე მშვიდობისა! (გადის).

## მესამე სურათი

ლაფაურების ბინა, თებრო ფანჯარასთან დგას, თვალი აწყდება გზაზე.

თებრო — (ფეხის ხმას ყურს მიუგდებს) მობრძანდება! (შემოდის სანდრო) სადა ხარ შე არდასაცალებელო, ქალი ლამის არის ჭკუაზე გადავიდე...

სანდრო — სად უნდა ვიყო, სკოლის ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით. მერე, ნიკო ძიასთან შევუყევი მუსაიფს.

თებრო — ვინ ნიკო ძიასთან?

სანდრო — ჩვენს მეზობელთან,

თებრო — ხარაზიშვილთან?

სანდრო — ჰოო. (შეუმჩნევლად იხდის ცალ ფეხსაცმელს, შეკეთებულს მყუდრო ადგილზე შემოდებს).

თებრო — ამ ფეხბურთს ისე ხარ გადაყოლილი, აღარც ჭამა გახსოვს, აღარც სმა. (შემოდის დიდედა).

დარო — მოხველი?

სანდრო — მოვედი, ბებო!

თებრო — (უკმეხად) ხარაზიშვილებთან მჯდარა! (ემზადება წასასვლელად)

დარო — კარგი ხალხია.

სანდრო — ბებო, იცი რა ოქროს ხელი ჰქონია ნიკო ძიას, ისეთი ორფერი... (უცებ პირზე ხელს მიიფარებს და ღიღინს მოჰყვება) საჭმელი რა გვაქვს?

დარო — ამოლესილი ლობიო, ისეთია, ხუნით დაიბნიდები.

სანდრო — ხელებს გადავიბან... [illegible] მიდიხარ?

თებრო — სამსახურში, მო[illegible] ვარ, აბა, შენ იცი, დროზე ჩაუჯექი გაკვეთილებს.

სანდრო — (მიუჯდება სუფრას. ბებოს მოაქვს კერძი, წამოხტება, ჩამოართმევს) იფ, იფ... რა ქინძის სუნია... ბებო, მოდი თვითმომსახურება შემოვიღოთ...

თებრო — წავედი. აბა, თქვენ იცით.

სანდრო — გაკოცებ, დედიკო... (ილუკმება. ბებო კარებამდე მიჰყვება ქალს, მერე სუფრასთან ჩამოუჯდება სანდროს).

დარო — რა მითხარი, შვილო? რა შემოვიღოთ?

სანდრო — თვითმომსახურება! შენ ნუღარ გამიშლი სუფრას, მე თვითონ...

დარო — შვილო, შენი სამსახური მე მესიამოვნება კიდეც, მეტი რა საზრუნავილა მაქვს, რომ ამაზეც ხელი ავიღო... შენ გემრიელად მიირთვი... აი, რომ დაოჯახდები, მეორე ნახევარს წააშველე ხელი... ნეტავ შემასწრო იმ დღეს!

სანდრო — ბებო, ნუ იცი ხოლმე ეგეთი ლაპარკი. (პირს იწმენდს, სუფრას ალაგებს... გააქვს ჭურჭელი)

დარო — ეს წითელი ვაშლი ვისია? (გადმოიღებს ლარნაკიდან).

სანდრო — ჩემი და ჩემი ბებოსია! (გამოართმევს, შუაზე გააპობს და ნახევარს ბებოს მიაწოდებს).

დარო — არა, არ მინდა, შენმა შერჩენამ.

სანდრო — მე მინდა, რომ მიირთვა. (ბებო უარობს) გეხვეწები, ჩაფიქრებული მაქვს...

დარო — (ჩამოართმევს) ეხლა გაკვეთილები დაამზადე.

სანდრო — (გადმოალაგებს წიგნებს) ბებო, გინდა ხმამაღლა წავიკითხო? შენც გაერთობი.

დარო — მე ჩემი საქსოვი მაქვს, ამით შევიქცევ თავსა. (მიჯდება და საქსოვს იღებს).

სანდრო — (სავარძელში მოკალათდება და წიგნს გადაშლის, გულს ვერ უდებს) ბებო, ნიკო ძია ლამაზი კაცია, არა?

დარო — რა უშავს, სანდომიანია თავის კვალობაზე...

სანდრო — როგორი ვაჟკაცური მიხრა-მოხრა აქვს, კეთილი ღიმილი, რა სასიამოვნოდ საუბრობს.

დარო — ისწავლე, შვილო, ხვალ იქნებ გაგიძახოს მასწავლებელმა.

სანდრო — გამიძახოს, რა, იქვე ვიცოდი გაკვეთილი, ისე კარგად აგვიხსნა. გინდა, ზეპირად გითხრა მოძრაობის ფარდობითობის კანონი? აი, ჯერ არ წამიკითხავს (წიგნს ხურავს). „სხეულის მოძრაობის სიჩქარე უძრავ კოორდინატთა სისტემის მიმართ ტოლია ორი სიჩქარის გეომეტრიული ჯამისა: სხეულის სიჩქარისა მოძრავ კოორდინატთა სისტემის მიმართ და თვით მოძრავ კოორდინატთა სისტემის სიჩქარისა კოორდინატთა სისტემის მიმართ". გასაგებია, ბებო?

დარო — გასაგებია, ძალიან მკაფიოდ გამოთქვი. მამაშენივით აზრიანი ხარ... დედაშენს ერთი სული აქვს, ინჟინრობა ისწავლო, მამის ნახაზები უნდა გადმოგილოცოს. (ამთქნარებს) დასწყევლოს ღმერთმა, რანაირად მომერია ძილი, დავწვები (გადის).



**სანდრო** — ღამე მშვიდობისა, ბებო. (ფურცლავს წიგნებს) ეს ვიცი, ესეც ვიცი... ეს... (ცოტას ჩაიკითხავს დიაკვანივით) ესეც ვიცი... (უნებურად ფიქრი იტაცებს, რაღაცას ხატავს, ქაღალდს ჭრის, კეცავს, რაღაცას საზრობს), მივხვდი ნიკო ძიამ როგორც შეკერა ორფერი მაშია... მივხვდი... უჰ, რა ადვილი ყოფილა! ერთ ძირზე დააგვირისტა ორი ფერის საპირე ისე, რომ მათ შორის მანძილი დატოვა და გადმოაბრუნა. ეს საიდუმლო აღმოჩენილია... ეეე, გამოგონებას თუ მიჰყვები ადამიანი, რაღას არ გამოიგონებ... (ფიქრი ართმევს თავს) რა იქნება, რომ მე მოკეცილი ფეხსაცმელი მოვიგონო? წკაპ, გაიხსნას და ფეხზე ჩაიცვა! წკაპ, მოიკეცოს და ჩანთაში ჩაიგდო! ბიჭოს, ე რა კარგი რამ მოვიგონე! (წამოხტება, ფანჯარას ეცემა). ნეტავი ხომ არ სძინავს ნიკო ძიას? სინათლე უნთიათ... (ფეხაკრეფით გადის).

ჩაბნელება

## მეორე მოქმედება

### მეოთხე სურათი

სანდროს ბინა. თებროს თმაზე უკეთია „ბიგუდები" და ხილაბანდით აქვს გაკრული. ზემოდან ადევს სათბური, ზის ტელეფონთან დაძმარებული.

**თებრო** — რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?

**დარო** — ყველაფერს ეშველება.

**თებრო** — მე თვეებს თითებზე ვითვლი, რომ ჩემმა შვილმა სკოლა მალე დაამთავროს და უმაღლესში მოეწყოს-მეთქი, ის კი ფაბრიკაში არ გამომეჭიმა! რა მიყო ამ მეზობელმა, იმდენი ეტუტუნა თავის ხელობაზე, რომ ბავშვი მთლად გამისულელა. (რეკავს) ისე უნდა გამოვლანძღო, რომ...

**დარო** — პატიოსანი ხალხია, უკადრისი არაფერი ჰკადრო.

**თებრო** — დედაჩემო, შენი გამკვირვებია, მაშ პირზე ვაკოცო? (ყურმილში) ნიკო არ მოვიდა ბაზრიდან? არაა? (დაახეთქებს ყურმილს და ახლა სხვა ნომერს აკრეფს) პატივცემულ ნინოს სთხოვეთ, თუ შეიძლება! (ელოდება, მაგიდაზე უაზროდ უცვლის საგნებს ადგილს) სად გავარდა, ვაჟბატონი?

**დარო** — რა ვიცი, მალე მოვალო. მეტისმეტად ნუ გაანჩხლდები, ი ბიჭიც არ გააოგნო, ისევ დაუყვავოთ, შვილო.

**თებრო** — (გაანჩხლებულს პასუხი პირზე შეაცივდება) ქალბატონი ნინო ბრძანდებით? (დარო კუთხეში სავარძელში მიიყუჟება) რა მიყავით, ქალბატონო ნინო, რა! რატომ გამწირეთ?

**ხმა** — რაშია საქმე?

**დარო** — როგორ, ჩემი შვილი ფაბრიკაში რომ დაბრძანდება, რატომ არ შთააგონებთ, მცდარ გზას რომ ადგას?

**ხმა** — პირიქით, მთელ მასწავლებლებს სალაპარაკოდ გვაქვს, სანდრომ ალღო აუღო თავის მოწოდებას, გაიტაცა ხარაზის პროფესიამ...

**თებრო** — ნახეთ ობოლი და საფაბრიკოდ გაიმეტეთ, არა? მე ამას ასე არ დავტოვებ, სამინისტროში ვიჩივლებ... სანდრო კარგი მოსწავლეა...

**ხმა** — მობრძანდით სკოლაში... (თებრო ყურმილს დაავდებს და ქვითინებს).

**დარო** — (მოაქვს წვეთები) სატირალი რა გაქვს, მარგალიტივით ბიჭი გყავს. (წვალობს ვალერიანის წვეთების დასხმაში) დალიე, ცოტა ხათრი მეც გამიწიე...

**თებრო** — ფაბრიკაში მიმიწევს გულიო! ეს რა ახირებაა, რა ღვთის რისხვა [illegible] თავს. ო, ნიკო ხარაზიშვილო, [illegible] ლი ვარ, შენს ოხტში ამოვალ. (რეკავს) ნიკო მოვიდა? (ყურმილს გააგდებს) მოსულა. (მიდის).

**დარო** — ფრთხილად, შვილო, სიტყვა აწონდაწონე, მეზობლები არიან. (ჩაბნელება).

### მეხუთე სურათი

სინათლე ეცემა ნიკო ხარაზიშვილის ბინას.

**დაფინო** — (ზარის ხმაზე აღებს კარს) მობრძანდით.

**თებრო** — თქვენი მეუღლე სად ბრძანდება?

**დაფინო** — ხომ მშვიდობაა, მეზობელო?

**თებრო** — ისე იყოს ჩემი მტერი!

**დაფინო** — რა მოხდა, გეთაყვა?

**თებრო** — თქვენმა მეუღლემ შვილი გზას ამიცდინა, ჩემი ოჯახი წყალს მისცა და მეტი კიდევ რაღა უნდა მოხდეს?!

**დაფინო** — (პირჯვარს იწერს) დიდება შენდა, ღმერთო! (სკამს აწვდის. შემოდის პირის წმენდით ნიკო).

**ნიკო** — საღამო მშვიდობისა, მეზობელო!

**თებრო** — რას მემართლებოდით, რომ შვილი ასე გამიგიჟეთ თქვენი მეჯლანეობით და სწავლაზე გული ააცრუებინეთ? (დაფინო აფორიაქდება).

**ნიკო** — (მშვიდად) მანდილოსანო, დამშვიდდით, გაითვალისწინეთ, რომ თქვენ ელაპარაკებით კომუნისტური შრომის დამკვრელს, ფეხსაცმლის ფაბრიკა „იარე ლამაზად" სამკერვალო საამქროს ოსტატს ნიკო ხარაზიშვილს... (ხელს გაუწვდის, თებრო უნებურად ჩამოართმევს) ახლა განაგრძეთ სათქმელი.

**თებრო** — (იბნევა) რა უნდა განვაგრძო, ღირს კია თქვენთან ლაპარაკი...

**ნიკო** — აბაიმე! ღირს კი არა, ვატყობ, საჭიროც არის.

**თებრო** — სამოყვრო მეზობელი მტრად რად გადმექეცი (თავიდან სათბური გადმოუვარდება, ნიკო მიაწვდის, დაფინო გაოგნებული შესცქერის ხან ერთს, ხან მეორეს, დროდადრო ბუტბუტით პირჯვარს იწერს).

**ნიკო** — მეზობლობაში და მტრობა?!

**თებრო** — მაშ ჩემმა შვილმა სკოლაზე რომ გული აიცრუა და თქვენს ფაბრიკაში დატუნტულებს, ეს ჩემი ოჯახის დაქცევა არ არის?

**ნიკო** — ჯვარი გწერიათ, თებროჯან, მაშ, ვინც ფაბრიკაში ვმუშაობთ, ოჯახდაქცეულები ვართ? ერიჰაა. როგორ გეკადრებათ ასეთი ლაპარაკი. სიტყვით დაკოდილი დათვის არაკი გეცოდინებათ, ცოტა აწონ-დაწონეთ სიტყვა!

**თებრო** — (ისტიბარგატეხილი) ჩემი შვილი უნიჭიერესი ბიჭია, მეცნიერების მწვერვალები უნდა დაიპყროს... ფაბრიკა რა მაგისი საქმეა...

**ნიკო** — მწვერვალებამდე ჯერ ძირია, ფარიკასაც ნიჭიერები ესაჭიროება... განა ფაბრიკაში კი ცოტა რამეს სწავლობს ადამიანი!

**თებრო** — მე და თქვენ ერთმანეთისა არ გვესმის, ჩემი შვილი მეცნიერი უნდა გამოვიდეს, გესმით? მამის საქმე უნდა განაგრძოს...

**ნიკო** — მანდილოსანო, უკაცრავად პასუხია და, რატომ მე არ მეკითხებით, თქვენი პროფესია მომწონს? აი, მე ქუდი რომ შემიგდონ საავადმყოფოში, არ შევალ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფის შემხედვარეს გული ცუდად მიხდება... მაგრამ არ გავკადნიერდები და ხელობას არ დაგიწუნებთ. ექთნობაც ძალიან საჭირო სამსახურია, როცა ადამიანი ავად არის და ლოგინში წევს. კარგად რომ გახდება, ფეხზე რომ დააყენებთ, თუ ფეხსაცმელი არ უწყვია საწოლთან, შინ როგორ წავა? ამაზე ფიქრი და გარჯა მეჯლანეობა გგონიათ? აბა, მე და თქვენი ლაპარაკი დამში როგორ მოვა? (დაფინო უსიტყვოდ თანაუგრძნობს მეუღლეს). მე თქვენი ბიჭისთვის კისერზე თოკი არ გამომიბამს, თავისი ნებასურვილით მოდის, ფაბრიკა კი ნაკლები სკოლაა?!

**თებრო** — თქვენ მოაწონეთ ეს საქმე, თქვენ შეაყვარეთ... (ტირის).

**ნიკო** — მაგაზე უარს არა ვარ, მიყვარს ჩემი საქმე და მინდა ეს სიყვარული ახალგაზრდობასაც გადავდო. მე აგერ სამოცმა მომიკაკუნა (თავზე იკაკუნებს), მოვალეცა ვარ!

**თებრო** — თქვენ დროს სწავლის პირობები არ იყო, ახლა იმდენი სკოლებია, უმაღლესი სასწავლებლები, ახალგაზრდობა უმაღლეს განათლებას ელტვის.

**ნიკო** — ჯერ უმაღბლესი, მერე უმაღლესი... ერთი ჩვენს ფაბრიკაში მოდით და დათვალეთ, რამდენი უმაღლესი განათლებული მუშაობს... ჯერ მარტო ჩვენს მთავარ ინჟინერს, ნუგზარს, ორი ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. იცით, ტყავეულის რა სპეციალისტია! ნეტავი იმისთანა მცოდნე და განათლებული შენი ბიჭიც დადგეს. თებროჯან, გულს ნუ გაიტეხ, ფაბრიკაში ჯერ კაცი არ დაღუპულა. ვასწავლით კიდეც, მუშურ სინდის-ნამუსსაც ვაზიარებთ, დანარჩენი თვითონ იცის. დაფინო, მანდილოსანი ჩაიზე მიიწვიე! (დაფინო აფუსფუსდება).

**თებრო** — (დაბნეულია, აღარ იცის, რა თქვას, რა მოიმოქმედოს). შეჰპირებიხართ პროფსასწავლებელში მოგაწყობო, ბევრი მსურველია, მაგრამ დაგეხმარებიო... პროტექცია დაგმობილია, იცით თუ არა თქვენ!

**ნიკო** — ყმაწვილებო! (მიმართავს დარბაზს), მაშ ჩემი ეს საქციელი პროპროტი-პროტე... — დასწყევლოს ღმერთმა ამ სიტყვის მომგონი, ხეირიანად ვერც ვამბობ, პროდუქციაა? (დარბაზი უდასტურებს. „არა!“).

**თებრო** — პროდუქცია კი არა პროტექცია!

**ნიკო** — რა ვქნა, მე სიტყვა „პროდუქცია“ მირჩევნია, მაგ სიტყვას არ გავიმეორებ, ენას არ დავანაგვიანებ. ჩაიზე დაგვეწვიეთ. (დაფინოც უსიტყვოდ ეპატიჟება).

**თებრო** — დიდი მადლობა. მივაღწევ სიმართლეს. (გადის).

**დაფინო** — ნიკოჯან, მართლა შენა ხარ ბრალში?

**ნიკო** — (ხელს გადახვევს) ნუ აფორიაქდი, ჩემო დაფინო, როდის იყო შენი ნიკო ვინმეს წყალს უმღვრევდა, ვინმეს სინათლეს უქრობდა, ვინმეს ლუკმას აცლიდა, ვინმეს ძილს უფრთხობდა, კაიკაცობას წინ ეღობებოდა?

**დაფინო** — უწინამც დღე გამიქრეს! არა, არა ყოფილა...

ჩაბნელება.

## მეექვსე სურათი

სანდროს ბინა. ოთახში უბრად სხედან თებრო და დარო. შემორბის სანდრო.

**სანდრო** — დედბებ! ნახეთ, რა ვიყიდე! (გაშლის, აიფარებს).

**თებრო** — (თავშეკავებით) რა არის, ეგ ბიჭო!

**დარო** — (გული აუფანცქალდება, ჩხუბი არ აუტეხოსო) რა უნდა იყოს, ყმაწვილს რაღაც უყიდია.

**სანდრო** — ბებო, ლურჯი ხალათია, საამქროში ჩასაცმელად გამომადგება. ნახე, რა ფართო ჯიბეები აქვს.

**თებრო** — (მოთმინება დაეკარგება) ლურჯ ხალათს მოგცემ მე შენ! (ფეხსაცმელს იხდის, უნდა ესროლოს, დარო ხელში წასწვდება, გამოართმევს. თებრო დგას ცალფეხაკანჭურებული. ქანაობს) შენ ღირსი არ ხარ მამაშენის შვილობისა, ვიღაც-ვიღაცების სიტყვას აჰყოლიხარ, დედის რჩევას არაფრად აგდებ...

**სანდრო** — ჩემო დედიკო (მოეხვევა), გადაწყვეტილია, შემოდგომიდან პროფსასწავლებელში გადავდივარ...

**თებრო** — (იშორებს) დედას ნუღარ მეძახი! ვინ მიგდია ხარაზიშვილი, რომ ჩემ შვილს იმან დაარიგოს ჭკუა! (დარომ აღარ იცის, რა მოიმოქმედოს აყალმაყალის თავიდან ასაცილებლად).

**სანდრო** — დედა, ნიკო ძია ვიღაც არ არის! ნიკო ძია ჩემი მეგობარია!

**თებრო** — (გაცეცხლებული) რა გაქვს საერთო იმ ბებრუცუნასთან?

**სანდრო** — ნიკო ძიამ იმდენ რამეზე ამიხილა თვალი, იმდენი რამ მასწავლა... (დარო უდასტურებს თავის ქნევით).

**თებრო** — დედაჩემო, კვერს რომ უკრავ, მამამისის ნახაზები ვიღას გადავცე? (გული ამოუჯდება).

**სანდრო** — მამაჩემის პროექტებზე მთელი ინსტიტუტი მუშაობს! მე კი იმ საქმეს მოვეკიდები, საითაც გული მიმიწევს!

**დარო** — ჰო, გენაცვალოს ბებო...

**სანდრო** — მე ფაბრიკაში მივდივარ. (გარბის).

**დარო** — აღარ უნდა გაათავო საყვედურები?

**თებრო** — ერთადერთი ვაჟი ფაბრიკის გზას გავუყენო?

**დარო** — ადამიანს ყველაფერი გამოადგება ცხოვრებაში. აცადე პატარა ხანს.

**თებრო** — ოო, რა უბედური ქალი ვარ! (სავარძელში ჩაეშვება და თავს მუხლებში ჩარგავს).

ჩაბნელება.

## მეშვიდე სურათი

ფაბრიკის ეზო. შესვენების საათია. ნიკოს მოჰყავს სანდროს ამხანაგები: გივი, ილო, კაკილო.

**ნიკო** — აგერა თქვენი ძმაკაცი. სანდრო, ბიჭო, აქ მოდი. (სანდრო მოირბენს) აბა, ჩაიბარე შენი სტუმრები... (გადის).

**სანდრო** — დელეგაციას გაუმარჯოს!

**გივი** — შენს სანახავად მოვედით!

**ილო** — როგორ შვენის ეს ლურჯი ხალათი! სანდრო, მივლინება როდის გითავდება ფაბრიკაში?

**გივი** — გინდა, დედაშენი ხელში შეიკლა?

**სანდრო** — მე ცუდს არაფერს ვაკეთებ.

**ილო** — ბიჭო, აღარ დაიცდი სასწავლო წელი დამთავრდეს? გამოცდები კარზე მოგვადგა.

**კაკილო** — მგონი კლასის დამრიგებელი და დირექტორი აპირებენ ფაბრიკაში მოსვლას.



კ. მარქსის ს... სახელმწ... ბიბლიოთეკა

**სანდრო** — ვერ დაიპყრობს ჩემს სურვილს გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.

**გივი** — რა, აქ ოქროს არიგებენ?

**ილო** — დამაგნიტებული არეა?

**სანდრო** — ერთი რაღაცა გამოვიგონე. მთელი მუშები მეხმარებიან, ჯერ საიდუმლოა... (ბიჭები ამრეზილები გადიან).

## მერვე სურათი

სანდროს ბინა. ტელეფონთან ზის თებრო, შუბლი ჭრელი ხილაბანდით გაუკრავს, დროდადრო ვალერიანის წვეთებს უნოსავს. დარო საკერავით იქცევს თავს.

**თებრო** — ნეტავი თუ მივიდნენ ამხანაგები სანდროსთან?

**დარო** — სად უნდა მისულიყვნენ?

**თებრო** — ფაბრიკაში, იქნებ იმათი სიტყვა ისმინოს, სადაც არის გამოცდები ეწყებათ.

**დარო** — აცალე პატარა ხანს, შვილო, მოზარდმა ცხოვრებაშიც უნდა მიიხედ-მოიხედოს, ხალხში გაერიოს, მიდგეს-მოდგეს... ჩემს სანდროს წიგნი ძალიან უყვარს... (შემოდიან გივი, ილო, კაკილო).

**თებრო** — მოდით, გენაცვალეთ. მაშ ამისთანა ანგელოზებივით ამხანაგებს ჭკვიანი ბიჭი ზურგს შეაქცევდა! იყავით? რაო, რა მოგახსენათ?
(ბიჭებს უჭირთ ლაპარაკი).

**გივი** — შესვენება დამთავრდაო, წავიდა! (თებროს გაოცება იპყრობს).

**კაკილო** — თებრო დეიდა, რაღაც საიდუმლოს ვაკეთებთ.

**თებრო** — რა საიდუმლოს?

**კაკილო** — ჯერ ვერ ვიტყვით...

**თებრო** — ისეთნაირად ჭიკჭიკებთ, მგონი, თქვენც გადაგიბირათ.

**დარო** — კარგი საუბარი ჰქონიათ ყმაწვილებს...

**თებრო** — რას იკრიჭებით, უფროს ადამიანს თხოვნა არ უნდა შეუსრულოთ? თქვენ რომ სანდროს ნამდვილი მეგობრები იყოთ, ნიკო ხარაზიშვილი ვერ გადაიბირებდა. თვალით არ დამენახოთ არც ერთი...
(აბუზული ბიჭები უხერხულად გადიან).

**დარო** — ამათ რას ერჩი, შვილო, კარგი ბიჭები არიან...

**თებრო** — დამეხსენ, დედა, (ზარის ხმა). ვინ არის? (კარს აღებს).

**ილოს პაპიდა** — სანდროს დედა თქვენა ხართ?

**თებრო** — რა მოხდა? (თებრო შეშფოთებული შესცქერის).

**ილოს პაპიდა** — მეტი რა უნდა მოხდეს, თქვენი შვილი ინფექციის ბაცილას ავრცელებს.

**თებრო** — (შეჰყვირებს) ინფექციურში წაიყვანეს? ღმერთო, მომკალი... გაიგე, დედა, სანდრო ინფექციურში წაუყვანიათ.
(დარო სავარძელში ჩაეშვება).

**ილოს პაპიდა** — (გაოცებული შეჰყურებს დედა-შვილს) ხალხნო, აღარ დამაცდით სიტყვის დამთავრებას? (დედა-შვილი უფრო შეშფოთებულები შესცქერიან) მე ვთქვი, სანდრო ინფექციას ავრცელებს-მეთქი.



**თებრო** — ქალბატონო, გაგვაგებინეთ ვინ ბრძანდებით, რა გწადიათ?

**ილოს პაპიდა** — მე გახლავართ ილოს პაპიდა. დედამისი მოსკოვშია კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ბავშვი ჩემს ზედამხედველობაშია. გუშინ, ისე რომ, არც აცია და არც აცხელა, ფაბრიკაში მუშაობაზე გადამიკრა სიტყვა. შევიკარი კოპები. როგორ, შენ, ხუთოსან მოსწავლეს იქ რა დაგრჩენია-მეთქი! სანდრო იქ არისო! ეხლა ხომ მიხვდით, რად მოვიხსენიე თქვენი შვილი ინფექციად! საქმე მშვიდობიანად არ გათავდება. იქნებ არ იცით ჩემი გვრგვინვა! (უხმოდ ბობოქრობს).

**თებრო** — ჩემი შვილი ოჯახის ნებით დადის ფაბრიკაში, გამომგონებელია, იქ საქმე აქვს.
(შემოდიან გივი, კაკილო და ილო).

**გივი, კაკილო, ილო** — თებრო დეიდა, მოგვილოცავს დაბადების დღე! (თაიგულს მიართმევენ).

**თებრო** — (გული უჩვილდება, სიტყვა ვერ მოუძებნია) რამ გაგახსენათ ჩემი დაბადების დღე!
(შემოდიან გოგონები ტკბილეულის კოლოფით).

**გოგონები** — თებრო დეიდა, მოგვილოცავს თქვენი დაბადების დღე!
(კოცნიან).

**თებრო** — (ბედნიერია) შვილებო, თქვენ იყავით კარგად, მადლობელი ვარ...
(შემორბის სანდრო).

**სანდრო** — მეგობრებს გაუმარჯოს! (გოგოები ანიშნებენ, დედაშენს დაბადების დღე მიულოცეო). გთხოვთ წუთით თვალებზე აიფაროთ ხელი. (იფარებენ. კაკილო თითებშუა იჭყიტება, ბიჭებიც თვალთმაქცობენ. გოგონებს მოთმინება არ ჰყოფნით. სანდრო შეხვეულს ხსნის და დედას მაშიებს დაუწყობს ფეხებთან) მოგწონს? მეგობრებო, გაახილეთ თვალი!

**თებრო** — (გახარებული უხმოდ იცვამს) ამას რას ხედავს ჩემი თვალები! (კოცნის) ჩემო ჭკვიანო ბიჭო!
დარო სიამოვნებით შეჰყურებს).

**სანდრო** — ბებო, შენც მოგართმევ... (კოცნის, შემდეგ ჩაიმუხლებს და ახლა მეორე ფერზე გადმოაბრუნებს მაშიებს. ყველანი აღტაცებული არიან. მაშიები ხელიდან ხელში გადადის).

**ილო** — ხედავ, გივი, ჩვენი სანდრო არა ხუმრობს!

**კაკილო** — გვასახელებს!

**დარო** — „სახარეს ჩლიქებში ეტყობაო".

**სანდრო** — იცით, ვინ მოიგონა, ეს ორფერი მაშია?
(ყველანი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდებიან) ვინ და... (შემოდის ნიკო ცალხელში ტორტის კოლოფით, ცალ ხელში — სინზე შემოდებული კონვერტითა და ყვავილებით. უკან მოჰყვება აბუზული მეუღლე) ვინ და... ნიკო ხარაზიშვილმა! (ტაშით შეხვდებიან).

**ნიკო** — ამ ოჯახის სიხარულს, ბედნიერებას გაუმარჯოს! (ყველანი უდასტურებენ. ტორტს, როგორც იქნა, გამოუძებნის ადგილს დასადებად) ეს ბარათი კი, მანდილოსანო თებრო, თქვენთვის მომირთმევია. (სინს გაუწოდებს), გთხოვთ ხმამაღლა წაიკითხოთ.

**თებრო** — (დაბნეულია, ვერ გადაუწყვეტია, წაიკითხოს თუ არა, ბავშვები აბედვინებენ) ფეხსაცმელების ფაბრიკის „იარე ლამაზად" დირექცია და მისი მუშათა კოლექტივი დიდ მადლობას მოგახსენებთ სანდროს აღზრდისათვის, სანდროს დედობისათვის. იყავით ბედნიერი და დღეგრძელი...
(თებრო სიხარულით აქვითინდება, მხიარული ყიჟინა).

**ილოს პაპიდა** — (თავს შემოყოფს ღია კარებში). ილო, ახლავე შინისკენ! (ილო იშმუშნება, ნიკო ძიას უყურებს, წასვლა არ უნდა, თებრო და დარო ილოს პაპიდას იპატიჟებენ) ტყუილად ირჯებით!

**ნიკო** — ვითომ რაზე გვწუხობ? ოჯახის სიხარულს გაზიარება უნდა! (პაპიდა არც მიდის, არც ჯდება). აბა, სანდროჯან, მუსიკა! (სანდრო ჩართავს მაგნიტოფონს. ნიკო ანიშნებს ახალგაზრდებს, ამყევითო, და ყველანი ხმასააყოლებენ მაგნიტოფონს).

**დარო** — ძვირფასო სტუმრებო, გთხოვთ, (მიდიან მაგიდასთან).

**ნიკო** — გოგონებო და ბიჭუნებო, სანდრომ ფაბრიკას დასაკეცი ფეხსაცმლის ესკიზი შესთავაზა. იცით, ეს რა არის? აღმოჩენა! მაგრამ, ვიდრე სანდრო რვა კლასს არ დაამთავრებს და გაშანშალებულ ხუთიანებს არ მოგვიფრიალებს, ესკიზს ფაბრიკა არ დაამტკიცებს!

**თებრო** — თქვენ გაიხარეთ, მადლობელი ვარ.

**ამხანაგები** — მოგიფრიალებთ, მოგიფრიალებთ!

**ნიკო** — აჰა, ბურთი და აჰა მოედანი, ყმაწვილებო!

(ყველანი მღერიან)

ფ ა რ დ ა



# წაუკითხეთ პატარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ვ თ ა ნ დ ი ლ  დ ო ლ ი ძ ე

## მჭედელი ზურა



შეაგროვა ხარახურა,
ზურ ამ ქურა გაახურა.
ახლა გრდემლზე ურტყამს უროს,
უნდა სოფელს ემსახუროს.



## დავეხმარები პაპასა

—რად გინდა, რომ თოხს ამზადებ?—
ბებია ჰკითხავს კახასა,
— მარტოდ მუშაობს ბოსტანში,
დავეხმარები პაპასა.

## მარჯვე ბიჭი



პაპას ბაძავს ზურიკო —
გააკეთა სამფეხა,
წვრილი შეშა რაც იყო
სულ ზომაზე დახერხა.



## ზარმაცი ფისო

რა ვუშველო, ნეტავ, ფისოს,
ეს რა ცუდი ჩვევა სჭირსო,
ღამე სადღაც დასეირნობს,
დღე უნდება მუდამ ძილსო!

## გაახარა



წყალზე მიდის პაპა,
დაინახა ზურამ,
მიირბინა მყისვე,
ჩამოართვა სურა.

მიუტანა წყალი,
ცივ-ცივი და წმინდა,
გაეხარდა მოხუცს,
სახე გაუბრწყინდა.

მოეფერა ზურას,
გადაუსვა ხელი,
დალოცა და უთხრა:
— დიდი მადლობელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВСЕСОЮЗНЫЙ СЛЕТ ЮНЫХ ТЕХНИКОВ
50 ЛЕТ



# ალმა-ათაში საკავშირო შეკრებაზე

ორმოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ქ. მოსკოვში ნ. კრუპსკაიას უშუალო ინიციატივით გაიხსნა ბავშვთა ტექნიკური სადგური. ეს იყო 1926 წელს.

სწორედ ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების 50 წლისთავს მიეძღვნა ნორჩ ტექნიკოსთა პირველი საკავშირო შეკრება, რომელიც წლეულს 2-დან 7 აგვისტომდე გაიმართა ყაზახეთის სსრ დედაქალაქ ალმა-ათაში.

ნორჩ ტექნიკოსთა პირველ საკავშირო შეკრებაში მონაწილეობდა 500-ზე მეტი ნორჩი ტექნიკოსი. მონაწილეებად შეირჩნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ დათვალიერებებში, გამოფენებსა და შეჯიბრებებში. ჩვენი რესპუბლიკიდან შეკრებაში მონაწილეობისათვის შევარჩიეთ 12 ექსპონატი. ტექნიკის თითქმის ყველა დარგიდან.

ალმა-ათაში პირველ აგვისტოს ჩავფრინდით.

მიუხედავად შუაღამისა აეროპორტში შეხვედრა მოგვიწყო ალმაათელი მოსწავლეებისა და მასწავლებლების დიდმა ჯგუფმა.

ნორჩ ტექნიკოსთა პირველი საკავშირო შეკრება გაიმართა მე-2 ექსპერიმენტული სკოლა-ინტერნატის ბაზაზე. აქ ყველა პირობა იყო შექმნილი შეკრების მაღალ დონეზე მოწყობისათვის.

2 აგვისტოს დილით, შეკრების მონაწილეებმა ყვავილების გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი



ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი ა. ლეონოვი ესაუბრება ნორჩ ტექნიკოსებს.

**შეკრების მონაწილენი „ნორჩ ტექნიკოსთა შემოქმედება — 76“-ის გამოფენაზე.**

და 28 გმირი პანფილოველის მემორიალი. ამ ცერემონიალში 15 მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი დელეგაციის წევრი მანანა ფრუიძე, ერთადერთი გოგონა, რომელსაც დაევალა ყვავილების კალათა მიეტანა ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

ყველა მოუთმენლად ელოდა შეკრების პლენარული სხდომის დაწყებას. იგი გაიხსნა 3 აგვისტოს საზეიმოდ მორთულ მ. ლერმონტოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის შენობაში.

„ისმინეთ ყველამ!“—გაისმა დაფდაფების მოწოდება, რითაც ამცნეს დამსწრეებს პლენარული სხდომის დაწყება. სცენის სიღრმეში, ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების ისტორიის ამსახველი კადრები.

1926 წელი. ნ. კრუპსკაიას ინიციატივით ქ. მოსკოვში იხსნება პირველი ბავშვთა ტექნიკური სადგური. კადრები ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების პირველი გამოფენიდან. გაოცებთ ის დიდი წინსვლა, რაც ამ 50 წლის განმავლობაში მოხდა მოსწავლეთა ტექნიკურ შემოქმედებაში.

1935 წელი. ქ. თბილისში გაიხსნა ბავშვთა პირველი რკინიგზა.

ომის მძიმე დღეებში ათასობით ყოფილი ნორჩი ავიამოდელისტი, რადიოტექნიკოსი, გემთმოდელისტი წავიდა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. ათასობით მოსწავლე, მათ შორის ნორჩი ტექნიკოსებიც დადგნენ დაზგებთან ფრონტზე წასული მამების, ძმებისა და დების ადგილას.

ომის დამთავრების შემდეგ უფროსების მხარდამხარ შრომობენ ნორჩი ტექნიკოსები. ისინი არემონტებენ სკოლებს, აწყობენ სასკოლო სახელოსნოებს, დიდი რაოდენობით ამზადებენ თვალსაჩინო ხელსაწყოიარაღებს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოებისათვის.

1976 წელი. საბჭოთა ახალგაზრდობის შესანიშნავი დევიზის—„ეფექტურობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის შემოქმედება და ენთუზიაზმი“ — დაბადების წელი... ეს დევიზი ამჟამად ჩვენი ქვეყნის ნორჩ ტექნიკოსთა დევიზიც გახდა.

მოსწავლეებთან მუშაობს ასობით შესანიშნავი პედაგოგი, ინჟინერი, მეცნიერი მუშაკი, სპეციალისტი, რომლებიც არ ზოგავენ ძალასა და დროს, გადასცემენ მათ თავიანთ ცოდნას, ჩვევებს, აცნობენ მოსწავლეებს ტექნიკის საიდუმლოებას. ბავშვთა ტექნიკური შემოქმედება კვლავაც უნდა განვითარდეს და გაუმჯობესდეს.

თავის გამოსვლაში კოსმონავტმა ალექსი ლეონოვმა აღნიშნა, რომ „დღევანდელი შეკრების მონაწილე ვაჟებსა და გოგონებს შორის აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც გაფრინდებიან კოსმოსში, გახდებიან ინჟინერ-მკვლევარები, ექიმები, მიიღებენ ისეთ სპეციალობებს, რომლებზეც ამჟამად წარმოდგენაც კი არა გვაქვს.

შეკრების თითოეულ მოსწავლეს ყველასათვის სავალდებულო პროგრამის გარდა, ჰქონდა საკუთარი მიზნებიც — რჩევა-დარიგება მიელო გამოცდილი წრის წევრებისაგან, ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების ვეტერანებისაგან.

შეკრების მონაწილენი დეპეშას უგზავნიან კოსმონავტებს ბორის ვოლინოვსა და ვიტალი ჟოლობოვს.

გამოფენაზე წარმოდგენილი 700 ნაკეთობიდან ჟიურიმ მოიწონა და გამოსაფენად დაუშვა 240 ექსპონატი. საქართველოდან წაღებული 12-ვე ნაკეთობა მოხვდა გამოფენის ექსპოზიციაში.

დღის მეორე ნახევარში ნორჩ ტექნიკოსთათვის მოეწყო თემატური ექსკურსიები ალმა-ათის საწარმოებში.

ნორჩ ტექნიკოსთათვის მოწყობილი ექსკურსიები ძალზე საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა, რადგან მათ ნახეს და გაიცნეს ალმა-ათის მოწინავე საწარმოები და დიდი ფაბრიკა-ქარხნები.



**აი ისინიც, ჩვენი ნორჩი ტექნიკოსები**

5 აგვისტოს მუშაობდნენ სექციები: ბავშვები იყვანდნენ საკონსტრუქტო ამოცანებს და იცავდნენ თავიანთი მოდელების პროექტებს. [illegible] ლომანტები“ იძლეოდნენ [illegible] ყოს ან კონსტრუქციის მთლიან დახასიათებას, უპასუხებდნენ ჟიურის წევრებისა და ნორჩ ტექნიკოსთა შეკითხვებს. ჩვენმა ნორჩმა ტექნიკოსებმა სექციურ მუშაობაში დიდი წარმატება მოიპოვეს.

სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შრომის სწავლების მეთოდის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა დიდად შეაფასეს ჩვენი დელეგაციის წევრთა გამოსვლები სექციებზე და აღნიშნეს, რომ ისინი კარგად იყვნენ მომზადებულნი თავიანთ დარგებში და ბრწყინვალედ დაიცვეს ნამუშევრები.

4 ჩვენი ნორჩი ტექნიკოსი დაჯილდოვდა 1-ლი ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით. 4—მე-2 ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო 2 ნორჩი ტექნიკოსი — მე-3 ხარისხის დიპლომებით.

საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს გადაეცა გამარჯვებულის ვიმპელი და მაგნიტოფონი, ხოლო მე-2 პრემიით დაჯილდოვდა აჭარის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური, რომელსაც გადაეცა ტრანზისტორული მიმღები „რიგა—202“. მუშაობისაგან თავისუფალ დროს შეკრების მონაწილეებმა დაათვალიერეს ქალაქ ალმა-ათის ღირსშესანიშნაობები, მთებში მდებარე სასპორტო კომპლექსი „მედეო“.

გ. ეპიტაშვილი,
დელეგაციის ხელმძღვანელი.




განყოფილებას ხელმძღვანელობს
ნოდარ შამანაძე.



## ჯეირნის ნუკრი

ჯეირნის ნუკრი პატარა
მთიდან ჩამოჰყვა ნიავსა,
მოიბალახა კორდები,
პირი არ ახლო იასა.

უყვარს სერებზე კუნტრუში,
ველს ეძალება მზიანსა;
მთების ობოლი შვილია,
ბიჭო, ნუ ესვრი ტყვიასა.

მელი — კოსტა ფარულავა (95 წ.).
წერი — მაყვალა ფარულავა, VII
სის მოსწავლე, ქ. ცხაკაია.

## მამასახლისი



ამ ჩვენსა მამასახლისსა
თვალებში უდგას ბურია,
ნახნავ-ნათესი წაუხდა,
არ მოუვიდა პურია.

სხვები რომ კალოს ლეწავენ,
იმას უკვდება გულია,
როდესაც გარდაიცვლება,
ძაღლი დავუკლათ მურია.

მელი — იროდი ლაჩაშვილი (67 წ.).
ერი — გელა ლაჩაშვილი, თელავის
ონის იყალთოს საშუალო სკოლის
კლასის მოსწავლე.

## ერეკლე მეფის პასუხი

მეფე ერეკლეს ასპინძაში მტერი რომ დაუმარცხებია, თბილისს დაბრუნება წალკის გავლით უსურვებია. ხიზაბავრაში შეუსვენია. მეფის სტუმრობით გახარებულ ხალხს ხარ-ძროხები დაუკლავს და დიდებული სუფრა გაუშლია. ერეკლეს რამდენიმე ლუკმა უგემებია და გაჩერებულა.

— რატომ არაფერს მიირთმევთ, დიდო მეფევ? — შეუბედნია ერთ ბერიკაცს.

— მივირთვი და ეგ არის.

— როგორ, ასე ცოტა გყოფნით, ბატონო?! — გაკვირვებია ბერიკაცს.

— არწივი ცოტას ჭამს, მაგრამ როგორი ბიჭია! — გაღიმებია მეფეს.

მთქმელი — კეკელა დათაშვილი (85 წ.).
ჩამწერი — ნუკრი დათაშვილი, ასპინძის რაიონის ხიზაბავრის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე.



## რატომ ემტერება მგელი ძაღლს



ძაღლს სუნის აღების დიდებული უნარი აქვს, მგელს კი დაწოლისას სხეულის კარგი გათბობა ეხერხება. ერთხელ ძაღლმა მგელს უთხრა: მე სუნის აღებას გასწავლი, შენ კი მასწავლე, დაწოლისას როგორ გავთბეო. მგელი დათანხმებია და უთქვამს: დაწოლისას რომ გათბე, სამჯერ უნდა შემოტრიალდეო. (მართლაც, დაწოლისას ძაღლი სამჯერ შემოტრიალდება ხოლმე). ძაღლს მგლის რჩევა მოუსმენია თუ არა, შემოტრიალებულა და გამოძუნძულებულა, სუნის აღება არ უსწავლებია (მგელმა სუნის აღება არ იცის). ამის შემდეგ ემტერება მგელი ძაღლს.

მთქმელი — დარეჯან შუბითიძე (71 წლის).
ჩამწერი — გიორგი შუბითიძე, ხაშურის რაიონის ტკოცის 8-წლიანი სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## ✻ ანდაზები ✻

თუ კაცობა გინდა, ნამუსზე უნდა დაიხედო და არა ჩოხაზეო.
თუ მართალი ხარ, გული რკინისა გაქვსო.
კამკამა წყალში მარგალიტი გამოჩნდება,
გაჭირვებაში მეგობარიო.
ყორანს ბანდნენ და უფრო შავდებოდაო.
მეტიჩარა მაყარი ნეფე-დედოფალს უსწრებდაო.
დროზე მთესველი დროზე მოიმკისო.
უქნარას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო.
აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო.

მთქმელი — მარგარიტა ლომთათიძე (78 წ.).
ჩამწერი — ნინო ძნელაძე, ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

კბილი მქონდა — თხილი არა, თხილი მაქვს და კბილი არა.
სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკიდიაო.
უხეირო შვილი მამის კერას გააცივებსო.
ბატმა სიარულში მწყერს მიბაძა, ვერც მისი ისწავლა და თავისიც დაავიწყდაო.

მთქმელი — მარო დეკანოიძე (81 წ.).
ჩამწერი — ზორენა შამანაძე 48-ე საშუალო სკოლა VII კლასი.

## სოფელი გლოლა



ამ სოფელში თამარ მეფის ბრძანებით ციხეს აგებდნენ თურმე. სამუშაო პირობები მეტად მძიმე ყოფილა: ქვები მიუვალ ხევში უნდა მოენგრიათ და ციცაბო გორაკზე აეტანათ. ერთხელ ქვა დაკგორებიათ. ამ ქვას ბარე სამი კაცი მოუკლავს. ხალხი დამწუხრებულა, მთელი სოფელი გადაშავებულა. თამარ მეფე რომ ასულა, უკითხავს: რა მოგივიდათ. ძძები რატომ გაცვიათო. მუშები დაგვეღუპა და იმათ ვგლოვობთო. მეფეს თვითონაც შავები ჩაუცვამს, სოფლისთვის კი „გლოვა" უწოდებია. დროთა განმავლობაში „გლოვა" „გლოლად" გადაკეთდა.

მთქმელი — ვასასი ბიძიშვილი (76 წ.).
ჩამწერი — მარინე ბალაშვილი, ონის რაიონის გლოლის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## მწყემსის სიმღერა



შევხარით გათენებასა,
დღე ღამეს გაეყარაო,
სინათლემ კარი გააღო,
სიბნელე გაიპარაო.

ჩიტებმა ჩაიჭიკჭიკეს,
გულს აგრძნობინეს ძალაო,
მზე ამოვიდა წითლადა,
სხივები გადმოშალაო,

მაღალი მთების ჩრდილები
ხევებში ჩაეფარაო,
იალაღები შეთეთრდა,
ფარას მიჰყვება ფარაო.

მთქმელი — თედო წიკლაური (56 წ.).
ჩამწერი — ბუთულა წიკლაური, დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## აკაკის

შენი ჩონგურის სიმები
მზის უქრობ სხივთა ფერია;
სულიკო აღარ მწუხარებს,
ნათელი გადაფენია.

მაღალ მწვერვალზე შემდგარა
დიდი თორნიკე სარდალი,
ჭაღარა, როგორც მყინვარი
და მძლე არწივის სადარი.



ნათელას დავიწყებია.
ძველ დროთა უკუღმართობა,
ჩონგურს გაუბა სიმები,
ახარებს ხალხთა ერთობა.
აგერ მერცხალიც მოფრინდა
და გაზაფხული გვახარა,
ატამმა ყვავილთ ფანტელი
კისკისით შემოგვაყარა.

მთქმელი კასანა ლომიძე (60 წ.). ჩამწერი გუგული ასანიძე ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.



## ნუ სწუხართ

ლამაზი არის, ლამაზი
ხეობა გუდამაყრისა,
მაგრამ არ დადის ტრანსპორტი
არავითარი სახისა.
ნუ სწუხართ. გუდამაყრელნო,
მუხლი მაიბით მგლისაო,
ვაცნობებთ თქვენსა გასაჭირს
რაიკომს დუშეთისაო,
ცოტა ხანს ფეხით იარეთ
ჯავრ ნუ გაქვთ ტრანსპორტისაო.

მთქმელი — სანდრო ბექაური (56 წ.).
ჩამწერი — მიხეილ ბექაური, დუშეთის რაიონის გუდამაყრის 8-წლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## მრისხანე ბატონი

ძველად ჩვენს სოფელში ერთი უჯიათი და გულქვა მებატონე ცხოვრობდა თურმე. ხოსია ერქვა, გვარად აბაშიძე იყო. მის საბატონოში კრინტის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ყველა დამუნჯებულივით დაიარებოდა.

ხოსიას ეზოში ყვირილას ერთი ტოტი გადადიოდა, ზამთარ-ზაფხულ. ანკარა ღელე ჩხრიალებდა საყვარლად. შევხედოთ და ერთ დღეს ეს წყალი დაშრა.

— რამ დააშრო ჩემი ღელე! — შესძახა ხოსიამ.

ერთმა გლეხმა, რომელსაც ცხენი შეკაზმული ჰყავდა, მრისხანე ბატონს მოახსენა:

— პირში წყალი გვაქვს ყველას ჩაგუბებული, დაშრება, აბა, რა ჯანაბა მოუვაო!

მთქმელი — ნატო ბიჟაშვილი (87 წ.).
ჩამწერი — მალხაზ ბიჟაშვილი, საჩხერის რაიონის ორღულის 8-წლიანი სკოლის IV კლასის მოსწავლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოლო ვედაჭკორია

მხატვარი იოსებ სამსონაძე.

მოთხრობა

მატარებელი სადგურში კივილ-კივილით შევიდა და თითქოს ძლივს შეიკავა თავიო, ისე შეჩერდა.

მარჯვნივ ჩემი სოფლის ხუჭუჭა მთები გამოჩნდა.

შალიკია გადარეული ყოველ მატარებელს ისეთი ბედნიერი სახით ხვდება, თითქოს ვიღაც ახლობელი დაინახა ფანჯარასთან მომდგარიო.

— თქვენი კაი გამარჯობა, ბატონო! — მიესალმა ბიძაჩემს და ბარგი ჩამოართვა. — ისევ ჩამოიყვანე ეს გოგო ჩვენში? — უშველებელ წითელ ხახას დააღებს, ჩაყვითლებულ-გასიებული ღრძილებით ნახევრად დაფარულ კბილებს გადმოყრის და თვალები დაუელამდება.

— ფაიტონით მობრძანდებით თუ ანტომობილით? — ისე იკითხავს შალიკია, თითქოს ერთიცა და მეორეც იქვე ჰყავდეს გაჩერებული და, რომელსაც ინებებთ, იმას გამოაგორებს.

— რომელიც უფრო ადრე იქნება, ჩემო შალიკია, — ფულს ჩაუდებს უშველებელ, ჩამოხეულ ჯიბეში ბიძაჩემი.

— ცივი წყალი, ხალოდნი ვადა, კამუ ნადა... — ხელში სველი დოქით შლეგივით შემოვარდა ბაქანზე ვიღაც ფეხშიშველი ბიჭი. შარვალი მუხლებამდე აეკაპიწებინა, მაგრამ მაინც დასველებოდა. გახუნებული ხალათი კოპწიად გადაეჭიმა მუცელზე, წელზე ქამარი მჭიდროდ შემოერტყა და ნაოჭი უკან მიეყარა. მკერდი ნუკრივით გამოჭკვეთოდა და თაფლისფერ თვალებს აცეცებდა. ცალ ხელში რაღაც ეჭირა და ილმურძლებოდა.

— კამუ ნადა ხალოდნი ვადა!.. — ისევ გაიმეორა, მაგრამ ახლაღა შეგვამჩნია და უფრო ხმადაბლა თქვა, თან ლუკმა გადააგდო უკან.

— უჰ, რუსულად თუ არ მოგვახსენე, კი ვერ მივხვდებით, რა გისხია მაგ დოქში. ამ ალიონზე ვის რად უნდა, ბიჭო, შენი ნოყო წყალი. — გაუტრიზავა ყველაფერი შალიკიამ დარცხვენილ ბიჭს.

— დამალევიე, ჩემო ბიძია, — ჩაფი წყალი რომ ჰქონოდა დალეული, წყაროს წყალზე მაინც უარს არ იტყოდა ბიძაჩემი.

— კი, ბატონო, — დოქი მოიმარჯვა ბიჭმა, ცალ ფეხზე დადგა, მეორე მუხლში მოხარა და დოქი ზედ ჩამოიდო. თავისუფალი ხელი შარვალზე ჩამოიმშრალა, ჯიბიდან თლილი, გაკრიალებული ჭიქა ამოიღო, წყალი გამოავლო, განზე გადაღვარა. შხეფებმა მტვერში ატმის აყვავებული ტოტი დახატეს. მერე ჭიქა ორი თითით ფაქიზად დაიჭირა. წყალი ლიკლიკით ჩამოდიოდა და ორთქლავდა ჭიქას.

— შენ არ გწყურია? — გამომიწოდა ჭიქა ბიძაჩემმა.

მწყუროდა, მაგრამ უარი ვთქვი. ვინანე — ქათქათა თეთრი, იისფრად დაწინწკლული კაბა რომ არ მეცვა და უქმად იდო ჩემოდანში.

სიამოვნებით სვამდა ბიძაჩემი წყალს. მერე ულვაშზე ხელი ჩამოისვა.

— გაცოცხლოს ღმერთმა. რა გემრიელი წყალია! — ჯიბეში ორკაპიკიანის ამოსაღებად ხელი ჩაიყო, მაგრამ ბიჭი ჭინკასავით გახტა განზე.

— გეკადრება, ბატონო?... — წავიდა და ახლა შორს გაისმა: — ხალოდნი ვადა, კამუ ნადა.

— არ გეგონოს, ტყუილად ყიდდეს წყალს, კლასის წიგნებისათვის აგროვებს ფულს. ერთი ბებია ჰყავს ქვეყანაზე, ის საწყალი ხან თხას მიათრევს, ხან ის მიარბენინებს უკან... — სევდა ჩაუდგა მუდამ მხიარულ და ელამ თვალებში შალიკია გადარეულს.

მერე ბრეზენტგადაკრულ, გრძელ, ცისფერ მანქანაში ჩავსხედით და მანქანა ღმუილ-ღმუილით აუყვა აღმართს. დიდხანს გვდია შალიკიამ, გვეძახდა, იცინოდა, რაღაც უხაროდა...

სოფელში თუთა უკვე დამწიფებულიყო და ტყუპ-ტყუპით ცვიოდა მიწაზე.

— კარგია, ბაბუა, რომ ჩამოხვედი. ზეგ საარყეში ვაპირებ თუთის ჩაყრას, — მითხრა ლუკა ბაბუამ და ქარვის კრიალოსანი ააჭახჭახა.

ბაბუას ახალუხი შეეხსნა, შიგნით ჩითის, ერთ ღილზე შეკრული, ვარდისფერი პერანგი ეცვა. ცისფერი თვალები თითქოს ჩაქრობოდა, მაგრამ ძველებურად უღიმოდა.

— ე, შეხედე, ბაბუა! შენი ჭროლა ვარიკა, — თეთრად დაწინწკლული, კუდაპრეხილი წიწილა დაახიჯებდა ხის ძირას და ბელურებს აფრთხობდა.

ასე, ყოველ წელიწადს, თითქოს ერთი და იგივე ვარია მხვდებოდა ბაბუას ეზოში.

— ფაფია არ მოგენატრა? — იცინოდა მაშიკო ბებია.

— როგორ არ მომენატრა!..

მოადუღებდა ვინმე სოფელში ფაფიას, გადმოდგებოდა ღობეზე და დაიძახებდა — მოდი და ჭამეო!

— არ შეგეშინდეს, მე აგერ არა ვარ?! — სიბნელეში შუაგზაზე გამომეგებებოდა ვინმე, ან გამხდარ ხელს გამომიწვდიდა ერთი ბეწო შოთიკო, მაგრამ მგონი თვითონ უფრო ეშინოდა ღამისა.

ენთო შუაცეცხლი. ნელი-ნელ ადიოდა ბოლი და იქ, ჩელტებში, ღრუბლებივით ნათდებოდა. ცვიოდა ცეცხლიდან ბურჯღულები. სამფეხა სკამები ჩოჩრებივით იდგნენ კერიის წინ. ბონძოტიდან კბილებს კრეჭდა

ჰყინტი ყველი. ძოთმინებით ეკიდა გაძურული, გაბლენძილი კარდალა და თუხთუხებდა ფაფია.

სხვის თეფშს უთვალთვალებდა ყველა, მეტი ფაფია არავის რგებოდა. წაღმა-უკუღმა ვლოკავდით კოვზებს. დაცურავდა მთვარე ფარღალალა ღრუბლებში და ისიც ჩემ წინ დადგმულ, ფაფიით სავსე თეფშს დამსგავსებოდა. სადღაც, ოდაზე ასული, ცისფრად დაწინწკლული ვაზის ხელისგულივით გაშლილ ფოთლებს წვიმა წამოუტყლაშუნებდა. ძაღლი ოდის აივანზე ფეხაკრეფით ავიდოდა. ძროხა ამოიფშვენდა. ოწინარი ისე აჭრიალდებოლდა, თითქოს ჭინკა შემოახტა და აწვალებსო. ჭრიჭინობლები ერთმანეთს არ აცლიდნენ სათქმელს და ბაყაყების გახურებულ ყიყინსაც არ უდებდნენ ტოლს.

მერე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ყურის გდება შეიძლებოდა...

— თუთას ბერტყავს ლუკა ბაბუა! — დილით ადრე შემომძახეს მეტიამ და შოთიკომ. დანარჩენები უკვე ბელურებთან ერთად შესეოდნენ ხეს.

შინ შევვარდი, საყვარელი თეთრი, იისფრად დაწინწკლული კაბა ჩავიცვი.

„ძლივს არ დამჭირდა?! თუთის ბერტყვაზეც ლამაზი კაბა უნდა გეცვას!“ — თავი დავიმშვიდე და სარკეს წინ ამაყად ჩავუარე.

ფუმფულა, მაყვალივით ჩაშავებული, ადგილ-ადგილ იისფრად აკრიალებული, შაქარივით ტკბილი თუთა პირში დნებოდა და სადღაც, ყუნწთან წაკვნეტისას კბილებში მჟავდებოდა.

ლუკა ბაბუა კარგ გუნებაზე იყო, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაყრიდა თუთას საარყეში, ღელეში ცეცხლს დაანთებდა, შემოდგამდა ცხვირა ქვაბს, ყალიონს გააბოლებდა და იტყოდა: — იწანწკარე და იწანწკარე ახლა... — მერე გამიღიმებდა, — მე და შენ აგერ ჩამოვსხდეთ და ვუთხრათ ერთმანეთს ამბები. — მზით გამთბარ თავბრტყელა ქვებზე ერთმანეთის პირდაპირ დავსხდებოდით მე და ბაბუა.

სანამ ხიდან თუთა ჩამოილეოდა, სანამ ჩიტებს და ჩვენ ჟივილ-ხივილი გაგვქონდა — ჩემი კაბა არ მომგონებია...

ჩამოთავდა თუთა, გულმოსუყებულები მივყუჩდით და რასა ვხედავ, — ჩემი ლამაზი, ქათქათა, იისფრად დაწინწკლული კაბა მელნისფერ თუთის წვენში სულმთლად ამოსვრილა.

გაბრაზებული, გულდაწყვეტილი დავეშვი დაღმართზე. შინ შეუმჩნევლად შევედი და ტახტზე დავემხე, ნაწნავები აქეთ-იქით გადამიცვივდა. წუთი არ დაჰგვიანებია ფისოს, იქვე გაჩნდა და ნაწნავებს თითი გაჰკრა, მაგრამ ისე ვიყავი გულგასიებული, ხმა არ გავეცი. გაოცებული კატა დაჯდა და თვალების ნაბვით შემომაჩერდა.

ჩვენები კაცისთავა მსხლის ძირას ისხდნენ. წამოვვარდი, კაბა სასწრაფოდ გადავიძრე, ბუხართან [illegible] მულ თუნგში დარჩენილ თბილ წყალს მივ[illegible] თასზე დაგდებულ კაბას დავუშვი. ვუსვი საპონი, ვსრისე და ვსრისე თუთის წვენში ამოსვრილი ჩემი კაბა, მაგრამ მალე შევატყვე, აღარაფერი ეშველებოდა.

— შევღებავ! — გადავწყვიტე, კარადის უჯრაში საღებავების პაწია პარკებში ავურიე ხელი. — რა ფერი აჯობებს? „ნარინჯისფერი“ — ეწერა ერთ პარკზე. ნარინჯისფერი კაბა! რა ლამაზი იქნება. ხვალ ნარინჯისფერი კაბით გავალ სოფელში, გავაგიჟებ ყველას. ნახვამდის, ჩემო ქათქათა, იისფრად დაწინწკლულო ლამაზო კაბავ! — გამოვემშვიდობე კაბას და ჩავუშვი საღებავში.

საზარელი ფერისა გახდა ჩემი კაბა. ჟამისფერზე უარესი იყო. ამოვწურე და ბოსტნისაკენ წავედი, ღობის ძირას მიწა ამოვთხარე და კაბა ჩავმარხე.

მალე თავზე მეტია და ჭაპულო წამომადგნენ.

— რას აკეთებ?

— კაბა დავმარხე, — პაწია საფლავის ბორცვზე ვანიშნე გოგოებს.

— გაგიჟდა! — გადაწყვიტა მეტიამ და პირზე მიიფარა ხელი.

— სუ... რა დამარხე? — ჩამეკითხა, როგორც გიჟს, ჭაპულო.

— კა-ბა!

მეტია დაიხარა, მიწა ამოთხარა და ნელ-ნელა ორი თითით ამოაძრო მიწაში ამოსვრილი, სველი კაბა.

ალბათ ძალიან სევდიანი სახე მქონდა და ჩემს მეგობრებს შევებრალე. სულ ცოტა ხნის წინათ კოპწია





მეორე დღეს ჩვენები სწორედ [illegible] მეზობლის სატირალში მიდიოდნენ. დაფიქრების დრო აღარ [illegible] ვიცვი შავად შეღებილი კაბ[illegible] ვერაფრით ვერ გავაგებინე რად მინდოდა მისი შავი მაღალყელიანი წინდები. მივვარდი, ავაკივლე და სიცილისაგან ღონემიხდილს ძლივს გავხადე. მერე სამაგრების მაგივრად ჩაფხრეწილი ნაჭრები შემოვირტყი ფეხებზე და სწორედ კართან მივუსწარი ჩვენებს.

დაანგრია ჭირისუფალმა კივილით ყველაფერი:

— ასე არ იცოდი ამ პატიოსანი ხალხის მიღება შენ!.. ადექი და ადექიო!.. — განიერ და გრძელ კუბოში ხალვათად მწოლიარე, გალეულ მიცვალებულს ჩააცივდა ცრემლგამშრალი, შუბლზე შავნაჭერგაკრული, სახედაკაწრული ქალი.

წინ ბიძაჩემი მიდიოდა, თავს მოკრძალებით უქნევდა ჭირისუფალს, უკან ბიცოლა მიჰყვებოდა. სინანულით აქნევდა თავს და ცრემლს იწმენდდა. მერე მე მივდიოდი შავებში ჩაცმული. მაგრამ გასაჭირი მადგა, წინდები რომ არ ჩამვარდნოდა ხან ერთ სამაგრს ვისწორებდი და ხან მეორეს.

ვიღაცამ გაიცინა და ყველამ ჩემკენ მოიხედა.

კაბაზე მეალერსებოდნენ და „მშვიდობაშიო" — დამძახოდნენ.

— შენ არ შეგეშინდეს! ჩვენი მეზობელი რომ მოკვდა, ჭირისუფალმა შავად შეღება, თუ რამე ებადა. ეზოში ისევ დგას საღებავით კარდალა,—თქვა მეტიამ და გაიქცა.

— შენ გაეზარდე შენს პატრონს, რამდენი ხანია ასე არ მიცინია, — მლოცავდა და თან გულზე ხელს იჭერდა ჭირისუფალთაგან რომელიღაც ქალი.

ეტყობა, გლოვის დროს სიცილი გემრიელია, ყველა იცინოდა. მიცვალებულს არ ეცინებოდა მხოლოდ, უშფოთველად იწვა განიერ და გრძელ კუბოში.

# ცხოველთა მხედველობა

შემოდგომით, ვისაც უღრან ტყეში გაუვლია, არ შეიძლება არ გაოცებულიყო უცნაური დუმილით, რომელსაც მოუცავს უსიერი ტყე.

მაგრამ ტყის დუმილი მოჩვენებითია. სინამდვილეში ცნობისმოყვარეობით, შიშით სავსე ასობით თვალი მოგვჩერებია, გვიცქერის ყოველი ხის, ყველა წაქცეული კუნძის ქვემოდან. ერთი სიტყვით, ტყე ერთ გიგანტურ თვალად არის ქცეული, რომელიც ფხიზლად აღნუსხავს ჩვენს ყველა მოძრაობას. ევოლუციამ ცოცხალი ბუნების ამ შესანიშნავმა მწვრთნელმა, საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ აღზარდა ეს ინსტინქტი ცხოველთა წინაპრების უთვალავ თაობებში და არც ისე ფუჭად. ამ ინსტინქტით შეიარაღებული სუსტი ცხოველები მოხერხებულად აღწევენ თავს მტრების ბასრ კლანჭებს, ნისკარტსა თუ კბილებს. მტაცებლები კი, პირიქით, ცდილობენ წარმატებით ინადირონ მსხვერპლზე.

ცნობილია, რომ გარემო სამყაროს ხედვის საშუალება — ეს ბუნებით მინიჭებული უდიდესი ბედნიერებაა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ 80% შთაბეჭდილებებისა, რასაც ადამიანი იღებს გარესამყაროსაგან, მოდის მხედველობით შეგრძნებებზე. მხედველობა ძალზე დიდ როლს ასრულებს ცხოველთა არსებობაში. იგი ეხმარება ცხოველებს დაინახონ მსხვერპლი და დაიჭირონ, შეამჩნიონ მტერი და დაემალონ, ორიენტაცია გააკეთონ სივრცეში, გაარკვიონ საგნების ზომა, ფორმა, შეფერილობა და ა. შ.

თვალი ერთ-ერთი ყველაზე ნაზი და რთული ორგანოა. თვალის მეოხებით ცხოველები ხედავენ მათ ირგვლივ მომხდარ ყველა მოვლენას, ეცნობიან საგანთა, ფერთა უდიდეს მრავალფეროვნებას, ეს კი დამყარებულია თვალის უნარზე, შეიგრძნოს სინათლე და სხივური გამღიზიანებელი ნერვულ პროცესად — მხედველობად გარდაქმნას. სინათლის პირველი და მთავარი წყარო კი დედამიწაზე, მოგეხსენებათ, მზეა. მისი სხივები ანათებენ დედამიწაზე არსებულ ყველა სულიერსა და უსულოს. მათზე ატყორცნილი ეს სხივები ხვდებიან თვალებში და იძლევიან მათში საგნების, ცხოველებისა და მცენარეების ადეკვატურ გამოსახულებას.

ცხოველთა მხედველობა ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით ეს სამყარო. არიან დღისით და ღამით, შორს და ახლოს, წყალში და ხმელეთზე და კიდევ სხვადასხვანაირად მხედველი ცხოველები. ცხოველთა სხვადასხვანაირი მხედველობა დამოკიდებულია მათი თვალების ოპტიკური მექანიზმის თავისებურებაზე, რაც გარემოსთან შეგუების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შეიქმნა. არ ვილაპარაკებთ მხედველ ხერხემლიან ცხოველებზე. ძუძუმწოვრების თვალები განსხვავდებიან არა მარტო ფერით, ფორმითა და მხედველობის თავისებურებით, არამედ მდებარეობითაც. ადამიანისა და მაიმუნის თვალები განლაგებულია თავის ქალის თვალის ფოსოებში ისე, რომ თითოეული მათგანის მხედველობითი ღერძები ერთმანეთთან მიმართებით თითქოს პარალელურია. სხვა ცხოველებს მხედველობითი ღერძები განლაგებული აქვთ გარკვეული კუთხით: ლომს — 10°-იანი კუთხით, კატას — 18°, ძაღლს—50°, ირემს—100°, ჟირაფს—140°, კურდღელს — 170°, ამასთან დაკავშირებით ადამიანის მხედველობის ველი შეადგენს დაახლოებით 160°, ძაღლისა — 250°, ცხოველებს თვალების გვერდული განლაგებით, მაგალითად, კურდღლებს, მხედველობის ველი მეტი აქვთ, ვიდრე ცხოველებს, რომელთაც თვალები თავის წინა ზედაპირზე აქვთ მოთავსებული. აქედან ჩანს ის ეკოლოგიური თავისებურებები, რაც დაკავშირებულია საკვების მოპოვებასთან: მტაცებლებს მხედველობის ველი უფრო ვიწრო აქვთ, ვიდრე მსხვერპლს.

ბოცვრებსა და კურდღლებს თავიანთ ირგვლივ ყველაფრის დანახვის უნარი შესწევთ: ის გარემოება, რომ მათ თვალები გვერდულად და დაჭყეტილი აქვთ, განაპირობებს მხედველობის ველის მაქსიმალურ სიდიდეს — 360°. ამიტომ მდევარადევნებული კურდღელი ჩვეულებრივ წინ გარბის და თვალებით კი უკან — მტაცებლისაკენ იყურება. მაგრამ ასეთი, ერთი შეხედვით მომგებიანი მხედველობა ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ყურცქვიტას — უკან დადევნებულ მელას რომ უყურებს, ვეღარ ახერხებს თვალყური ადევნოს, რა ხდება წინ, ამიტომ ხშირად მსხვერპლად ეწირება მეორე მტერს, რომელიც წინ შეიძლება ჩაუსაფრდეს. გარდა ამისა, კურდღელი უკეთ ხედავს მოძრავ საგანს, ვიდრე უძრავს. ამიტომ მას შეუძლია სულ ახლოს მიირბინოს და ვერ შეამჩნიოს თვით გაშლილ მინდორზე უძრავად მდგარი მონადირე. ქვეწარმავლებს შორის ქამელეონები გამოირჩევიან არა მარტო სხეულის შეფერილობის სწრაფი ცვლილებით, არამედ თვალებითაც. დიდი, გადმოკარკლული ქერცლიანი ქუთუთოებით დაფარულ თვალებს ქამელეონი ატრიალებს სურვილის მიხედვით: ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ. ერთი სიტყვით, მისი თვალები ტრიალებენ, თანაც ერთი თვალი მეორისაგან დამოუკიდებლად ტრიალებს, რაც საშუალებას აძლევს ქვეწარმავალს თავის მოუტრიალებლად ადევნოს თვალყური ირგვლივ მომხდარ მოვლენებს. მაგალითად, ერთი თვალით ქამელეონი ფრთხილად უცქერის მწერს — თავის საკვებს, მეორით კი გზას, რომელზეც ნელ-ნელა მოძრაობს. თუ ცხოველი რაიმემ შეაწუხა, იგი მაშინვე უშველის თავს, თანაც ერთი თვალით მდევარს უყურებს, მეორით კი გასაქცევ გზას. ქამელეონის მხედველობიდან გამომდინარე, მადაგასკარის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ასეთი ანდაზაც კი შეთხზეს: „იმოქმედე მსგავსად ქამელეონისა: იყურე წინ, ამასთან ნუ დაივიწყებ უკან მოხედვასაც და ყოველთვის იყავი ფხიზლად!"

მძღოლებმა და ყველა ავტომობილისტმა შესანიშნავად იციან, რა არის შორი და ახლო შუქი. ბევრი ფრინველისათვის კი ხშირად ყოვლად აუცილებელია შორს და ახლოს მხედველობა, რისთვისაც მათ თვალებს სპეციალური მექანიზმი აქვთ. ფრინველებს ფრენისას აუცილებლად ესაჭიროებათ რაც შეიძლება შორს მხედველობა, მაგრამ არიან ისეთებიც, [illegible]ბისთვისაც ახლო ხედვაა აუცილებელი, მაგალითად, [illegible] წყალში თევზის ჭერისას. პინგვინები კი პირიქით არიან, ისინი წყალში ხედავენ უკეთ და გაცილებით შორს, ვიდრე ყინულზე ან ხმელეთზე, სადაც ჩვეულებრივ ახლომხედველები ხდებიან ხოლმე.

ზღვის წავები ერთნაირად კარგად ხედავენ ხმელეთზე და წყალშიც. ასეთივე მხედველობა აქვთ ზღვის ძაღლებსა და დელფინებს.

გომბეშო ჩვეულებრივ ცოცხალსა და მოძრავ მხვრეპლს იჭერს, მკვდარი მწერი მას არ აინტერესებს. მდგომარეობის სწორად შეფასებაში კი ეხმარება თვალი, რომელიც თავისებურ კიბერნეტიკულ აპარატს მოგვაგონებს. იგი გომბეშოს ტვინს უგზავნის მხოლოდ აუცილებელ სიგნალებს. გაიფრინა ბუზმა ახლოს — გომბეშო მაშინვე აკეთებს რეაქციას, თუ ისეთ მანძილზე მიფრინავს, რომ ნადრობა უშედეგოა, იგი თითქოს არც ამჩნევს მწერს, მხედველობითი აპარატი იცავს ამფიბიას ფუჭი ნერვულობისაგან. ამ აპარატმა ტყუილად როდი დააინტერესა ინჟინრები. გომბეშოს თვალების აგებულების მიხედვით მათ შექმნეს ელექტრონული ხელსაწყო, რომელიც გამოყენებულია ავიაციაში, ჰაერში, სახიფათო



სიტუაციების თავიდან აშორების მიზნით (სისტემა მმს — მოძრავი მიზნის სელექცია).

მხოლოდ მოძრავ საგნებზე რეაგირობენ ჩვეულებრივი ბაყაყებიც, ამიტომაც არის, რომ ასე ხშირად ეტანებიან ისინი გველის მოსავსავე ორკაპა ენას, რომელიც მათ საკბილო ჰგონიათ.

საკვების დაჭერით გართული ბაყაყი თვითონ მიილტვის თავისი არასახარბიელო ბედის შესახვედრად — პირდაპირ ჰაერში ეტანება წყლის გველს. გველმაც „იცის" ბაყაყების ეს სუსტი მხარე და წყალსაცავების მახლობლად წარმატებით ნადირობს მსხვერპლზე.

**არნ. ბეგეჯკორი,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## საინტერესო სიახლენი

### ჩუმი ფოლადი

ეს ახალი შენადნობი მეტისმეტად უჩვეულოდ გამოცადეს. თავდაპირველად მისგან ფანჯრის ჩარჩო გააკეთეს და მსურველებს შესთავაზეს დაუზოგავად ეჯახუნებინათ იგი. არავითარი ხმა! ხმა არც მაშინ გაისმა, როცა ახალი ფოლადის ფურცელი ცემენტის იატაკზე დააგდეს.

იაპონელმა მეფოლადეებმა შეძლეს მიეღოთ უნიკალური მარკის ფოლადი ქრომისა და ალუმინის დამატებით.

იგი ასჯერ მეტად ახშობს ვიბრაციას, ვიდრე უჟანგავი ფოლადი. „ჩუმ ფოლადს“ ძალზე დიდი პერსპექტივები აქვს.

### თვითმცლელი ხომალდი

მდინარის ფსკერზე, გარკვეულ ადგილას დიდი რაოდენობით ქვიშა ან მიწაა დასაყრელი რაც შეიძლება მოკლე დროში. ამ მიზნისათვის დასავლეთგერმანულმა ფირმა „დეგენდორფენმა“ შექმნა ხომალდი, რომელსაც 40 წამის განმავლობაში შეუძლია განთავისუფლდეს 250 ტონა ტვირთისაგან. ასეთი ხომალდის კორპუსი შედგება ორი ნახევრისაგან, რომელიც ერთმანეთს შორდება სახსრის საშუალებით. ერთდროულად ხდება ტვირთის ფსკერზე დაყრაც. გარდა ამისა, ხომალდის ორსავე ნახევარში არის ჰერმეტული ნაკვეთურები, რაც მას წყლის ზედაპირზე იჭერს. ტვირთის დაცლის შემდეგ ორივე ნახევარი იმდენად მჭიდროდ ერთდება, რომ ხომალდ — თვითმცლელით თავისუფლად შეიძლება თხევადი ტვირთის გადატანაც.

### ცილინდრი ტოტებზე

ხეხილისა და ბუჩქნარის გამრავლების საინტერესო ხერხს მიმართავენ კრაკოველი მებაღეები. ქვემო ან გვერდით ტოტებზე წამოაცვამენ სველი ტორფით სავსე ცილინდრს. რამდენსამე



ხანში ტოტები ტორფში ფესვებს გაიდგამენ, მაშინ ტოტს მოჭრიან, ცილინდრს მოაშორებენ და მიწაში ჩარგავენ.

### უსუნო ნიორი

ნივრის სამკურნალო თვისებები, მისი უნარი — დახოცოს ბაქტერიები და ხელი შეუშალოს ათეროსკლეროზის წარმოშობას, დიდი ხნიდან არის ცნობილი. მაგრამ გასაჭირი ის გახლავთ, რომ ყველა ვერ იტანს ნივრის სუნს. პოლონეთში, ქალაქ პოზნანის სამკურნალო ბალახების ინსტიტუტის თანამშრომლებმა იპოვეს გამოსავალი: მათ შეძლეს ნივრის ისეთი ტაბლეტების მიღება, რომლებიც არავითარ უსიამოვნო სუნს არ ტოვებენ. ამისთვის ნივრის კბილებს აქცევენ ფხვნილად, შემდეგ კი მასში შეურევენ სუნის მანეიტრალებელ ნივთიერებებს და ბოლოს მისგან ამზადებენ სამკურნალო ტაბლეტებს.

### გულიც ამას ჰქვია

ოკეანოლოგებს დიდი ხანია აინტერესებდათ ხასიათი იმ იდუმალი ხმებისა, რომლებიც ოკეანის სიღრმეში გაისმის და ადამიანს თანაბრად მოძრავი ტალღის ხმაურს აგონებს. ყველაზე ხშირად ამ ხმების გაგონება მეცნიერებს ანტარქტიდის ნაპირებთან და არქტიკულ წყლებში უხდებოდათ. ამ ცოტახნის წინათ, ამერიკელმა სწავლულმა რუორკერმა შესძლო დაედგინა ამ რიტმული ხმების წყარო. გამოირკვა, რომ ეს ვეშაპების გულისცემაა და სხვა არაფერი.

როცა ეს ცხოველები პირს აღებენ, მათი გულისცემა დიდ მანძილზე ისმის. ამაში საკვირველი არაფერია — დიდი ვეშაპის გული დაახლოებით ასამდე კილოგრამს იწონის და ათი ცხენის ძალის სიმძლავრეს ანვითარებს.

### კალმახი ზღვაში

კალმახი მტკნარი წყლის თევზია, მთის ტბებსა და მდინარეებში ბინადრობს. ბულგარელმა მეთევზეებმა ქალაქ სოზოპოლიდან კი სცადეს კალმახის ზღვაში გაზრდა, ზღვის უბის ნაწილი ბადით შემოზღუდეს და იქ პაწაწინა თევზები გაუშვეს. კალმახები შესანიშნავად იზრდებოდნენ და



ვითარდებოდნენ. ბევრი მათგანის წონამ 800 გრამს მიაღწია.

### „მესმის მხოლოდ ის, რაც მინდა“

სწორედ ამ დევიზით ხელმძღვანელობდა ინგლისური ფირმა „ამპლივოქსი“, რომელმაც ამას წინათ გამოუშვა ხმაურისაგან დამცველი ყურსაცავები. რეაქტიული ლაინერების ძრავების გამაყრუებელი ხმაურისაგან რაც შეიძლება სწრაფად გაცლას ვცდილობთ, ვისაც კი შეგვიძლია, მაგრამ რა ქნან აეროდრომის ტექნიკოსებმა, რომელთაც სწორედ ამ საშინელ ხმაურში უხდებათ მუშაობა და ერთმანეთთან ლაპარაკი მთელი დღის განმავლობაში? აეროდრომის მომსახურე პერსონალისათვის განკუთვნილ ყურსაცავებში მოთავსებულია ფილტრი, რომელიც ატარებს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის მეტყველების სიხშირის მქონე ხმას და იჭერს ძრავების გამაყრუებელ გრუხუნს. ახლა თვითმფრინავების მომსახურე მუშებს შეუძლიათ მშვიდად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ისაუბრონ.

### ზოგი ჭირიც მარგებელია

რამდენიმე ამერიკელმა სწავლულმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც 1974 წლის დასაწყისში დადგა, გახდა არაპირდაპირი მიზეზი სიკვდილიანობის შემცირებისა, პირველ რიგში გულისა და ფილტვის დაავადებისაგან. გამოკვლევები მოეწყო სან-ფრანცისკოსა და ალამედეს რაიონებში, სადაც ბენზინის გაყიდვა 1974 წელს, წინა ოთხ წელიწადთან შედარებით 9,5 პროცენტით შემცირდა. იმავე 1974 წელს ფილტვის დაავადებებამ სან-ფრანცისკოში იკლო 32,9

პროცენტით. ალამედეში კი — 38 პროცენტით. გულის დაავადებამ კი შესაბამისად 16,7 და 11,2 პროცენტით. სწავლულები აღნიშნულ გარემოებას იმით ხსნიან, რომ ატმოსფეროში იკლო გამონაბოლქვი აირების რაოდენობამ.

### როგორ შევინახოთ ახალი თევზი

ახალი თევზის შენახვის უამრავი ხერხია ცნობილი, მაგრამ ყველაზე ორიგინალური მათ შორის ინგლისელებს ეკუთვნით. ამას წინათ მათ 460 კილომეტრის სიშორეზე ავტომანქანით უწყლოდ და უმაცივროდ გადაიტანეს ახლადდაჭერილი ქამბალა, რომელიც 100 კილოგრამამდე იწონიდა. ამასთან გზის დასასრულს თევზი ცოცხალიც კი იყო.

ასეთი ტრანსპორტირების საიდუმლოება მეტად მარტივია: ვიდრე მანქანაზე დადებდნენ, თევზი 15 წუთით მოათავსეს აუზში, რომელშიც საძილე ნივთიერების სუსტი ხსნარი იყო. ამის შედეგად თევზს მთელი გზა ეძინა, იბადება კითხვა: ხომ არ მოხვდება



საძილე ნივთიერება ადამიანის ორგანიზმში თევზთან ერთად? არა, არ მოხვდება, ვინაიდან ეს ახლახან შექმნილი მედიკამენტი 12 საათში მთლიანად იშლება თევზის საჭმლის მომნელებელ ორგანოებში.

# სპორტი

## სახტუნელა მოქნილობის განსავითარებლად

თითქმის ყველაზე გავრცელებულ ტანვარჯიშულ იარაღზე — სახტუნელაზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, მუდამ ხტუნვა აქვთ მხედველობაში, მაგრამ ეს უბრალო იარაღი, თურმე მოქნილობის გამოსამუშავებლად მისწრება ყოფილა. აქ მოყვანილი ვარჯიშების შესრულებისას სახტუნელა მუდამ გაჭიმული უნდა გეჭიროს, თვალი ადევნე სუნთქვას, ვარჯიში შეასრულე 10-15-ჯერ.

1. სახტუნელა ორად გაკეცე, ხელები ძირს დაუშვი, მარჯვენა ფეხი უკან გადადგი, ხელები მაღლა ასწიე იმდენად, რომ სახტუნელას ველარ ხედავდე და ჩაისუნთქე. დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას. ჩაისუნთქე.

2. სახტუნელა ოთხად გაკეცე და ხელები ძირს დახარე. გადააბიჯე ზედ მარცხენა ფეხით, შემდეგ მარჯვენით, დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას და ჩაისუნთქე, გადაბიჯების დროს — ამოისუნთქე.

3. სახტუნელას ფეხები დაადგი. მარცხენა ფეხი წინ გადადგი და მარჯვენა შეძლებისდაგვარად უკან გასწიე და თან სახტუნელა წაიყოლიე. ტანი წინ გადახარე და ხელები გაშალე. 3-4 წამით შეჩერდი. ახლა ეს მოძრაობა მეორე ფეხით გააკეთე.

4. დაჯექი იატაკზე, სახტუნელა ოთხად გაკეცე, ხელები მაღლა ასწიე. ფეხები მოხარე და სახტუნელაზე გადაატარე, შემდეგ გაჭიმე, გაჩერდი 3-4 წამი. საწყისი მდგომარეობის დროს ჩაისუნთქე, ფეხების გადატანისას ამოისუნთქე.

5. იატაკზე გულაღმა დაწექი, სახტუნელა ოთხად გაკეცე და ხელები მაღლა ასწიე. ხელ-ფეხი იატაკს მოაშორე, გაიზნიქე და ამ მდგომარეობაში 2-3 წამს შეჩერდი, დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას — ჩაისუნთქე, ფეხების გადატანისას ამოისუნთქე.

6. იატაკზე გულდაღმა დაწექი, სახტუნელა ოთხად გაკეცე და ხელ-ფეხი იატაკს მოაშორე, მოიხარე და ამ მდგომარეობაში 2-3 წამს შეჩერდი. თანდათან დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას, დახრის დროს ამოისუნთქე, საწყისი მდგომარეობის დროს-ჩაისუნთქე.

7. იატაკზე დაჯექი, ფეხები მოხარე და ტერფები სახტუნელას დაადგი. ფეხები გამართე და წინ გადაიხარე, საწყისი მდგომარეობისას ჩაისუნთქე, დახრისას ამოისუნთქე.

8. გულაღმა დაწექი, სახტუნელა ოთხად გაკეცე. ფეხები მოხარე და ზედ მიაბჯინე. გამართული ფეხები მაღლა წაიღე და თავსუკან [illegible] მიიტანე. საწყის მდგომარეობაში ჩაისუნთქე. ფეხების გადატანისას ამოისუნთქე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 11

# ზაფხული მოვიდა

მინდორი წითლად ღაჟღაჟებს —
ეს ყვავილების ჯარია...
პეპლებს კი ვინღა დაითვლის,
ათიათასნი არიან!

ცისფერი თვალით მიყურებს,
მთის ცივი წყარო წკრიალა;
ზაფხულის მადლი ბობოქრობს,
მზეა, ვით ალის ბზრიალა.

უცბად ნიავმა დაჰბერა,
წვიმა დაუშვა შხაპუნა
და მარგალიტის მძივები
მინდორზე ააწკარუნა.

ბარტყებმა დაიფრთიანეს,
ბუჩქზე ნაზად სტვენს ბულბული...
სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს,
ხარობს ყოველი სულდგმული.

მანანა ჯალიაშვილი,
თბილისის 180-ე საშუალო სკოლა III კლასი.

# ალმაფრენა

დილა იდგა წყნარზე უფრო წყნარი,
მზის ამოსვლას დავესწარი მინდვრად,
ყოველივე — შემოსილი მწვანით —
იყო რაღაც საკვირველად წმინდა.
ცხრათვალა მზე ღიმილს ჰფენდა არეს;
გადავხედე სივრცეს, შუქით ნაწვიმს,
საქართველო, მშობლიური მხარე,
ერთიანად წარმომიდგა თვალწინ.
მზე გუგუნით მიიწევდა ზევით,
მასთან ერთად მაღლდებოდა ყველა.
იდგა დილა წყნარი, მშვენიერი,
მე მზის ძახილს მივყვებოდი ნელა.

ლია აფციაური,
თბილისის 132-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

# ჩემი მასწავლებელი

ჯერ კიდევ პატარას მძიმე ავადმყოფობამ დამრია ხელი, საწოლს მიმაჯაჭვა და გარე სამყაროს მომწყვიტა. მეგონა, სასიკვდილოდ განწირული ვიყავი და არაფერი მიშველიდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თავისი საუბრებით სიცოცხლის რწმენა დამიბრუნა, იმედით აღმავსო, დამარწმუნა, რომ გულის გატეხა, ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა სულმოკლეობაა, ლაჩრობაა. ეს ადამიანი ჩემი ისტორიის მასწავლებელი გივი ხაჩიძე იყო.

გივი მასწავლებელი ხშირად მაკითხავდა საავადმყოფოში, მესაუბრებოდა, მახალისებდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი სამუშაო ჰქონდა, ჩემთვის მაინც იცლიდა, ხოლო მისი დანახვა ჩემთვის დიდი სიხარული, დიდი ნუგეში იყო.

რითი შემიძლია გადავუხადო ეს ფასდაუდებელი ამაგი? ალბათ მხოლოდ იმით, რომ ვეცდები ვიყო ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ვიყო მასავით გულისხმიერი, სხვათა ჭირვარამის გულთან მიმტანი.

მანანა მამუკაშვილი,
სურამის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი.



ნახატი. მანანა ჯანიაშვილი 8 წლის.

# შემოდგომის ხმა

ქარი იტაცებს ფოთლებს და
ღრუბლებს,
ქარი ბოროტად სისინებს კარში,
ჩამოუყრიათ ტოტები ხეებს,
ატოკებულან დუმილის ზღვაში

აახმაურა წვიმამ ფანჯრები,
ტირილი იწყეს თითქოს სახლებმა;
თან წარიტაცეს ჩემი ოცნება
ამ შემოდგომის ცივმა დღეებმა.

ჩამოაწვება სახურავს ღამე,
გააბამს თავის უხილავ ძაფებს,
უზარმაზარი, ზღაპრულ გემივით
სიბნელე ნელა აუშვებს აფრებს.

გია კვალიაშვილი,
თბილისის 58-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

# ჩემი სოფელი

ჩემი სოფელი შუაგორა ლურჯად მოხასხასე მთების უბეშია ჩადგმული. ნეტა გაჩვენათ იგი გაზაფხულობით.

მშვენიერია შუაგორა ზაფხულშიც, ზამთარშიც, მაგრამ განსაკუთრებით მომხიბლავია შემოდგომაზე. აქ უპირატესად მევენახეობაა განვითარებული და, აბა, ქარვისფერი მტევნებით დახუნძლულ ზვრებზე ლამაზი არის კი რამე ამქვეყნად?!

უსაზღვროდ მიყვარს ჩემი სოფელი, ამიტომაც ვოცნებობ, მის უფრო გამშვენიერებაში მეც შევიტანო წვლილი.

მანანა ვაშაყმაძე,
ვანის რაიონის შუაგორის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნორჩ მათემატიკოსთა კლუბი**

# პითაგორა

## პითაგორას თეორემა

ძვირფასო მეგობრებო, მინდა მოგიყვეთ ერთი უცნაური ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან. იგი პითაგორას სახელთან არის დაკავშირებული და ამდენად უფრო საინტერესოა — ჩვენს კლუბს ხომ „პითაგორა" ჰქვია!

ეს იყო დიდი ხნის წინათ. მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი. ერთ დღეს მათემატიკის მასწავლებელმა გვითხრა: „ხვალ გეომეტრიის გაკვეთილზე პითაგორას თეორემას უნდა გავეცნოთ. გაკვეთილის დასაწყისში პითაგორას შესახებ გესაუბრებით, ხოლო რაც შეეხება თვით თეორემას, მას გიორგი დაგვიმტკიცებს. გესმის, გიორგი, — მომმართა მე, — ხვალ შენ მასწავლებლის როლში უნდა გამოხვიდე. აბა, შენ იცი, კარგად მოემზადე, იმედია, არ შემარცხვენ".

მივედი თუ არა შინ, გადავშალე გეომეტრიის სახელმძღვანელო, მოვიმარჯვე ქაღალდი და ფანქარი და მთელი დამტკიცება თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე დაწვრილებით ჩავატარე. ყველაფერი გასაგები და ნათელი იყო. გამეორება საღამოსთვის გადავდე და ახლა სხვა გაკვეთილების მომზადებას შევუდექი.

საღამოს, ძილის წინ, დავჯექი მაგიდასთან და დავიწყე პითაგორას თეორემის დამტკიცება. დავამტკიცე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, უცებ მესმის:

— ყმაწვილო, რას აკეთებ?

ჩემ წინ, მოსასხამიანი, მკაცრი გამომეტყველების შუახნის კაცი იდგა. მოკლედ შეკრეჭილი ხშირი შავი წვერი კიდევ უფრო მკაცრ იერს აძლევდა მის სახეს...

— მე... მე... პითაგორას თეორემის დამტკიცებას ვსწავლობ.

— ჰო, ეგ კარგია. მერე, ისწავლე? შეგიძლია დამიმტკიცო?

— როგორ არა, სიამოვნებით! ავიღოთ მართკუთხა ABC სამკუთხედი და მართი კუთხის C წვეროდან CD სიმაღლე გავატაროთ. მივიღებთ კიდევ ორ სამკუთხედს — BDC-ს და ADC-ს. BDC და ACB მართკუთხა სამკუთხედებს B კუთხე საერთო აქვთ, ამიტომ ეს სამკუთხედები მსგავსია, მაშასადამე




$$\frac{a_c}{a}=\frac{a}{c}$$

ასევე, რადგან A საერთო კუთხეა ADC და ACB სამკუთხედებისთვის, ეს სამკუთხედებიც მსგავსია, ესე იგი

$$\frac{b_c}{b}=\frac{b}{c}$$

ამ პროპორციებიდან: $ca_c=a^2$, $cb_c=b^2$, თუ ამ ტოლობებს შევკრებთ, მივიღებთ: $ca_c+cbc=a^2+b^2$, მაგრამ $ca_c+cb_c=c(a_c+b_c)=c^2$. მაშასადამე, $c^2=a^2+b^2$ ჰიპოტენუზის კვადრატი კათეტების კვადრატების ჯამის ტოლია.

— სწორია, ყოჩაღ! — შემაქო უცნობმა და დაუმატა — გინდა სხვა დამტკიცებაც გიჩვენო?

— როგორ, სხვა დამტკიცებაც არის? — გაკვირვებულმა ვიკითხე.

— აბა, შენ გგონია, დამტკიცების მხოლოდ ერთი გზა არსებობს? — გულიმა უცნობს. ახლა მას სულაც არ ჰქონდა მკაცრი გამომეტყველება, პირიქით, მეტად კეთილ და სანდომიან კაცად მომეჩვენა. — ამ თეორემის მრავალი სხვადასხვა დამტკიცებაა ცნობილი. აი ერთ-ერთი მათგანი. ცხადია, რომ

$$S_{BDC}=\frac{1}{2}a_ch, \quad S_{ADC}=\frac{1}{2}b_ch .$$

მაგრამ იმ პროპორციებიდან, რომლებიც შენ დაწერე,

$$a_c=\frac{a^2}{c}, \quad b_c=\frac{b^2}{c}$$



**სამზარეულოს სკამს ფეხი აღარ მოერყევა, თუ ხრახნს თხელ რეზინს დაუტნევ.**

**ქალაქის პირობებში სოკოს, მწვანილის ან სხვა პროდუქტების გამოხაზრობად სამზარეულოში გაზქურის თავზე შეგიძლია ასეთი მარტივი საშრობი მოაწყო.**

**ბადმინტონის ბურთი თუ დაკარგე, გული არ გაიტეხო, გამოძებნე პლასტმასის ბოთლი, ისე შემოჭერი, როგორც აქ არის მითითებული და მერი, ითამაშე რამდენიც გენებოს.**

**რაც უნდა სუფთად შეინახო ბინა, მაინც გაგიძნელდება კოღოებისაგან მისი დაცვა, გამოიყენე მათ წინააღმდეგ მტვერსასრუტი! ეს გაცილებით იოლი და ჰიგიენური საშუალებაა!**







და, მაშასადამე,

$$S_{BDC}=\frac{h}{2c}a^2, \qquad S_{ADC}=\frac{h}{2c}b^2.$$

$$S_{BDC}+S_{ACD}=\frac{h}{2c}(a^2+b^2).$$

მეორეს მხრივ,

$$S_{BDC}+S_{ACD}=S_{ABC}=\frac{1}{2}ch$$

და ამიტომ გვაქვს,

$$\frac{h}{2c}(a^2+b^2)=\frac{1}{2}ch.$$

აქედან უკვე სულ ადვილად მიიღება $a^2+b^2=c^2$ ტოლობა.

ასეთი დამტკიცებაც ვნახოთ: ავიღოთ კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძეა $a+b$. თუ მის წვეროებთან ოთხ კონგრუენტულ მართკუთხა სამკუთხედს ავაგებთ,




როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები, მივიღებთ კიდევ ერთ კვადრატს, რომლის გვერდი c-თი აღვნიშნოთ (ეს ოთხკუთხედი რომ კვადრატია, აღის დამტკიცება სულ ადვილია). ახლა, თუ შევნიშნავთ, რომ დიდი კვადრატის ფართობი ოთხი კონგრუენტული სამკუთხედისა და პატარა კვადრატის ფართობთა ჯამის ტოლია, შეგვიძლია დავწეროთ:

$$(a+b)^2=4\cdot\frac{ab}{2}+c^2.$$

სულ მარტივი გარდაქმნით $a^2+b^2=c^2$ ტოლობას მივიღებთ.

— რა საინტერესო დამტკიცებაა!

— მართალი ხარ, საინტერესოა და ამავე დროს მარტივი. აი, კიდევ მსგავსი




დამტკიცება. ავიღოთ კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძეა c და ჩავდგათ მასში ოთხი კონგრუენტული მართკუთხა სამკუთხედი. ამ სამკუთხედების ჰიპოტენუზა c-ს უდრის, კათეტები კი a-სა და b-ს ($a \geqslant b$). ნახაზზე ეს ყველაფერი კარგად ჩანს. შიგნით დაგვრჩება პატარა კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძეა $a-b$ და, მაშასადამე, ფართობი $(a-b)^2$ (თუ $a=b$, მაშინ სამკუთხედები მთლიანად შეავსებენ დიდ კვადრატს). ისევ ფართობთა ჯამის სახით გვაქვს:

$$c^2=4\cdot\frac{ab}{2}+(a-b)^2,$$

$$\text{ე. ი. } c^2=a^2+b^2$$

— ძალიან ლამაზი დამტკიცებაა!

— სასიამოვნოა, რომ მოგეწონა, — ღიმილით მითხრა უცნობმა და თავზე ხელი გადამისვა, — ახლა კი ნახვამდის. არ დამივიწყო.

— როგორ დაგივიწყებთ, მაგრამ რომ არ ვიცი ვინ ბრძანდებით?

— მე, ჩემო კარგო, პითაგორა ვარ.

— პითაგორა?! — გაოცებულმა ვიყვირე და... გამეღვიძა.

გაოგნებული ვიყავი... გონს რომ მოვედი გავიქეცი და ყველაფერი დესპინე ბებიას მოვუყევი. ბებიამ ყურადღებით მომისმინა და, როგორც ყოველთვის, ახლაც თავისებური ახსნა მოუძებნა ჩემს სიზმარს — ძალიან კარგი სიზმარია, ხვალ ნამდვილად ხუთიანს მიიღებო.

გამართლდა ბებიაჩემის წინასწარმეტყველება — მეორე დღეს მართლაც ხუთიანი მივიღე, მივიღე სრულიად დამსახურებულად, რადგან ძალიან კარგად ვიცოდი პითაგორას თეორემა.

**გიორგი თოფაძე.**

# სარჩევი


კოეტები უმღერიან ოქტომბერს . . . 1
გოგოლაძე თ. — მხარდამხარ (მოთხრობა, გაგრძელება) . 8
მგელაძე ნ. — ჩვენ მუშური დინასტიიდან ვართ (წერილი) . 10
ფაილოძე ნ. — პიონერულ ხაზზეა რუსთავი (ნარკვევი) . 11
ჩვენო მასწავლებელო — (ლექსი გ. ჭიჭინაძისა, მუსიკა ვ. დურგლიშვილისა) . . . . . . 13
პილაშვილი ქ. — ლურჯი ხალათი (პიესა) . . . . 14
დოლიძვილი ა. — წაუკითხეთ პატარებს (ლექსები) . 19
ეპიტაშვილი გ. ალმა-ათაში, საიუბილეო შეკრებაზე (წერილი) 20
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . 22
ვადაჭკორია დ. — დაწინწკლული კაბა. (მოთხრობა) . 24
გეგეჭკორი არნ. — ცხოველთა მხედველობა (წერილი) . 26
საინტერესო სიახლენი . . . . . . 28
სპორტი . . . . . . . . . 29
„აისი" . . . . . . . . . 30
თოფაძე გ. — პითაგორას თეორემა (წერილი) . . . 31


გარეკანის მხატვრობა ედუარდ ამგოკაძისა.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 15/IX-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/XI-76 წ. ქაღალდის ფორმატი $60\times90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 2768. ტირ. 142.000. უე 00916.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


 © „პიონერი", 1976 წ. №11

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# ლაბირინთი

— წადი! უბრძანა ჯალათმა ტყვეს, — თუ გააღწევ თავისუფალი ხარ, დაიბნევი და დაბრუნდები — თავს დააბრალე.

ტყვემ შეაბიჯა ლაბირინთში. ლაბირინთის კედლები სიმაღლით ორ მეტრს აღემატებოდა. ტყვეს ჯიბეები ცარიელი ჰქონდა — არც მარცვლები, არც კენჭები, არც ძაფის გორგალი არ გააჩნდა. მაშ როგორ უნდა მოენიშნა განვლილი გზა?

ცხადია, ტყვემ მაინც გააღწია ლაბირინთს, მაგრამ როგორ?







## 20 ბურთი

ამ ოცი ბურთიდან ორი სავსებით მსგავსია ერთმანეთისა. მოძებნეთ ეს ორი ბურთი.

## დაუსვით ნიშნები

2 ○ 6 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○ 8 = 12
9 ○ 8 ○ 1 ○ 3 ○ 5 ○ 2 = 12
8 ○ 6 ○ 1 ○ 7 ○ 9 ○ 5 = 12
3 ○ 2 ○ 1 ○ 4 ○ 5 ○ 3 = 12
7 ○ 9 ○ 8 ○ 4 ○ 3 ○ 5 = 12

ამ არითმეტიკულ მაგალითებში „+"-ისა და „ "-ის ნაცვლად ჩახატულია წრეები. სად რა ნიშანი უნდა დაისვას, რომ მაგალითები სწორად ამოიხსნას?

შეამოწმეთ რამდენ დროს დახარჯავთ ამის ამოსახსნელად?

### შეცდომის გასწორება

ოქტომბრის „პიონერში" კროსვორდში გამოტოვებულია მესამე სტრიქონი. უნდა იკითხებოდეს: ანუ? 3. ფერადი ლითონი;

### გამოცანები

თეთრი ვარ,
როგორც ქათქათა თოვლი,
თერთმეტი სახის
ვიძლევი ნაწარმს.
ადამიანი

შემძლეა ყოვლის,
მაგრამ უჩემოდ
ცხოვრება არ სწამს.

შევხედავ კლდეს და —
იქცევა ფერფლად.
დავხედავ ფოლადს —
და დნება ლავად.
მე ვერაფერი
ვერ მიძლებს ქვეყნად,
გამოიცანი, ყმაწვილო,
რა ვარ?

ალ. ნამორაძე.

დავფრინავ და
მიფრიალებს
უხილავი კაბა,
ყვავილები თავს
მიხრიან,
ია თვალებს ნაბავს.
როცა ცხელა, ყველა
მნატრობს,
თქვი, რა მქვია, აბა!

ბ. ლეჟავა.

### ამოცანა

ამ საღამოს ეზოში
ხვავიანად მოთოვა,
საგუნდაოდ გავიდნენ
შუქია და ფოთოლა.
ბამბასავით ფაფუკი
თოვლი შეკრეს
გუნდებად.
ყოველ გუნდის კეთებას
თითო ორ წამს უნდება.
ფრენენ თეთრი ბურთები
იქითკენ და აქეთკენ.
მითხარ, წუთში ორივე
რამდენ გუნდას აკეთებს.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი № 10-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

შვეულად: 1. ჭალარა; 2. სია, 3. კალა; 4. რომი; 5. ალი; 6. კაკაჩა; 9. პაიკი; 10. ტყვია; 18. იტალია; 19. ისკრა; 20. ბიაზი; 21. აკაცია; 26. მზე; 27. ტანა; 28. როჭო; 29. ახო.

თარაზულად: 7. კოხტა; 8. აპატიტი; 11. ახაკი; 12. კოკა; 13. ასლი; 14. კომში; 15. ირაკლი; 16. ალმასი; 17. მაიორი; 20. ბურუსი; 22. ხაადი; 23. ლენა; 24. არყი; 25. ვაშლი; 26. მატერია; 30. ირანი.

### შარადა

იავნანა.

### გამოცანები

1. მზესუმზირა.
2. ფოტოაპარატი.
3. ფუტკარი.

### ამოცანა

744 და 372



И Н Д Е